

ლია გიგაური
გიორგი გახელაძე


სკოლის დისციპლინური კომიტეტის გზამკვლევი

სარეკომენდაციო დამხმარე მასალა
საჯარო და კერძო სკოლებისათვის

ლია გიგაური
გიორგი გახელაძე

სკოლის დისციპლინური კომიტეტის გზამკვლევი

სარეკომენდაციო დამხმარე მასალა
საჯარო და კერძო სკოლებისათვის



2012 წელი, თბილისი

შინაარსი

შესავალი	4
1. ბიორგი გახელაძე - დისციპლინა და განათლება	5
2. ბიორგი გახელაძე - დისციპლინური კომიტეტი სკოლაში	29
2.1. სკოლაში დისციპლინური კომიტეტის დანიშნულება და საქმიანობის საფუძვლები	30
2.2. დისციპლინური კომიტეტის სტრუქტურა და ფუნქციები	31
2.3. დისციპლინური კომიტეტის საქმიანობით დაინტერესებული მხარეები	33
3. ლია გიგაური - დისციპლინური კომიტეტის პრაქტიკული საქმიანობა 35	
3.1. სკოლის დისციპლინური კომიტეტის პრაქტიკული საქმიანობის მნიშვნელობა, რეალიზაცია და საფრთხეები	36
3.2. სასკოლო კონფლიქტების არსი, მიზეზები. სასკოლო კონფლიქტების ტიპები, ესკალაციის სპეციფიკა	43
3.3. თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან	55
3.4. ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა და ტექნოლოგიები	56
3.5. დისციპლინური კომიტეტის სხდომის მომზადება	62
3.6. დისციპლინური კომიტეტის სხდომის წარმართვა	63
3.7. კომიტეტის გადანაცვებების მიღების ტექნოლოგიები	67
3.8. დისციპლინური კომიტეტის გადანაცვებით პროვოცირებული სასკოლო კონფლიქტების რეგულირება	74
3.9. დისციპლინური კომიტეტის გადანაცვებების რეალიზაციის მენეჯმენტი	75
3.10. დისციპლინური კომიტეტის საქმის წარმოება	76
4. ლია გიგაური - დანართები	77

დამხმარე სახელმძღვანელო შექმნილია საქართველოს სამართლებრივი განათლების პროგრამის ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება PH International-ის მიერ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით.

წარმოდგენილი გაამკვლევს მიზანია დახმარება გაუწიოს სკოლის დისციპლინურ კომიტეტს დისციპლინური გადაცდომების განხილვის და გადანყვეტილების მიღების პროცესში. ის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

წიგნის ავტორები: ლია გიგაური, გიორგი გახელაძე

რედაქტორი: ირმა რევიშვილი

დიზაინი: ნატა ნოზაძე

© PH International, 2012, ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-04596-7



**დისციპლინა და
განათლება**

1.1

რას ნიშნავს დისციპლინა

სიტყვა დისციპლინა ლათინური ენიდან იღებს სათავეს და რჩევა-დარიგებას, აღზრდას ნიშნავს. ეს საქმიანობა ადამიანებს – სოციალურ არსებებს – ახასიათებს. სწორედ ადამიანის სოციალური ბუნების გამო მისი აღზრდა, უპირველესად, საზოგადოებაში ქცევას უკავშირდება. ნებისმიერი სახისა და მასშტაბის საზოგადოების წევრები ყოველთვის ისწრაფვიან გარკვეული წესრიგისაკენ, რომ უზრუნველყონ თავიანთი უსაფრთხოება, მშვიდობიანი თანაარსებობა და განვითარება. ამ წესრიგის საფუძველი კი, სწორედ ქცევის წესების შემუშავება, აღიარება და დაცვა გახლავთ. იმავდროულად, ნებისმიერ საზოგადოებას ახასიათებს ერთი მხრივ, მდგრადობისაკენ და მეორე მხრივ, განვითარებისაკენ სწრაფვა. ადამიანის ამგვარი ბუნება საზოგადოებასა და მის წევრებს უბიძგებს, რომ ასწავლოს შთამომავლობას ის წესები, რომლებიც დამკვიდრებულია მდგრადობის შესანარჩუნებლად. იმავდროულად, ადამიანისა და საზოგადოების ბუნებრივი სწრაფვა განვითარებისაკენ და ამ მიმართულებით გაკეთებული მიღწევები, დროდადრო ქცევის წესებში ცვლილებებს მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ადამიანების ამა თუ იმ სახის საზოგადოებად ჩამოყალიბება მათი საერთო საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით ხდება. ამ უკანასკნელთა განსაზღვრა ხდება ღირებულებებზე დაყრდნობით. ადამიანის ღირებულებები კი, მის განვითარებასთან ერთად იცვლება. ადამიანის განვითარება გამოცდილების შეძენისა და გამდიდრების ნიადაგზე მიმდინარეობს, რაც სწავლითა და პრაქტიკული საქმიანობით ხორციელდება.

შესაბამისად, დისციპლინა ასახავს ქცევის, სწავლისა და წესრიგის მჭიდრო ურთიერთკავშირს. ამიტომაც, დღეს ეს ტერმინი თანაბარი სიხშირით გამოიყენება სამივე მნიშვნელობით:

- ✓ მტკიცედ დადგენილი მოქცევის წესი, რომლის დაცვაც სავალდებულოა ამა თუ იმ საზოგადოების (კლასი, კოლექტივი, სკოლა, თემი, ჯგუფი და სხვ.) ყველა წევრისათვის. აქედან იწარმოება სიტყვები: დისციპლინური, დისციპლინარული, სადისციპლინო, უდისციპლინო და ა.შ;
- ✓ რომელიმე მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი; სასწავლო საგანი (მაგ.: საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი ან მათემატიკური დისციპლინები და ა.შ.);
- ✓ წესრიგისკენ მიდრეკილების უნარი.

1.2

რას ნიშნავს განათლება

სიტყვა „განათლება“ გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ პროცესს, რომლის საშუალებითაც ცალკეული ადამიანები და სოციალური ჯგუფები სწავლობენ ეროვნული და საერთაშორისო საზოგადოებების სასარგებლოდ მათი პიროვნული შესაძლებლობების, დამოკიდებულებების, მიდრეკილებებისა და ცოდნის გააზრებულად განვითარებას. *(იუნესკოს რეკომენდაცია, 19 ნოემბერი, 1974 წელი)*

განათლება საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაა: ის არის ორგანიზებული მთელი, რომელიც შედგება ურთიერთქმედებაში მყოფი ადამიანებისაგან, რომელთა კავშირი ორგანულია *(Waller, 1932);*

ორგანიზაცია ფრანგულად შინაგან დისციპლინას, სისტემაში მოყვანას, მოწესრიგებას, მოწყობას ნიშნავს. ის არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ინდივიდების რაიმე სიმრავლის გამაერთიანებელი ურთიერთობების სისტემა, სოციალური მოღვაწეობის ან მოქმედების ერთობლიობის რაიმე მიზნობრივი გაერთიანება. ამ აზრით ორგანიზაცია გულისხმობს აქტიურ კონტროლს ადამიანების ურთიერთობებზე. ამდენად, დისციპლინა და განათლება განუყოფელი, ერთმანეთზე დამოკიდებული და ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია.

1.3 დისციპლინა და განათლება – ორგანიზაციული წესრიგი

დისციპლინისა და განათლების ურთიერთკავშირი სხვადასხვაგვარად შეიძლება აღიწეროს. არსებობს ორგანიზაციული წესრიგის ორი ძირითადი კონცეფცია, მოდელი: ბიუროკრატიული დისციპლინა და პროფესიული ცოდნა-გამოცდილება. მთავარია, რას მივიჩნევთ უპირატეს ღირებულებად და მიზნად.

მაქს ვებერი (1947) გვთავაზობს დისციპლინასა და ცოდნას, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბლაუ და სკოტი (1962) ამბობენ, რომ ეს ორი კონცეფცია არის სიტუაციის მოწესრიგების ალტერნატიული მეთოდები. პრობლემის წყაროა ის, რომ ხშირ შემთხვევაში ბიუროკრატიული ორგანიზაციის თანამშრომლები არიან პროფესიონალები და ამიტომ, რაციონალობის ეს ორი, ალტერნატიული მოდელი ერთმანეთში ირევა და წარმოქმნის დაძაბულობასა და კონფლიქტს. ამის ტიპური მაგალითია სკოლის დირექტორი. რას ეფუძნება მისი უფლებამოსილება – ბიუროკრატიული ორგანიზაციის სტრუქტურას თუ პროფესიულ ცოდნას? ამკარად იკვთება ორივეს არსებობა, რაც წარმოშობს გარკვეულ კონფლიქტს.

პროფესიული ცოდნა და ბიუროკრატიული დისციპლინა გაურკვევლობასთან ბრძოლის ალტერნატიული გზებია. დისციპლინა ამცირებს გაურკვევლობის მასშტაბებს, ხოლო ცოდნა გვაძლევს მასთან ბრძოლისთვის საჭირო კვალიფიკაციას და სოციალურ მხარდაჭერას. ბლაუ და სკოტი ამბობდნენ, რომ მსგავსი ბრძოლა გაგრძელდება და იარსებებს მანამ, სანამ პროფესიონალი კადრები იმუშავებენ ბიუროკრატიულ ორგანიზაციაში. როგორც ჩანს, დილემა: პროფესიონალი-ბიუროკრატი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება სკოლაში, როცა მასწავლებლები და ადმინისტრატორები მეტად კვალიფიციურნი გახდებიან და გააგრძელებენ მუშაობას სკოლაში, რომელიც, როგორც ორგანიზაცია, თავისი ბუნებით ბიუროკრატიულია.

1.4 სასკოლო დილემები

გებისმიერი ფორმალური ორგანიზაციის და, ბუნებრივია, სკოლის წინაშე დგას ფუნდამენტური დილემა – წესრიგი თუ თავისუფლება. ორივე, როგორც წესრიგი, ისე თავისუფლება, სასურველი და აუცილებელი პირობაა მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხის მისაღწევად. საქმე იმაშია, რომ როცა ძლიერდება ერთი, სუსტდება მეორე. დაძაბულობა წესრიგსა და თავისუფლებას შორის ამკარად აისახება სკოლის, სულ მცირე, ოთხ სამოქმედო დილემაში: კოორდინაცია თუ კომუნიკაცია; ბიუროკრატიული დისციპლინა თუ პროფესიული ცოდნა; ადმინისტრაციული დაგეგმვა თუ ინდივიდუალური ინიციატივა; სწავლა, როგორც ქცევის ცვლილება, თუ სწავლა, როგორც შემეცნება.



ნესებმა, დისციპლინამ და საფეხურებრივმა კარიერულმა ზრდამ, შესაძლოა, შედეგად მოგვცეს ბიუროკრატიული პროცედურების მკაცრი და განუხრელი დაცვა, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს გადამეტებულ მორჩილებასა და ტექნიკურ მიდგომას. მაგალითად, ბიუროკრატიულ ორგანიზაციებში აშკარად გვხვდება მიზნების წანაცვლება და ადმინისტრატორების მიდრეკილება, წარმოაჩინონ საშუალებები, როგორც საბოლოო მიზანი (Selznick, 1949; Gouldner, 1954; Dalton 1959). დისციპლინაზე ფოკუსირებულ სკოლის მასწავლებლებს ავიწყდებათ, რომ წესრიგი არის მხოლოდ საშუალება წარმატებული სწავლებისა და სწავლისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, დისციპლინა და წესრიგი თავად ხდება მიზანი და არა საშუალება მთავარი მიზნის მისაღწევად.

კონფლიქტი არსებობს ერთი მხრივ – პროფესიულ ცოდნასა და ავტონომიას, მეორე მხრივ, ბიუროკრატიულ დისციპლინასა და კონტროლს შორის.

1.5 ბიუროკრატიული დისციპლინა და კონტროლი

მანამ, სანამ სკოლის ძირითადი ბიუროკრატიული სტრუქტურა მიდრეკილია ავტორიტარულობისკენ, მასწავლებლის უფლებამოსილება მუდამ იქნება დაძაბულობის წყარო. თუ სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა უფრო პროფესიული გახდება, კონფლიქტისა და დაძაბულობის განტვირთვის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაიზრდება. პროფესიულ სტრუქტურაში მასწავლებლებს პასუხისმგებლობა აქვთ როგორც ორგანიზაციის, ისე პროფესიის მიმართ. ზოგიერთი კვლევა ადასტურებს, რომ მასწავლებლების პროფესიული და ბიუროკრატიული დამოკიდებულებები კონფლიქტური აღარ იქნება, თუ სკოლებში გაიზრდება მასწავლებლების პროფესიული ავტონომია (Marjoribanks, 1977; DiPaola da Hoy, 1994).

ინდივიდის რომელი თავისებურებები განაპირობებს სამუშაო და სხვა ქცევებს სკოლებში ყველაზე მეტად? ინდივიდის რომელი თვისებები ახდენს ქცევის მოტივირებას სკოლაში? ასეთ შეკითხვებზე პასუხების ჩამოყალიბება მრავალგვარად შეიძლება, რადგან ადამიანები ძალზე კომპლექსურნი არიან და ადამიანის ქცევა ეყრდნობა მრავალ პერსპექტივასა და დისციპლინას. მოსწავლეებში, მასწავლებლებსა და ადმინისტრატორებში, როგორც სკოლის სოციალურ სისტემაში მყოფ პიროვნებებში გასარკვევად, ვფიქრობთ, ძლიერი საშუალება არის მათი მოთხოვნილებების, მიზნების, შეხედულებებისა და მოტივაციების დადგენა.

ორგანიზაციული კულტურის კვლევები ხშირად ცდილობს შეეხოს კულტურის არსს მეტაფორების გამოყენებით: მაგალითად, სკოლის კულტურათა დასახასიათებლად გამოიყენება შემდეგი მეტაფორები:

- ✓ აკადემია: სკოლა აღიქმება ადგილად, სადაც სწავლა უმთავრესია და დირექტორი არის უფროსი მასწავლებელი, რომელიც თავადაც სწავლობს;
- ✓ ციხე: სკოლა არის თავისუფლების აღკვეთის ინსტიტუტი მოსწავლეებისთვის, რომელთაც სჭირდებათ კონტროლი და დისციპლინა, დირექტორი კი არის სატუსაღოს უფროსი;

- ✓ კლუბი: სკოლა არის სოციალური კლუბი, სადაც ყველა ერთობა, ხოლო დირექტორი წარმოადგენს სოციალურ დირექტორს;
- ✓ თემი: სკოლა არის აღზრდის გარემო, სადაც ადამიანები სწავლობენ ერთმანეთისგან და ეხმარებიან ერთმანეთს, ხოლო დირექტორი არის თემის ლიდერი;
- ქარხანა: სკოლა არის კონვეიერი, რომელიც აწარმოებს კარგად აწყობილ მოსწავლე-მანქანებს, დირექტორი კი არის ბრიგადირი.

ამის მსგავსად, დილმა და უაიზმა (1983) გამოიყენეს ქარხნების, ჯუნგლებისა და ტაძრების მეტაფორები იმისათვის, რომ აღენერათ სკოლები, რომელთა დირექტორები იყვნენ გენერალური მენეჯერები, ლომების მომთვინიერებლები და მოძღვრები.

1.6 კაცთმოყვარე სკოლა – პროფესიული ცოდნა და ავტონომია

კაცთმოყვარე, ჰუმანისტური მოდელის არის სკოლა, რომელიც აღიქმება როგორც საგანმანათლებლო თემი, სადაც მოსწავლეები სწავლობენ თანამშრომლობითი ურთიერთობებისა და გამოცდილების მეშვეობით. სწავლა და ქცევა განიხილება ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური თვალსაზრისით. თვითდისციპლინა ცვლის მასწავლებლის მკაცრ კონტროლს. ჰუმანისტური მიმართულება ქმნის დემოკრატიულ ატმოსფეროს, რომელშიც ხორციელდება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ორმხრივი კომუნიკაცია და იზრდება დამოუკიდებლობის ხარისხი. ტერმინი „ჰუმანისტური მიმართულება“ გამოიყენება როგორც ინდივიდის, ისე იმგვარი ატმოსფეროს შექმნის მნიშვნელობა, რომელიც აკმაყოფილებს მოსწავლის საჭიროებებს.

ყველაზე წარმატებული ადმინისტრატორები ცდილობენ თავიდან აიცილონ იძულებითი ძალაუფლების გამოყენება, რადგან ის, ჩვეულებრივ, წარმოშობს მტრობას, გაუცხოებას და აგრესიას ქვემდგომებში. სამსახურებრივი გულგრილობა, საბოტაჟი, ქურდობა, სამუშაო აქციები და გაფიცვები წარმოადგენს გადამეტებულ ძალდატანებაზე გავრცელებულ პასუხს.

ძალაუფლება არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ქვემდგომთა შემზღუდველი ძალა. უფლებამოსილების გაფართოება არის პროცესი, რომლითაც ადმინისტრატორები უზიარებენ ძალაუფლებას და ეხმარებიან სხვებს მის კონსტრუქციულად გამოყენებაში (Schermerhorn, Hunt, and Osborn, 1994). ადმინისტრატორები და რეფორმატორები ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ცდილობენ მასწავლებლების უფლებამოსილების გაფართოებას (Conley and Bacharach, 1990; Midgley and Wood, 1993; Rice and Schneider, 1994; Marks and Louis, 1997; Rinehart, Short, and Johnson, 1997; Rinehart, Short, Short, and Eckley, 1998). უფლებამოსილების გაფართოება გამოიხატება გადანაცვლებების ერთობლივად მიღებაში, უფლებამოსილების დელეგირებაში, გუნდურ მუშაობასა და ადგილზე დაფუძნებულ მენეჯმენტში. ნაცვლად იმისა, რომ ძალაუფლება აღქმულ იქნეს როგორც ადმინისტრატორების სფერო, ის უფრო და უფრო აღიქმება როგორც ყველას მიერ გასაზიარებელი სფერო (განსაკუთრებით კოლეგიალურ ორგანიზაციებში) (Lugg and Boyd, 1993).

როცა მასწავლებლების უფლებამოსილება გაზრდილია, დირექტორები, ნაკლებად უფროსობენ თუ მბრძანებლობენ და უფრო მეტად მოქმედებენ როგორც ხელშემწყობები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მასწავლებელთა გუნდებს თავიანთი ცოდნისა და კომპეტენციის გამოყენებით (პროფესიონალის ძალაუფლება). დირექტორები უფრო და უფრო ნაკლებად შეძლებენ დაეყრდნონ საკუთარ თანამდებობას (უფლებამოსილი ძალაუფლება) ქვემდგომების სამართავად; ფაქტიურად, მასწავლებლების უფლებამოსილების გაზრდით, კომპეტენცია გახდება ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი მასწავლებლებსა და დირექტორებს შორის ძალაუფლების ურთიერთობებში. და ბოლოს, თანდათან ჩნდება საფუძველი, რომელიც გვიჩვენებს, რომ მასწავლებლებისათვის უფლებამოსილების გაზრდა სასწავლო გეგმისა და პროგრამის (კურიკულუმის) საკითხებში განაპირობებს მოსწავლეთა გაუმჯობესებულ მოსწრებას (Sweetland and Hoy, 2000).

1.7 წესრიგი, უსაფრთხოება და ძალადობა

როგორც უკვე აღინიშნა, წესრიგისაკენ სწრაფვა ადამიანების ბუნებრივი მოთხოვნილებაა და უპირველესად განპირობებულია უსაფრთხოების მოთხოვნილებით. საფრთხეების წყარო კი შეიძლება იყოს ფიზიკურ გარემოში (ბუნებრივი ან ტექნოლოგიური ხასიათის) და სოციალურ გარემოში (ადამიანების ქცევით გამოწვეული). სოციალური ხასიათის საფრთხეები ძალადობასთან, ძალდატანებასთან არის დაკავშირებული. სწორედ ძალადობის სხვადასხვაგვარი გამოვლინება წარმოადგენს ადამიანებისა და საზოგადოებისათვის ყველაზე ხშირ, მტკივნეულ და იმავდროულად გამოსწორებად საფრთხეებს. ეს უკანასკნელი გულისხმობს შემდეგს: ბუნებრივ თუ ტექნოლოგიურ საფრთხეებს ადამიანების ქცევა ვერ შეცვლის, თუმცა, შესაძლოა თავი აარიდოს ორგანიზებული, დისციპლინირებული ქცევით. ხოლო, ძალადობით გამოწვეული საფრთხეების შეცვლა შესაძლებელია, რადგან ადამიანის ქცევით არის გამოწვეული და ქცევის სწავლა და შეცვლა კი შესაძლებელია.

ბავშვთა და მოზარდთა შორის მზარდი ძალადობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების და ზრუნვის საგანი გახდა. ბოლო 15 წლის განმავლობაში, ეს პრობლემა განვითარებული ქვეყნების სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების დღის წესრიგში დგას. ამ ქვეყნებში სტატისტიკის წარმოებისა და ანალიზის საფუძველზე ხდება ბავშვთა და მოზარდთა შორის ძალადობის გამომწვევი ფაქტორების დადგენა და ამ ფაქტორებზე ზემოქმედების ზომების მიღება. ამ პრობლემასთან ბრძოლაში წარმატების ხარისხი განსხვავებულია ქვეყნებსა და ქვეყნებს შიგნით ტერიტორიულ ერთეულებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვთა და მოზარდთა შორის ძალადობა ძალიან მწვავე და გადაუჭრელ საკითხად რჩება მსოფლიოს მრავალ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში.

მოზარდების ცხოვრება, მათი გატაცებები და დატვირთვები ხელს უწყობს არაკეთილგანწყობილი, მტრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მოზარდების მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებანი ერთმანეთის მსგავსია: სექსუალური, ფიზიკური და ემოციური. ძალადობრივ ქმედებას შესაძლოა, ზოგჯერ ტრაგიკული დასასრულიც ჰქონდეს. ბოლო წლებში გახშირდა მოზარდებს შორის ფიზიკური ძალადობის ფაქტები. ამ პრობლემაზე დაუყოვნებელი რეაგირების საჭიროება ნათლად ჩანს არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესების სტატისტიკურ მონაცემებში, რომლის მიხედვითაც სკოლის ასაკის მოზარდთა შორის ძალადობის ფაქტები მკვეთრად გაიზარდა.

საქართველოში, ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სკოლა, ხშირ შემთხვევაში, ბავშვთა აგრესიისა და ძალადობის ერთ-ერთ კერად იქცა. შესაბამისად, ეს ხელს უშლის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელებას. მოსწავლეთა დისციპლინა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია სკოლის საქმიანობაში და მის გასამტკიცებლად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მჭიდრო კავშირს ამყარებს განათლებასა და დისციპლინას შორის. სწორედ, ამ დოკუმენტში გაცხადებული ღირებულებები და მისწრაფებებია დღევანდელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურისა და ფუნქციების საფუძველი.

სკოლა მონოდებულია, მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. ეს ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებული თვითდისციპლინის განვითარების მიდგომაა. სწორედ ამ ხედვით უნდა იმოქმედოს სკოლამ, რათა ზოგადმა განათლებამ მოსწავლეს მისცეს სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებით. სკოლაში მიღებული გამოცდილებით მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო. სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები. სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს მთელი ცხოვრების განმავლობაში უწყვეტი განვითარების უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება. სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო, საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

ამ ჩვევების გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას.

სკოლაში ბავშვი დროის დიდ ნაწილს ატარებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მისთვის სამაგალითო ადგილი უნდა იყოს. სკოლებში ძალადობის ფაქტები, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის როგორც ემოციურ, ისე სოციალურ განვითარებაზე. სამწუხაროდ,

მოსწავლე-ახალგაზრდობა თავისთავად ხდება მონაწილე ან მონმე სხვადასხვა ფორმით ჩადენილი დანაშაულისა, რაც დაკავშირებულია იარაღთან, ნარკოტიკთან, ძალადობასთან და სხვ. მოზარდებში დანაშაულის ზრდის მიზეზი, სავარაუდოდ, ის ყალბი ფასეულობებია, რომლებიც დამკვიდრდა მათ ცნობიერებაში. ეს გახლავთ ე.წ. „ძველბიჭობა“, „ქუჩის აკადემია“, „ბირჟაობა“, „ქურდული რაინდობა“, ასევე გულგრილობა, ქედმაღლობა, სიჭიუტე, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარების სურვილი და სხვა.

ძალადობის ყველაზე ხშირი და გავრცელებული ფორმა ბავშვების ჩაგვრა და აბუჩად აგდებაა. მოზარდები, რომლებიც თუნდაც სულ მცირედით გამოირჩევიან თანატოლებისგან – იქნება ეს გარეგნული თუ გონებრივი მონაცემები, განსხვავებული აქცენტი – შეიძლება დამცირებისა და შევიწროების ობიექტები გახდნენ.

1.9 უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში

მოზარდებში გავრცელებული ძალადობის სავალალო შედეგებისა და სკოლებზე მათი უარყოფით გავლენის გათვალისწინებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2009 წელს შეიმუშავა პოლიტიკის დოკუმენტი¹, რომელიც სკოლებში უსაფრთხო და არაძალადობრივი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს:

„უსაფრთხო სკოლის“ პოლიტიკა ემსახურება სკოლებში უსაფრთხო გარემოს შექმნას. პოლიტიკის მიმართულებაში გათვალისწინებულია განვითარების პროცესის სხვადასხვა მახასიათებელი (მაგალითად, კულტურული). აქცენტი კი კეთდება შემდეგი ტიპის მიდგომებზე: პრევენცია – ინტერვენციის ნაცვლად და მხარდაჭერა – დასჯის მაგივრად.

„უსაფრთხო სკოლის“ პოლიტიკა დაფუძნებულია როგორც საერთაშორისო გამოცდილებაზე, ისე საქართველოში 2007-2008 წ.წ. ჩატარებული ეროვნული კვლევის შედეგებზე. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 93 სკოლის 1300 ბავშვს ინდივიდუალურად ჩამოართვეს ინტერვიუ. პასუხებით ცხადი გახდა, რომ ყველაზე ხშირად მოზარდები არიან ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური მოძალადეები, თუმცა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის წყაროდ უფროსებიც გვევლინებიან.

კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი დასკვნებია:

- 1. სკოლის მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს (77%);*
- 2. სკოლის მოსწავლეთა უდიდეს ნაწილს სკოლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს (67%);*
- 3. სკოლის მოსწავლეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ გასული წლის განმავლობაში გამხდარა სკოლის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი. თუმცა, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის უდიდესი ნაწილი მსუბუქ ფორმებზე მოდის. კერძოდ:*

მოსწავლეთა 47,1 % აცხადებს, რომ გამხდარა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. აქედან ძირითადად ფიქსირდება ძალადობის შემდეგი ფორმები: ხელზე ან მკლავზე დარტყმა:

¹პოლიტიკის დოკუმენტი: უსაფრთხო, არაძალადობრივი გარემო საქართველოს სკოლებში (2009წ.) – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბ. შუკაკიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), ა. ჯანელიძე, ნ. უძილაური, მ. გაბაშვილი, თ. ჯანტურია.

20,5%; ყურის აწვევა: 17,4%; თმის მოქაჩვა: 17,2%; რაიმეს ტკეპინება: 13,2%; თავზე ან სახეში გარტყმა: 10,3%; ხელისკვრა: 9,5%. ძალიან მცირეა ძალადობის მძიმე ფორმების შემთხვევები (ბასრისაგნით დაჭრა: 0,5%; რაიმეს საშიშის დაძალევა: 2,0%; დაბმა: 0,4%). გაცილებით უფრო მეტი ბავშვი ასახელებს ფიზიკური ძალადობის ფაქტებს სახლში/ოჯახში, ვიდრე სკოლაში.

მოსწავლეთა 47,5% აცხადებს, რომ ყოფილა ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი: დაყვირება – 20,2%; შეშინება – 18,2%; ცუდი ნიშნებით დამუქრება – 17,8%; დამცირება: უხამსი ან საწყენი სახელების დაძახება – 15,2%. მასწავლებლებში გავრცელებული ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებია: ყვირილი (262-დან 73,3%), გინება (236-დან 66,1%) და ცუდი ნიშნებით დამუქრება (232-დან 95,2%). ასევე გამოვლინდა ძალადობის სპეციფიკური წყარო: მასწავლებელი რომელსაც არ აქვს სათანადო განათლება და არასწორად აქვს წარმოდგენილი ზოგიერთი რელიგიური საკითხი და არასწორად ესმის სასკოლო ტრადიციის არსი.

რაც შეეხება სქესობრივ ძალადობას, მოსწავლეთა 5,6% -მა განაცხადა, რომ მასზე სკოლაში გნხორციელებულა სქესობრივი ძალადობა. აქ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო პორნოგრაფიის ჩვენება (4,5%) და არასასურველი კოცნა (0,8%). სექსუალური ძალადობის ფაქტების რაოდენობრივი შეფარდება მსგავს რიცხობრივ მაჩვენებელს გვაძლევს ოჯახსა და სკოლაში.

უსაფრთხო სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ცუდი ყოფაქცევის შემცირებაა. ხარისხიანი განათლების მიღების წინაპირობა კი დამაშინებელი გარემოს აღმოფხვრაა. იმისათვის, რომ სკოლებში მიღწეულ იქნას უსაფრთხო გარემო, მაქსიმალური ძალისხმევა მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს შორის შესაძლო კონფლიქტების პრევენციისკენ უნდა იყოს მიმართული.

მომავალი სკოლების ჩვენეული ხედვა გულისხმობს სკოლაში ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემასა და ზრუნვაზე, სადაც ხელს უწყობენ თითოეული მოსწავლის განვითარებასა და პირადი პასუხისმგებლობის გრძობის ამბლებას. ძალზე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა. ეს ხედვა არის ზემოთ აღნიშნული ორი კონცეფციის – ბიუროკრატიული დისციპლინისა და პროფესიულ ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებული თვითდისციპლინის – ოპტიმალურად შეჭერების მცდელობა.

უსაფრთხო სკოლები უზრუნველყოფენ თითოეული ბავშვის უფლებას, მიიღოს მაღალი დონის განათლება და პატივს სცემდნენ სკოლაში. ჩვენი ხედვა გულისხმობს ისეთ სკოლებს, რომლებიც ადეკვატურ და დროულ რეაგირებას მოახდენენ ცუდ ყოფაქცევაზე (ბიუროკრატიული დისციპლინის მიდგომა). მაგრამ უმთავრესია, ცუდი ყოფაქცევის გამოვლინების თავიდან აცილება (ცოდნა-გამოცდილებით თვითდისციპლინის მიდგომა). ამგვარი სკოლების შექმნაში ჩართული უნდა იყოს მთელი საზოგადოება.

საქართველოს მოზარდთათვის უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნის სტრატეგიები საგანმანათლებლო დაწესებულებების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. სკოლებმა უნდა აღიარონ და კარგად გააცნობიერონ მოზარდთა ფუნდამენტური, საბაზო უფლება – მიიღონ განათლება უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოში. შესაბამისად, სკოლებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ აღზარდონ მოსწავლეები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანი იქნება უსაფრთხოება და სხვისი უფლებების პატივისცემა. ამ მიდგომას

შესაძლოა ვუნოდოთ სამოქალაქო ცნობიერებაზე ან ადამიანის უფლებათა აღიარებაზე დაფუძნებული მიდგომა. ეს მიდგომა, ერთი მხრივ, სრულად შეესატყვისება ადამიანის უფლებათა დაცვისკენ მიმართულ ყველა საერთაშორისო სამართლებრივ აქტს და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს „განათლება ყველასათვის“, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხობს მსოფლიოს მოზარდთა და ბავშვთა მოთხოვნილებას – იცხოვრონ უსაფრთხო გარემოში.

პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, სკოლების ადმინისტრაციისათვის სასარგებლო იქნება, ერთობლივად განავითაროს პრობლემის გადაჭრის მეთოდები, რათა მათ დაქვემდებარებაში მყოფ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეამცირონ ე.წ. რისკ-ფაქტორთა ზემოქმედება და უზრუნველყონ ძალადობის საპასუხო და პრევენციული მექანიზმების დანერგვა. იმავდროულად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლებმა გამოიყენონ ყველა შესაძლო რესურსი იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეებს შორის სოციალური კავშირების ჩამოყალიბება/განმტკიცებას, რადგან ეს პროცესი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ განვითარებას, კონფლიქტების მართვისა და სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

როდესაც ლაპარაკია უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაზე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სასკოლო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა ორი კატეგორია – ფიზიკური და სოციალური. ფიზიკური ფაქტორების კატეგორიაში შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სკოლის ინფრასტრუქტურა, სკოლის ტერიტორია (გარემოცვა) და სხვ. ბუნებრივია, როდესაც ფიზიკური გარემოს მნიშვნელობაზეა ლაპარაკი, იგულისხმება, რომ ეს ფაქტორები მაქსიმალურად ადაპტირებული და მორგებული უნდა იყოს სასკოლო მიზნებს და ქმნიდეს მოსწავლეების, პედაგოგებისა და სხვა წევრებისათვის კომფორტულ, პოზიტიურ პირობებს, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს სკოლაში არაჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრების ერთგვარ პრევენციასაც. ფიზიკურ ფაქტორთა კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე:

- ✓ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით პასუხისმგებელი პირების მორიგეობა ისეთ ადგილებში, სადაც ძალადობის ჩადენის მეტი ალბათობაა;
- ✓ ე.წ. უსაფრთხოების აუდიტის სისტემა, რომელიც ძირითადად კონცენტრირებულია ძალადობის რისკის წინაშე მდგომ კატეგორიათა საკითხების შესწავლაზე;
- ✓ უცხო პირების შემოსვლის შეზღუდვა სკოლის ტერიტორიაზე (გადაადგილების პროცესის კონტროლი);
- ✓ უსაფრთხოების კომიტეტების არსებობა. მათ საქმიანობაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა და ა.შ;
- ✓ უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით ერთ-ერთი ეფექტური გზა შეიძლება იყოს სკოლისათვის უმნიშვნელოვანესი ფიზიკური ფაქტორების იდენტიფიცირება, მათი სტანდარტების დანერგვა და ამ სტანდარტების მიღწევის შეფასების ქმედითი მექანიზმის ჩამოყალიბება.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ ფაქტორთა ერთობლიობა ქმნიდეს მოსწავლეთათვის და, საერთოდ, სასკოლო საზოგადოებისთვის კომფორტულ, უსაფრთხო, წამახალისებელ გარემოს, სადაც ძალადობის ნებისმიერი გამოვლენა სოციალურად მიუღებელი იქნება.

პოზიტიურ სოციალურ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ✓ ისეთი გარემოს შექმნა, სადაც გამორიცხულია ფიზიკური, სიტყვიერი, ფსიქოლოგიური, დისკრიმინაციული, სექსუალური თუ სხვა ნებისმიერი სახის ძალადობრივი ქმედების გამოვლენა;
- ✓ პოზიტიური ქცევის ნახალისება მისი განმტკიცების მიზნით;
- ✓ დისციპლინური პასუხისმგებლობის ეფექტური სისტემის დანერგვა, ერთი მხრივ, მიმართულია ძალადობის ნებისმიერი ფორმის აღკვეთისაკენ, მაგრამ, ამავდროულად, ითვალისწინებს პოზიტიური ქცევის განმტკიცებას, ადამიანთა ღირსებისა და თავმოყვარეობის ხელშეუხებლობას;
- ✓ პასუხისმგებლობისა და ერთგვარი სოციალური მიკუთვნების გრძნობის გაღვივება სასკოლო თემის ყველა წევრში;
- ✓ მიღწევებსა და წარმატებებზე ორიენტირებული ღირებულებების დამკვიდრება;
- ✓ სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი აქტივობების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ დონეზე ჩართვას;
- ✓ პოზიტიური სოციალური გარემოს ფორმირებაში მშობლებისა და ფართო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

უსაფრთხო და კეთილგანწყობილი სასკოლო წესრიგის შექმნის პროცესში ფიზიკური და სოციალური ფაქტორების ზეგავლენის შესწავლა, მათზე ყურადღების გამახვილება, დადებითად აისახება სასკოლო გარემოსა და მასში მონაწილე ყველა ადამიანის განვითარებაზე. უსაფრთხო გარემოზე ზრუნვისას აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა; უნდა შეიქმნას ყველა აუცილებელი პირობა მოსწავლეთა პოტენციალის სრულად გამოვლენისათვის, რაც გულისხმობს გაკვეთილების სისტემატური გაცდენის პრევენციას – მოსწავლეთა მხარდაჭერას (განსაკუთრებით – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დახმარებას) და სოციალურად მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას. სკოლის საზოგადოებამ უნდა იზრუნოს, რომ ნაკლებად ტოლერანტული გახდეს დამოკიდებულება მოზარდების მხრიდან სხვისი ღირსების შეურაცხმყოფელი ქცევების მიმართ, რომ მოსწავლეებს სასკოლო ასაკიდანვე განუვითარდეთ როგორც საკუთარი თავის პატივისცემა, საკუთარი უფლებების ცოდნა და ღირსების გრძნობა, ისე – სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა. აღნიშნული ღირებულებების დანერგვა და განვითარება უნდა მოხდეს არა მხოლოდ კონკრეტულ სასკოლო გარემოში, არამედ, ზოგადად, თემის/ქვეყნის მასშტაბით, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო ცნობიერებისა და ღირებულებების მქონე პიროვნებების ჩამოყალიბებას, რომლებსაც კარგად ესმით საკუთარი მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი უფლება-მოვალეობანი. ამ მიდგომის დამკვიდრებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლებმა სამუშაო პროცესში და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების დროს გამოიყენონ შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- ✓ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთონ პოზიტიური გარემოს, სამოქალაქო ცნობიერებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისკენ მიმართულ ყველა აქტივობაში მათი დაგეგმვის მომენტიდანვე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლოა მრავალფეროვან (ეთნიკურ, კულტურულ, სოციალურ და ა. შ.) საზოგადოებაში;
- ✓ ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებისაკენ, ანუ ღირებულებებისა და ნორმების ქცევაში გამოვლენისაკენ და არა მხოლოდ მათი პასიური შემეცნებისაკენ;

- ✓ თანასწორობის პრინციპი უნდა იყოს იმ გარემოს განუყოფელი ნაწილი, რომელშიც ბავშვები იზრდებიან;
- ✓ განათლების მისაღებად მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხელსაყრელი, მშვიდი, წამახალისებელი გარემო, რომელიც იმავდროულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკურ, ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას;
- ✓ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მშობელთა და საზოგადოების მაღალ დონეზე ჩართვა ყველა იმ ინიციატივასა თუ პროგრამაში, რომელიც მიმართულია სკოლაში უსაფრთხოებისა და პატივისცემის გარემოს შექმნისაკენ.

ამ პრინციპების დანერგვის პროცესში სკოლები უნდა იყენებდნენ არაძალადობრივი კომუნიკაციის, მოლაპარაკებების, კონფლიქტების გადაჭრის კონსტრუქციულ გზებს, მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ პედაგოგებისა და მოსწავლეების დისციპლინის საკითხებს, ქცევის ნორმების დადგენისა და მათი დაცვის ეფექტური მართვის დამკვიდრების გზით. იმავდროულად, უმნიშვნელოვანესია, რომ სკოლებმა იმუშაონ სამოქალაქო ცნობიერებისა და მაღალი მორალური ღირებულებების მექანიზმების მოსწავლეთა აღზრდაზე. ძალიან დიდია პედაგოგის, როგორც მოსწავლის გონებრივ და ემოციურ განვითარებაზე ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირის მნიშვნელობა მოსწავლეების მაღალი სამოქალაქო ღირებულებების მექანიზმების პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. განსაკუთრებით კრიტიკული ხდება პედაგოგის მნიშვნელობა და მისი როლი იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე ხდება ოჯახური ან საზოგადოებრივი ძალადობის მსხვერპლი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა გადამზადება. კერძოდ, მუშაობა უნდა წარიმართოს ადეკვატური სასწავლო მეთოდოლოგიისა და ტექნიკის სწავლების მიმართულებით, რათა პედაგოგს შესწევდეს უნარი მოსწავლეებს განუვითაროს ყველა ის ღირებულება და უნარ-ჩვევა, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი.

სკოლებში უსაფრთხო გარემოს შექმნის აუცილებელი პირობაა სკოლებში მზრუნველი, კეთილგანწყობილი ქცევის განმტკიცება. წამყვანი ექსპერტები, კვლევები, მშობლები და მეცნიერები – ყველანი ერთხმად გვიჩვენებენ პოზიტიური განმტკიცების გამოყენებას ბავშვების ქცევის შესაცვლელად. ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მეთოდად ითვლება წახალისების ტექნიკა. წახალისებაში იგულისხმება სოციალური აღიარება და კარგი ყოფაქცევის დაფასება. პოზიტიური განმტკიცება წარმატებით მუშაობს იმიტომ, რომ ის ბავშვებს უყალიბებს დადებით მიზნებს და არ არის მიმართული მხოლოდ უარყოფითი შედეგის თავიდან არიდებისკენ. პოზიტიური განმტკიცება თითოეულ ბავშვს უვითარებს ძლიერ ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს, რადგანაც აყალიბებს დადებით და ჯანსაღ ურთიერთობას აღმზრდელსა და მოსწავლეს შორის. დადებითი სწავლების მოდელი განაპირობებს და განავითარებს სასურველ ქცევას. სკოლებს ასევე სჭირდებათ პოზიტიური სტრატეგიები, რათა მოსწავლეებისათვის გასაგები და თვალსაჩინო იყოს სკოლის მოლოდინი. ეს სტრატეგიები გაჭერებული უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული წახალისებისა და სადამსჯელო ღონისძიებების სისტემით, რომელიც სამართლიანი და თანმიმდევრული იქნება როგორც მოსწავლეებისათვის, ისე სკოლის თითოეული თანამშრომლისათვის. კარგი ქცევა უნდა ისწავლებოდეს, ამისათვის კი სკოლამ უნდა მიმართოს ისეთ პროცედურებსა და პრაქტიკას, რომელიც ასწავლის ბავშვებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ. კარგი საქციელის მოდელირება უნდა მოხდეს მთელი სასკოლო თემის მიერ. ამისათვის კი სკოლის თანამშრომლებს ესაჭიროებათ წვრთნა და მხარდაჭერა, რათა ადეკვატურად გაიგონ და ეფექტურად გაუმკლავდნენ მოსწავლეების ცუდ ყოფაქცევას.

გემოთ აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი საშუალება გახლავთ უსაფრთხო სკოლის სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2008 წლიდან ახორციელებს, სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. პირველ ეტაპზე, პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა მექანიზმებისა და დოკუმენტების შემუშავება, დახვეწა და დანერგვა დაიწყო საქართველოს 40 საპილოტე სკოლაში. ამჟამად, ამ პროგრამის ფარგლებში უკვე შემუშავებულია სკოლის საზოგადოების ძირითად წევრთა – მოსწავლის, მასწავლებლის, დირექტორისა და მანდატურის – ქცევის კოდექსები. ასევე, 2011 წლიდან იწვევება საჯარო სკოლაში მოსწავლეთა გაცდენა-დაგვიანებების აღრიცხვა და კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი – ელექტრონული ჟურნალი. უსაფრთხო სკოლის პროგრამასთან თანამშრომლობით 2008-2010წწ-ში შეიქმნა და საქართველოს ასობით სკოლაში დაინერგა ტოლერანტობისა და საგზაო უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამები დაწყებითი კლასებისათვის. ასევე, განვითარდა კლასგარეშე დროის გამოყენებისათვის კლუბებისა და წრეების მუშაობის მცირედი პრაქტიკა. უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წლიდან დაიწყო და აგრძელებს სკოლის მანდატურის ინსტიტუტის დანერგვას.

სკოლისა და სამართალდამცველი ორგანოების ორგანიზებული თანამშრომლობა დაიწყო 2008 წლიდან და ახლაც ვითარდება. ამ თანამშრომლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ორგანიზაციას “PH-International” (პროექტი „ჰარმონია“), რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებთან და უზენაეს სასამართლოსთან ერთად ახორციელებს სამართლებრივი განათლების პროგრამას. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში არის შემუშავებული წინამდებარე გზამკვლევი, რათა ამოქმედდეს და განვითარდეს უსაფრთხო სკოლის პროგრამის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი. სახელმწიფო პროგრამის ორგანული ნაწილია სკოლის შიდა რესურსების განვითარება და მათი ეფექტურობის გაზრდა, კერძოდ:

- ✓ სკოლის მასწავლებელთა ტრენინგები;
- ✓ მშობელთა პედაგოგიზაცია;
- ✓ საჯარო სკოლებში დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტების მუშაობის ხელშეწყობა;
- ✓ დისციპლინური გადაცდომების აღრიცხვის დანერგვის ხელშეწყობა (მოსწავლეთა პირადი საქმეები).

სკოლაში დისციპლინაზე ზრუნვასა და მის დაცვაში სხვადასხვაგვარი დანიშნულებითა და პასუხისმგებლობით მონაწილეობენ სკოლის წევრები. დისციპლინის რეგულირებაში სკოლის შიგნით ფუნქციების გადანაწილება ეფუძნება რამდენიმე ძირეულ პრინციპს, რომელიც ასახულია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა (ეს დოკუმენტი უკვე განვიხილეთ 1-ელ თავში) და საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ. კერძოდ (მუხლი 19 – დისციპლინა):

- „1. სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას;
2. სკოლის შინაგანანგესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაბომადი;
4. დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანანგესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით“.

არსებითაა, რომ დისციპლინის უზრუნველყოფა სკოლაში ეფუძნებოდეს ადამიანების ღირსების პატივისცემას, მოთხოვნები და გადაწყვეტილებები კი იყოს გონივრული, დასაბუთებული, თანაბომადი, ჯეროვანი და სამართლიანი. ჩამოთვლილი ნიშნების ერთობლიობა მხოლოდ დემოკრატიული სისტემისთვის არის დამახასიათებელი. ამგვარი სისტემის ჩამოყალიბება, ამოქმედება და კონტროლი კი შეუძლებელია განხორციელდეს სკოლის საზოგადოების სხვადასხვა წევრების ერთობლივი მსჯელობის, თანამშრომლობისა და გადაწყვეტილებების გარეშე.

ნებისმიერ საზოგადოებაში და მით უფრო სკოლაში, წესრიგის ანუ დისციპლინის დამყარებისა და უზრუნველყოფის უფლებამოსილების თავმოყრა ერთადამიანსა თუ ორგანოში აუცილებლად იწვევს უსამართლობის გაღვივებას. სწორედ, ამის თავიდან ასაცილებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობის სხვადასხვა ორგანოს სხვადასხვა ფუნქცია აქვს დისციპლინის მართვაში.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ისევე, როგორც სხვა ორგანიზაციაში, ადამიანების ქცევის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის კონსტიტუციასა და კანონმდებლობას. ამ თვალსაზრისით, სკოლისათვის განსაკუთრებით აქტუალურია კანონმდებლობისა და სხვა საერთო თუ განათლების სფეროს ნორმატიული აქტები, რომლებითაც ქვეყანაში წესრიგდება:

- ✓ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;
- ✓ ბავშვთა უფლებები;
- ✓ სხვადასხვა სახის (სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ა.შ.) სამართალდაცვა.

ზოგადი განათლების სისტემაში დასაქმებული ადამიანებისა და მოქმედი ორგანიზაციებისათვის ამ საკითხებიდან მეტად მნიშვნელოვანი ყველა საკითხი გაერთიანებული და დაბუხტებული არის საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ. მართალია, კანონში ცალკე მე-19 მუხლი აქვს მიძღვნილი დისციპლინას, მაგრამ მისი რეგულირებისათვის აუცილებელი დებულებები კანონის სხვადასხვა ნაწილშია (მაგ: უფლებები და თავისუფლებები, სხვადასხვა სტრუქტურისა და ორგანოს უფლებამოსილებები და ა.შ.). სწორედ ეს კანონი და მასზე დაფუძნებული მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლის დირექტორისა და სკოლის მანდატურის ქცევის კოდექსები არის სასკოლო დისციპლინის საერთო-ეროვნული მარეგულირებელი დოკუმენტები.


მაგრამ ასეთი სისტემა სრულად და სრულფასოვნად ვერ პასუხობს მრავალფეროვანი საზოგადოებისა და სკოლების კონკრეტულ საჭიროებებსა თუ მისწრაფებებს დისციპლინის საკითხებში. ამას გარდა კონკრეტულ სკოლაში დისციპლინის მართვისათვის უფრო მოხერხებულია არსებობდეს წესთა გაერთიანებული კრებული, რომელშიც ასახული

იქნება საყოველთაო თუ ამ სკოლისათვის დამახასიათებელი მოთხოვნები, მათი უზრუნველყოფის მექანიზმები.

კონკრეტული სკოლისათვის დისციპლინის არსებული მდგომარეობისა და მისი განვითარების ამსახველი ასეთი ერთიანი დოკუმენტი არის სკოლის შინაგანაწესი. ეს არის სკოლის მიერ შემუშავებული წესებისა და ქცევის კოდექსი, რომელსაც უნდა იცნობდეს და ემორჩილებოდეს სკოლის თითოეული თანამშრომელი და მოსწავლე.

1.12 დისციპლინის მართვის პროცესი სკოლაში

დისციპლინური კომიტეტის დანიშნულების გასააზრებლად სასარგებლოა სკოლის სტრუქტურისა და დისციპლინის მართვის პროცესის ერთმანეთთან დაკავშირება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლაში დისციპლინის მართვა უწყვეტი და ციკლური პროცესია.




სქემაზე ქვედა ციკლის საწყისი ეტაპია შინაგანაწესის შემუშავება (შემდგომში კი განახლება). როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ ამ დოკუმენტში აისახება სკოლაში ნებისმიერი ადამიანის ქცევის წესები, პირობები და გარემოებები, ნორმები და მოთხოვნები. შესაბამისად, ამ დოკუმენტში უნდა იყოს გაცხადებული ვისთვის რა ქცევაა დაუშვებელი და რა – სავალდებულო. სწორედ, აქ უნდა იყოს განსაზღვრული მოსაწონი ქცევის ნახალისებისა, ხოლო დაუშვებელი ქცევისათვის პასუხისმგებლობის ფორმები. ბუნებრივია, შინაგანაწესით უნდა იყოს განსაზღვრული დისციპლინის მართვის მექანიზმები, მეთოდები და პროცედურები – ვინ და როგორ ადევნებს თვალყურს სკოლის წევრების ქცევას? როგორ ხდება ქცევის დარღვევის გამოვლენა, დადასტურება და მასზე რეაგირება? ვინ იღებს გადაწყვეტილებებს და ვინ ახორციელებს? როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება და მათი სამართლიანობის უზრუნველყოფა? როგორ ხდება რაიმე გადაწყვეტილების გასაჩივრება? როგორ ხდება სკოლის წევრებისათვის ქცევის წესების გაცნობა? და ა.შ.

შინაგანაწესი უნდა ასახავდეს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური ქცევის ნორმებსაც. ამ დოკუმენტში აღინიშნება სხვადასხვაგვარი საკითხები: სასკოლო დროის რეჟიმი/განრიგი; სკოლის წევრების ქცევასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები – როგორც საყოველთაო, ისე ცალკეული კატეგორიისთვის; დისციპლინური გადაცდომები, სახდელები და შესაბამისი პროცედურები: დისციპლინური დევნა და გასაჩივრება; დისციპლინის მართვაში ჩართული მხარეების ურთიერთქმედების წესები და ა.შ.

ნათელია, რომ შინაგანაწესის შემუშავება და მისი განახლება მეტად მნიშვნელოვანია სკოლის ყველა წევრისათვის. ამასთან, შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა, რადგან მასზე ბევრად არის დამოკიდებული სკოლის ყოველდღიური ცხოვრება. ამიტომაც, სკოლის შინაგანაწესის შემუშავებაში აუცილებელია სკოლის სხვადასხვა წევრების ორგანიზებული მონაწილეობა და მათი საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება. მიდგომა მარტივია – საზოგადოების თითოეული წევრი უფრო მეტად იცავს და უფრთხილდება ქცევის იმ წესებს, რომელთა დადგენაში თვითონ მონაწილეობს და იზიარებს. ეს გახლავთ თვითდისციპლინის განვითარებაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც უფრო მეტ მდგრადობას უზრუნველყოფს, ვიდრე ბიუროკრატიული მიდგომა.

1.13 დისციპლინის მართვით დაინტერესებული მხარეები საჯარო სკოლაში

საჯარო სკოლის სტრუქტურა



ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლის შინაგანანწესის შემუშავებაში (წინადადებების წარდგენა, განხილვებისას მოსაზრებების გამოთქმა) მონაწილეობის უფლება აქვთ:

- ✓ **მოსწავლეებს** – როგორც ინდივიდუალურად, ისე საბაზო და საშუალო საფეხურის თვითმმართველობების მეშვეობით;
- ✓ **მასწავლებლებს** – როგორც ინდივიდუალურად, ისე სკოლის პედაგოგიური საბჭოს მეშვეობით;
- ✓ **მშობლებს** – როგორც ინდივიდუალურად, ისე სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მეშვეობით. ასევე, კანონი აძლევს საშუალებას მშობლებს შექმნან საკუთარი თვითმმართველი გაერთიანებები (კომიტეტები, საბჭოები, ასოციაციები, კურსდამთავრებულთა კლუბები და ა.შ.) და მათი მეშვეობით უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა სკოლის ცხოვრებაში;
- ✓ **სკოლის ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და დამხმარე პერსონალს** – როგორც ინდივიდუალურად, ისე დირექციის მეშვეობით;

სკოლის შინაგანანწესის წარდგენა დასამტკიცებლად არის მხოლოდ სკოლის დირექტორის როგორც უფლება, ისე მოვალეობა.

სკოლის სამეურვეო საბჭო კი „სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანანწესს, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს, სკოლიდან გადაყვანის პირობებს“ (კანონი ზოგადი განათლების შესახებ).

სამეურვეო საბჭო, სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლის გადაწყვეტილებას შინაგანანწესის თაობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სკოლის ყველა წევრისა და გარეშე პირების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ქცევაზე, სასკოლო დროსა და სკოლის ტერიტორიაზე. ამდენად, სამეურვეო საბჭოს თითოეული წევრი (მშობლები, მასწავლებლები, საშუალო საფეხურის მოსწავლე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი) დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ დოკუმენტს. მათ მიერ დამტკიცებული შინაგანანწესი ვრცელდება საკუთრივ მათზე და მათ ამომრჩევლებზე, რომელთა წინაშე ისინი ანგარიშვალდებულნი არიან. ეს კი ნიშნავს – სამეურვეო საბჭო სკოლის დირექტორის მიერ წარდგენილი შინაგანანწესის განხილვისას უნდა დარწმუნდეს, რომ დოკუმენტი მართლაც ასახავს სკოლის საზოგადოების ყველა მხარის ინტერესსა და შესაძლებლობებს. სხვა შემთხვევაში სამეურვეო საბჭომ შესაძლოა ვერ მიიღოს გადაწყვეტილება დამტკიცების შესახებ და წარმოდგენილი პროექტი სკოლის დირექტორს დასახვეწად მიუბრუნოს.

გემოაღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, სკოლის გონიერი დირექტორი შინაგანანწესის წარდგენამდე მისი შემუშავების პროცესს ისე დაგეგმავს, რომ ყველა უფლებამოსილ და დაინტერესებულ მხარეს სრულად მონაწილეობის საშუალება მიეცეს. რაც უფრო მრავალმხრივ შეჭვრებულია შინაგანანწესის პროექტი, მით უფრო სრულფასოვანია, ადვილია მისი დამტკიცება და განხორციელება. ჯობს შემუშავების (შემდგომში განახლების) პროცესის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია იყოს საჭარო. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესშივე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია და ა.შ.) ერთმანეთთან აჭვრებდნენ საკუთარ მოსაზრებებს. ასეთი თანამშრომლობა სასარგებლოა არა მხოლოდ ქცევისადმი მოთხოვნების დასახვეწად, არამედ შინაგანანწესის განხორციელების პროცესში

ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გასანაწილებლადაც. ასეთ ვითარებაში მეტი შანსია, რომ მონიტორინგისა და რეაგირების ფუნქციები გონივრულად, სამართლიანად გადანაწილდეს და დისციპლინის ყოველდღიური მართვა არ აღმოჩნდეს მხოლოდ სკოლის დირექციის უფლებაც და ტვირთიც. ძალაუფლების ჭარბად თავმოყრა სახიფათოა ამ ძალის მფლობელისთვისაც და მათთვისაც, ვისზეც ის ვრცელდება.

მნიშვნელოვანია, რომ შინაგანაწესის შემუშავებისას ყველა დაინტერესებულ მხარეს კარგად ჰქონდეს გააზრებული, რომ ეს არ არის ერთჯერადი და სამარადჟამო გადაწყვეტილებები. ადამიანების ქცევა და შესაბამისი წესრიგი ანუ დისციპლინა ძალიან დინამიკური და ცვალებადია. მაშასადამე, შინაგანაწესი რეგულარულად უნდა იხვეწებოდეს.

არსებითია, რომ ყველა უფლებამოსილ და დაინტერესებულ მხარეს კარგად ჰქონდეს გააზრებული – წესების განხორციელება, ქცევის მონიტორინგი და შეფასება, შედეგების ანალიზი არანაკლებ (ზოგჯერ მეტადაც) მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად წესი. ჩამოთვლილი საქმიანობები თავად არის ქცევები, რომელთა სამართლიანობა სკოლის წევრთა უმრავლესობაში ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სასკოლო დისციპლინის მართვის ციკლის შემდეგი, ყველაზე ხანგრძლივი, ინტენსიური, შრომატევადი, მრავალმხრივი და რთული ეტაპია შინაგანაწესის დაცვა – სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე სკოლის წევრების ქცევაზე დაკვირვება, გადაცდომების გამოვლენა და მათზე შესაბამისი ზეგავლენა.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ შინაგანაწესის დაცვისათვის რამდენიმე განსაკუთრებულ უფლება-მოვალეობას განუსაზღვრავს სკოლის რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულს.

სამეურვეო საბჭო:

- ✓ „უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულება შეუწყვიტოს სკოლის დირექტორს“. დირექტორის შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთი სავალდებულო ნაწილია სკოლის შინაგანაწესისა და სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დაცვა;
- ✓ „განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს“. საჩივრით მიმართვის უფლება აქვს სკოლის ნებისმიერ წევრს და შესაძლოა ის ეხებოდეს დისციპლინას;
- ✓ „უფლებამოსილია მოთხოვოს სკოლის დირექტორს, ვადამდე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში“. მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთი სავალდებულო ნაწილია სკოლის შინაგანაწესისა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსის დაცვა. კანონის ეს დებულება მიგვანიშნებს იმაზეც, რომ ჯობს შინაგანაწესში განსაზღვრული იყოს სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედებები და შესაბამისი პასუხისმგებლობები. ამას გარდა, ეს გულისხმობს სამეურვეო საბჭოს დამოუკიდებელ უფლებამოსილებას მასწავლებლების დისციპლინის მონიტორინგში;
- ✓ „ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს“. შინაგანაწესის დაცვის გარკვეულ ფუნქციებს უნაწილებს სკოლის სხვა სტრუქტურულ ერთეულს, სკოლის წევრთა სხვა ჯგუფს;
- ✓ „უფლებამოსილია წესდებით გათვალისწინებული წესით, დისციპლინური კომიტეტის

გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი“. დისციპლინის მართვისას მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა და სწორედ ამის გამო, მნიშვნელოვანია კონკრეტულ საქციელთან დაკავშირებით ერთგან მიღებული გადაწყვეტილების სხვებთან გადასინჯვის შესაძლებლობა. სწორედ ამის გამო, „სააპელაციო კომიტეტი და სამეურვეო საბჭო განიხილავს აგრეთვე საჩივრებს, რომლებიც ეხება დირექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს“. ეს დებულება იმავდროულად მიუთითებს, რომ შინაგანანესის დაცვაში აუცილებლად არის ჩართული **სკოლის დირექტორი**, რომელიც:

„სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს“. საჩივრით მიმართვის უფლება აქვს სკოლის ნებისმიერ წევრს და შესაძლოა ის ეხებოდეს დისციპლინას.

„ზედამხედველობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს“. მთელი ეს პროცესი, ბუნებრივია, მოიცავს სკოლის წევრთა ქცევას და შესაბამისად, გულისხმობს სასკოლო დისციპლინის ზედამხედველობას.

„უზრუნველყოფს პედაგოგებთან ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, დებს ხელშეკრულებებს სკოლის ტექნიკურ თანამშრომლებთან“. ნებისმიერი შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთი სავალდებულო ნაწილია ორგანიზაციის – ამ შემთხვევაში სკოლის შინაგანანესის, დაცვა. ეს დებულება მიგვანიშნებს, რომ სასკოლო დისციპლინა ვრცელდება სკოლის ტექნიკურ თანამშრომლებზეც. არსებითია, რომ სკოლის თანამშრომლების დისციპლინის მონიტორინგის ფუნქცია დირექტორის (და არა სამეურვეო საბჭოს) მოვალეობად განიხილება.

„უფლებამოსილია, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება მასწავლებელთან ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურებისას; უფლებამოსილია, სამეურვეო საბჭოს წევრ მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში“. ეს დებულებები კიდევ უფრო განამტკიცებს დირექტორის მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობას მასწავლებლების მიერ შინაგანანესის დაცვაში.

„გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს“. საქართველოს საჯარო სკოლებში ამგვარი აქტების გამოცემის უფლებამოსილება მხოლოდ დირექტორს აქვს, რაც ზრდის მის პასუხისმგებლობას. მართალია, სკოლისათვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს სამეურვეო საბჭო იღებს (წესდების შეთანხმება, ბიუჯეტი, შინაგანანესი და ა.შ.) და ამას დოკუმენტურად ოქმით ადასტურებს, მაგრამ ყველა ეს დოკუმენტი კანონიერ ძალას იძენს დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. ამასთან, აქტები შინაარსობრივად სასკოლო ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის დისციპლინასაც, მოიცავს. ასეთ დროს აუცილებელია, დირექტორის ესა თუ ის აქტი/გადაწყვეტილება ნაკლებად ერთპიროვნული იყოს და ითვალისწინებდეს შესაბამის უტყუარ მონაცემებსა თუ დასკვნებს.

სკოლის დირექტორი პერსონალურად აბაბს პასუხს:

„ეროვნული სასწავლო გეგმის, განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესრულებასა და სააღმზრდელო პროცესზე“. როგორც უკვე აღინიშნა, ამგვარი საერთო

ეროვნული ნორმატიული აქტების უმრავლესობა სრულად თუ ნაწილობრივ უკავშირდება სასკოლო დისციპლინას ისევე, როგორც სააღმზრდელო პროცესი. ამდენად, მოთხოვნების შესრულებასა და პროცესის მიმდინარეობაზე მომეტებული პასუხისმგებლობა დირექტორს კარნახობს, მეტად იზრუნოს დისციპლინის მართვის რთულ სისტემაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე. ამის შესაძლებლობას თავად კანონი აძლევს, როდესაც სკოლას ამგვარი საკითხების წესდებით განსაზღვრის უფლებამოსილებას ანიჭებს.

„სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე“. ეს დებულება კიდევ ერთხელ გვახსენებს დისციპლინის მნიშვნელობას ადამიანების უსაფრთხოებაში. იმავდროულად, კანონით დაკისრებული ასეთი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მეტად უბიძგებს დირექტორს, რომ იზრუნოს სკოლის სხვადასხვა წევრთა მეტ ჩართულობაზე დისციპლინის მართვისა და შინაგანაწესის დაცვის პროცესში, რაც პასუხისმგებლობის გაზიარებასაც ნიშნავს.

დისციპლინური კომიტეტი:

ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და საჯარო სკოლების სადამფუძნებლო წესდების ნიმუშის თანახმად, *„სამეურვეო საბჭო დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს“.* ეს დებულება მიუთითებს შინაგანაწესის დაცვის ეტაპზე სკოლის თვითმმართველობის ამ ორგანოს არსებით და მნიშვნელოვან როლზე. კომიტეტი ხომ სწორედ სასკოლო დისციპლინის მართვისათვის განკუთვნილი სტრუქტურაა. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ შინაგანაწესის დაცვაში სკოლის სხვა წევრები და ორგანოები არ მონაწილეობენ. დისციპლინური გადაცდომების დამოუკიდებელი განხილვა სამართლიანობის მეტი ხარისხისთვისაა საჭირო. ამასთან, განხილვა რაიმე სახის შედეგით – გადაწყვეტილებით ან გადაწყვეტილების მიმღებთათვის აუცილებელი დასკვნით – სრულდება. ხოლო გადაწყვეტილების მიმღებთა მრავალფეროვნებაზე კვლავ კანონი მიგვანიშნებს.

მაგალითად, კანონში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი შინაგანაწესის დარღვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ზომები (მუხლი 19. პუნქტი 3):

„სკოლის შინაგანაწესით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გარდა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს მოსწავლის გაფრთხილება, მკაცრი გაფრთხილება, გაკვეთილიდან გაძევება, სკოლიდან დროებით დათხოვნა, მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება და სხვა დისციპლინური სახდელები. მოსწავლის სკოლიდან დროებით დათხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. სკოლა ვალდებულია, მოსწავლე გაკვეთილიდან გაძევების ან სკოლიდან დროებით დათხოვნის შემთხვევაში თავისი მზრუნველობის ქვეშ ჰყავდეს“.

როგორც ხედავთ, შინაგანაწესით მოსწავლისათვის, ანუ არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობებს შორის ყველაზე მკაცრი არის: გაკვეთილიდან გაძევება და სკოლიდან დროებით დათხოვნა. სწორედ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონით განსაზღვრულია გადაწყვეტილების მიმღებთა წრე (მუხლი 19. პუნქტი 12):

„მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების

უფლება – სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადანაცვებების მიღების უფლება – დისციპლინურ კომიტეტს, ფარული კენჭისყრით“.

კანონში ეს ერთადერთი დებულებაა, რომელიც ძალიან კონკრეტულად ეხება სკოლის შინაგანაწესის დაცვის წესებს. ეს დებულება სკოლებს აძლევს მკაფიო მინიშნებას სასკოლო დისციპლინის მართვაში ერთი მხრივ, სხვადასხვა მხარეების მონაწილეობის აუცილებლობისა და შესაძლებლობის შესახებ, მეორე მხრივ, უქმნის წარმოდგენას სკოლებს ამ მხარეების მონაწილეობის სიხშირისა და პასუხისმგებლობის შესახებ.

როგორც ხედავთ, სასკოლო დისციპლინის მართვის მხოლოდ მცირე და ძალიან მტკივნეულ საკითხებშია აღწერილი სკოლის ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები. ზოგადად, დისციპლინასთან დაკავშირებით კი, კანონი ბევრ სხვადასხვაგვარ მოთხოვნას აწესებს მთელ სკოლასთან მიმართებაში და აღარ აკონკრეტებს რომელიმე სუბიექტს. იმავდროულად, სკოლის თვითმმართველობის ორგანოებზეა დელეგირებული/გადაცემული დისციპლინის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და განხორციელება. სწორედ ამიტომ გვხვდება ხშირად ასეთი ჩანაწერები: „სკოლის წესდებით დადგენილი წესით“ ან „სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“ და .ა. შ.

1.14

დისციპლინა ავტონომიურ და თვითმმართველ სკოლაში

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების სრულფასოვნად მისაღწევად და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების ეფექტურად შესასრულებლად, სკოლებმა სრულად გამოიყენონ მათზე დელეგირებული უფლებები. ეს საჭიროება დღესაც აქტუალურია, რასაც ადასტურებს 2009-2011 წელს ჩატარებული კვლევებიც:

- ✓ საჯარო სკოლები არ ანიჭებენ სათანადო მნიშვნელობას დისციპლინურ კომიტეტებს;
- ✓ ამ კომიტეტების წევრები ხშირ შემთხვევაში არ იცნობენ და არა აქვთ გათავისებული თავიანთი უფლება-მოვალეობები.

დისციპლინური კომიტეტების შესახებ გაკეთებული დასკვნების დასაბუთებისათვის რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ ერთ-ერთი რეგიონის კვლევიდან:

- ✓ „15 სამიზნე სკოლიდან მხოლოდ 8 სკოლამ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტის სხდომათა ოქმები. დანარჩენ 7 სკოლაში 2009-2010 სასწავლო წელს არ ფუნქციონირებდა დისციპლინური კომიტეტი;
- ✓ 1 სკოლის დირექტორმა განაცხადა: „სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, ატარებს სხდომებს, თუმცა ოქმები არ გაფორმებულა“ (?!);
- ✓ არც ერთი სკოლის დისციპლინურ კომიტეტს არა აქვს ჩამოყალიბებული მუშაობის წესები; სკოლის შინაგანაწესში არ არის ასახული დისციპლინური კომიტეტის წევრთა უფლება-მოვალეობები“.

ამ მდგომარეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიზეზია სკოლების მიერ საკუთარი, კანონიერი ადმინისტრაციული ავტონომიის გამოუყენებლობა. უპირველესად, საჭიროა, სკოლებმა

შეიმუშაონ საკუთარ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებული წესდებები და შინაგანაწესები, რომლებიც უფრო მკაფიოსა და ნათელს გახდის სკოლის სტრუქტურების ფუნქციებს, საქმიანობასა და პასუხისმგებლობებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2005 წელს ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად შეიმუშავა და დაამტკიცა საჯარო სკოლის წესდება, რომლის საფუძველზეც დააფუძნა სკოლები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. ამავე კანონის თანახმად, აღნიშნული წესდება განკუთვნილი იყო მხოლოდ ახალი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მისანიჭებლად სკოლებისათვის (26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი, 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 57-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 58-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები).

ეს სადამფუძნებლო წესდება, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, სრულად არ ასახავს სასკოლო დისციპლინის მართვის მექანიზმებსა და მასში ჩართული სუბიექტების უფლებამოსილებებს. არადა, სამწუხაროდ, საჯარო სკოლების უმეტესობა დღემდე სარგებლობს 2005 წლის სადამფუძნებლო წესდებით, რითაც საკუთარ საქმიანობას ხშირად ჩიხში აქცევს.

მართალია, მასში კანონის გარკვეული დებულებები უფრო მეტად არის დაზუსტებული, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ სკოლის თვითმმართველობის სხვადასხვა არჩევითი ორგანოების არჩევის წესსა და მიმდინარე საქმიანობას. მაგალითად, მასში აღწერილია მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვა დირექტორის მიერ. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევებს და არ ეხება სკოლის წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებს. ასე მაგალითად, ამ წესდებაში არ არის განსაზღვრული სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლებისა და მასწავლებლების კონკრეტული რაოდენობები, თუმცა კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „*სამეურვეო საბჭოს მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოსაგან არჩეული წევრების რაოდენობა განისაზღვრება სკოლის წესდებით*“.

საქმე ისაა, რომ სამეურვეო საბჭოების 1-ლი არჩევნების (2006წ.) შემდეგ უკვე ძალაში შევიდა ამავე კანონის სხვა მოთხოვნები, რომლითაც ავტონომიურად უნდა განისაზღვროს სკოლის წესდება. მაგალითად, მუხლი 43, პუნქტი 1.მ: „*სკოლის დირექტორი შეიმუშავებს სკოლის წესდების პროექტს და წარუდგენს სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად, ხოლო საბჭოსთან შეთანხმებულ პროექტს – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად*“.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 2010 წლიდან იწერება კანონით გათვალისწინებული, სკოლის მანდატურის ინსტიტუტი. მართალია, სკოლის მანდატურები არიან არა სკოლის, არამედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები, მაგრამ ისინი კანონის თანახმად მონაწილეობენ სკოლის შინაგანაწესის დაცვაში:

„*სკოლის მანდატური – შესაბამისი განათლების მქონე, ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*“. (მუხლი 2. პ¹) როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ შინაგანაწესი – სკოლის წევრთა ქცევის კოდექსი, ასახავს. მართალია, სკოლის მანდატურებს საზოგადოებრივი წესრიგის ფიზიკური ფაქტორების კონტროლი მეტად ევა-

ლებათ, მაგრამ ასევე მათი უფლება-მოვალეობები არის (მუხლი 48³):

- „გ) სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის ან მასწავლებლის თხოვნით, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება და მათი კონტროლი;
- ე) მოსწავლეთა მშობლებისა და სკოლის დირექციის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა ქცევის შესახებ;
- ბ) დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება;
- თ) სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა მშობლებთან შეხვედრებში მონაწილეობა;
- ი) სკოლის შინაგანაწესის შესრულების კონტროლი“.

ცხადია, საჯარო სკოლების 2005 წელს დამტკიცებული სადამფუძნებლო წესდება არ აღწერს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს სკოლის მანდატურთან მიმართებაში. სწორედ სასკოლო დისციპლინის მართვაში გავრცელებულ ბუნდოვანებას ასახავს ზემოთ მოტანილი კვლევის შედეგები და ამ ხარვეზებმა დააჩქარა დამატებითი ინსტიტუტის - მანდატურის შემოღება. ამდენად, კიდევ უფრო თვალსაჩინო და აქტუალურია საჯარო სკოლებისათვის საკუთარი წესდებებისა და შინაგანაწესების განახლება.

არსებითია, რომ საზოგადოებრივი წესრიგისა და სასკოლო დისციპლინის დაცვაში მკაფიოდ, სამართლიანად, გონივრულად და კანონის შესაბამისად იყოს განსაზღვრული სკოლის წევრების, ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა და ურთიერთქმედება. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო დისციპლინის მართვაში მონაწილე პირების ფუნქციები, დამოუკიდებელი და ერთობლივი საქმიანობები ნათლად იყოს აღწერილი სკოლის კონსტიტუციაში – წესდებაში. ეს კიდევ უფრო გაუადვილებს სკოლებს საკუთარი შინაგანაწესების სრულყოფასა და დაცვას.

სკოლა მოწოდებულია სამოქალაქო ცნობიერებასა და ღირებულებებზე დამყარებული დისციპლინა განავითაროს თავის წევრებში, მათივე მონაწილეობით. არსებითია, რომ სკოლის დონეზე საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სამართლიანობის პრინციპების განსახორციელებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ კანონით მინიჭებული ადმინისტრაციული ავტონომია. მიდგომა მარტივია, ადამიანებს მეტად მოსწონთ და უკეთ იცავენ იმ წესრიგს, რომელსაც თავად აყალიბებენ და იზიარებენ. სწორედ, ეს არის თვითმმართველობის ფუძემდებლური და პროგრესული პრინციპი, რომელიც იმავდროულად წესრიგის უზრუნველყოფაში ფუნქციების სამართლიან განაწილებასაც გულისხმობს. სწორედ ამგვარად არის განაწილებული ფუნქციები სკოლის სუბიექტებს შორის დისციპლინის საკითხებშიც.

წარმოდგენილი გზამკვლევის დანიშნულებაა, დაეხმაროს საჯარო სკოლებს დისციპლინური კომიტეტების საქმიანობის დახვეწაში. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სკოლის მართვის გაუმჯობესებას, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას და საშუალებას მისცემს სკოლებს, ჩამოაყალიბონ უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო.



დისციპლინური
კომიტეტი სკოლაში



სკოლაში დისციპლინური კომიტეტის დანიშნულება და საქმიანობის საფუძვლები

საქართველოს საჯარო სკოლის მმართველობასა და მის სტრუქტურას ბევრი მსგავსება აქვს სახელმწიფოსთან. სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფისას სამართლიანობის გარანტია ძალაუფლების /უფლებამოსილებების გადანაწილება და წონასწორობაა. სწორედ ამ პრინციპზე დაფუძნებით არის განაწილებული სკოლაში დისციპლინის მართვის ფუნქციები საჯარო სკოლის სხვადასხვა სუბიექტსა და სტრუქტურას შორის.

საჯარო სკოლის დისციპლინის სისტემის კანონმდებელია სამეურვეო საბჭო – უმაღლესი წარმომადგენლობითი არჩევითი ორგანო, რომელშიც სკოლის საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარეა წარმოდგენილი. სწორედ ეს წარმომადგენლობითობაა სამართლიანი წესრიგის უზრუნველყოფის 1-ლი დონის – დისციპლინური ნორმების, გადაცდომების, სახდელებისა და დევნის წესების დადგენის გარანტია. ეს ყველაფერი აისახება სამეურვეო საბჭოს მიერ განხილულ და დამტკიცებულ სკოლის შინაგანაწესში. ბუნებრივია, სკოლის შინაგანაწესი ამ დაწესებულებისთვის უნდა აზუსტებდეს ზოგადი განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას ადამიანების ქცევასთან დაკავშირებით. იმავდროულად, სკოლის წესდებით ამავე დაწესებულებისათვის უნდა იყოს დაზუსტებული სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და სუბიექტების ფუნქციები, უფლებამოსილებები, ვალდებულებები და ა.შ. რაც უფრო მკაფიო და ურთიერთშეთანხმებულია ეს ორი სასკოლო ნორმატიული აქტი, მით უფრო ცხადი და ადვილია სასკოლო დისციპლინის სამართლიანი მართვა.

შინაგანაწესის უზრუნველყოფასა და აღსრულებაში სხვადასხვა სახით მონაწილეობს სკოლის სხვა სტრუქტურული ერთეულები თუ სუბიექტები: ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, დისციპლინური კომიტეტი და სხვ. ეს ფუნქციები შეიძლება იყოს დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა, სახდელის დაკისრება, დისციპლინურ დევნაში მონაწილეობა და ა.შ. რაც უფრო მკაფიო და მარტივია სკოლის შინაგანაწესში აღწერილი ამა თუ იმ დისციპლინური გადაცდომის არსი, მისი გამოვლენა-დადასტურების მექანიზმი და შესაბამისი სახდელი, მით ნაკლებია ამ გადაცდომის განხილვისათვის დისციპლინური კომიტეტის საჭიროება.

მართალია, როგორც უკვე 1-ელ თავში ნახეთ, ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით აირჩევა, მაგრამ ეს არ გულისხმობს ყველა გადაცდომის განხილვას. იმავდროულად, კანონით სასკოლო დისციპლინის მართვაში მონაწილეობის უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები გააჩნიათ სკოლის სხვა სუბიექტებსაც.

ამდენად, დისციპლინური კომიტეტი, როგორც არჩეული, წარმომადგენლობითი და კოლექტიური სასკოლო ორგანო მონაწილეობს იმგვარი დისციპლინური გადაცდომების განხილვებში და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც:

- ✓ ბუნდოვნად არის აღწერილი შინაგანაწესში და სკოლის ერთი სუბიექტის გადაწყვეტილება შესაძლოა მიკერძოებულად იყოს მიჩნეული;
- ✓ რთულია თავისი მიზგზ-შედგებობრივი კავშირებითა და მიმდინარეობის ბუნებით (მაგ: წარმომადგენს ერთდროულად რამდენიმე გადაცდომის ნაკრებს ან მიზგზებისა თუ შედეგების ნაწილში უკავშირდება რაიმე სამართალდარღვევას ან დანაშაულს);

- ✓ მრავალჯერ განმეორებულია და მანამდე დაკისრებულმა სახდელებმა ვერ გამოიღო ქცევის გამაუმჯობესებელი შედეგი;
- ✓ შინაგანაწესით განსაზღვრული სახდელი მიეკუთვნება უკიდურეს ზომებს;
- ✓ სკოლის სხვა სუბიექტის მიერ განხორციელებული დისციპლინური დევნა განხორციელდა დარღვევებით.

როგორც ხედავთ, დისციპლინური კომიტეტის დანიშნულება არის მიუკერძოებელი სამართლიანობის უზრუნველყოფა. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია დისციპლინური კომიტეტის დამოუკიდებლობა და კეთილსინდისიერება.

დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის ფარგლებს განსაზღვრავს მხოლოდ სკოლის წესდება და შინაგანაწესი. ხოლო კომიტეტის საქმიანობის საფუძველია თითოეული წევრის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და თანასწორობა. დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა უნდა ემყარებოდეს სოციალური სამართლიანობის ზოგად პრინციპებს.

დისციპლინური კომიტეტის ინსტიტუტი სკოლის დონეზე არის სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელების საშუალება. სწორედ ამ უფლების სრულფასოვანი რეალიზაციისათვის ითვალისწინებს კანონი ზოგადი განათლების შესახებ კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმებსაც. ამისათვის სამეურვეო საბჭოს შეუძლია, ანალოგიური წარმომადგენლობით აირჩიოს სააპელაციო კომიტეტი ან თავად იტვირთოს ეს ფუნქცია:

„სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, თავად განიხილოს საჩივრები დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ წესდებით გათვალისწინებული წესით ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სააპელაციო კომიტეტი, საამურვეო საბჭო განიხილავს აგრეთვე საჩივრებს, რომლებიც ეხება დირექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. დაუშვებელია დისციპლინური კომიტეტის ან სააპელაციო კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მონვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით“;

ხოლო მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად:

„საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის და სააპელაციო კომიტეტის წევრები არ შეიძლება იყვნენ ერთმანეთის ახლო ნათესავები“.

2.2 დისციპლინური კომიტეტის სტრუქტურა

საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებისა და სტრუქტურის შესახებ ზოგადი განათლების შესახებ კანონი მხოლოდ შემდეგს განსაზღვრავს:

„სამეურვეო საბჭო დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე“.

ეს ნიშნავს, რომ კონკრეტული სკოლის წესდებაში განსაზღვრული უნდა იყოს დისციპლინური კომიტეტის:

- ✓ წევრთა რაოდენობა;
- ✓ წევრობის კანდიდატების წარდგენის პირობები და უფლებამოსილებები;
- ✓ არჩევის სიხშირე და შესაბამისად უფლებამოსილების ვადა;
- ✓ არჩევისათვის კენჭისყრის პირობები და ხმათა საკმარისი რაოდენობა;
- ✓ და ა.შ.

როგორც 1-ელ თავში უკვე აღვნიშნეთ, საჯარო სკოლების უმეტესობა დღემდე სარგებლობს 2005 წლის სადამფუძნებლო წესდებით. ეს დოკუმენტი აღნიშნული თვალსაზრისითაც არ არის ბოლომდე გამართული:

„სამეურვეო საბჭო დამსწრეთა უმრავლესობით 1 წლის ვადით ირჩევს დისციპლინური კომიტეტის წევრებს. დისციპლინური კომიტეტის წევრობის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს:

- ა) სამეურვეო საბჭოს მშობლების მიერ არჩეულ წევრს;*
- ბ) პედაგოგიურ საბჭოს;*
- გ) საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას“.*

უპირველესად, აქ არ არის მითითებული წევრთა რაოდენობა. ასევე, არ არის მითითებული, როდის ხდება კომიტეტის არჩევა. ამ წესდებიდან უცნობია, აქვს თუ არა წარდგენილ კანდიდატურას აცილების უფლება? აღნიშნული მოდელით შესაძლოა, დისციპლინურ კომიტეტში წევრი არჩეული იყოს საკუთარი ნების წინააღმდეგ. ამ წესდებიდან ასევე უცნობია, თუ როგორი წესით შეარჩევს თავის კანდიდატებს დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგიური საბჭო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობა. ამგვარი პროცედურები არ არის აღწერილი ამ სტრუქტურების შესაბამის ნაწილებშიც. ზემოთ მოყვანილი დებულება გაუმართავია იმითაც, რომ მკაფიოდ არ ჩანს კომიტეტის რომელი ტიპის კანდიდატის დაყენება შეუძლიათ კანდიდატურის დაყენების უფლების მქონე პირებს? მაგალითად: ვისი წარდგენის უფლება აქვს სამეურვეო საბჭოს წევრ მშობელს, მხოლოდ მშობლის თუ მოსწავლის და მასწავლებლისაც? მართალია, ამ წესდებით კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია 1 წლით, თუმცა კანონი ასეთ ერთიან შეზღუდვას არ აწესებს. სკოლის წესდების შესაბამისად, ზოგ სკოლაში შესაძლოა ეს ვადა 1 წელი იყოს, ზოგში – 3 წელი.

რაც მთავარია, 2005 წლის სადამფუძნებლო წესდება არ აზუსტებს დისციპლინურ დევნაში მონაწილესასკოლო ორგანოებსა თუ სუბიექტებს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განაწილებას და იმეორებს მხოლოდ კანონის ზემოთხსენებულ მინიშნებებს (იხ. თავი 1).

შესაძლოა, ასეთმა ბუნდოვანებამ გამოიწვია ბევრ სკოლაში დისციპლინური კომიტეტების დაკომპლექტება კანონის დარღვევით. მაგალითად, ქ.თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, დისციპლინური კომიტეტი შედგება 4 წევრისგან:

1. ირმა ა-ვა – დირექტორის მოადგილე დარგში;
2. ქეთევან მ-ძე – გ-ლი ენის მასწავლებელი;
3. ცირა ს-ძე – მშობელი;
4. ოთარ ხ-ძე – საშუალო საფეხურის მოსწავლე.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში დარღვეულია ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრული როგორც პრინციპები, ისე პირობა და ასეთი კომიტეტი ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას.

როგორც ხედავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სკოლის წესდებაში დისციპლინური კომიტეტის არჩევის, ფუნქციებისა და სხვა სტრუქტურებთან კავშირების სრულფასოვან აღწერას.

აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია საკანონმდებლო პირობის შესაბამისად მრავალნაირი მოდელის გამოყენება როგორც დისციპლინური კომიტეტის არჩევისა თუ სტრუქტურის, ისე უფლებამოსილებისა და ფუნქციების თვალსაზრისით.

2.3 დისციპლინური კომიტეტის საქმიანობით დაინტერესებული მხარეები

საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა პროცესია, რომელიც:

- ✓ ეფუძნება სკოლის წესდებასა და შინაგანაწესს;
- ✓ მიმდინარეობს დისციპლინური გადაცდომების განხილვით;
- ✓ სრულდება დისციპლინური სახდელების შესახებ გადაწყვეტილებებით;
- ✓ ემსახურება სკოლის შინაგანაწესის აღსრულებას.

ნებისმიერ პროცესს ჰყავს დაინტერესებული მხარეები, რომლებიც სხვადასხვაგვარად არიან დაკავშირებული მასთან. დაინტერესებული მხარე შესაძლოა იყოს ინდივიდიც, ინდივიდთა ჯგუფიც და ორგანიზაციაც. ასეა დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის შემთხვევაშიც.

სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სკოლის საზოგადოების თითოეულ წევრზე და დისციპლინური გადაცდომები შესაძლოა ახასიათებდეს ნებისმიერ მათგანს. ამდენად, დისციპლინური კომიტეტის განხილვის საგანი შეიძლება იყოს სკოლის საზოგადოების ნებისმიერი წევრის დისციპლინური გადაცდომა. ეს ნიშნავს, რომ სკოლის ყველა თანამშრომელი, მოსწავლე და მათი კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მზრუნველი ან მეურვე) ინდივიდუალურად წარმოადგენს დისციპლინური კომიტეტის საქმიანობით დაინტერესებულ მხარეს.

სკოლის საზოგადოების თითოეულ წევრს, ბუნებრივია, არ გააჩნია ერთნაირი ინტერესი და შესაძლებლობა დისციპლინური კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობისა თუ მასზე გავლენისათვის. ამ პროცესში ინტერესთა დაცვასა და გავლენათა განწინასწორებაში მათ ეხმარება სკოლის თვითმმართველობის სტრუქტურა.

დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის საფუძვლებისა და გადაწყვეტილებების სამართლიანობაში მთავარი დაინტერესებული მხარეა სკოლის სამეურვეო საბჭო. სწორედ ის ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, ის ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს და ამ ორი საქმიანობის კეთილსინდისიერ შესრულებაზეა დამოკიდებული კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სანდოობა და ქმედითობა.

სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის პროექტების როგორც შემუშავება, ისე სამეურვეო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენა, არის სკოლის დირექტორის მოვალეობა. ეს გულისხმობს დისციპლინის მართვის სისტემაში დისციპლინური კომიტეტის გონივრული როლის შეთავაზებასა და შემდგომში მასთან მჭიდრო თანამშრომლობას. იმავდროულად სკოლაში უსაფრთხოებაზე, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაზე, ადამიანის უფლებათა დაცვასა და სასწავლო პროცესის გამართულობაზე პასუხისმგებლობა სკოლის დირექტორს აკისრია. ამდენად, სკოლის დირექცია დაინტერესებულია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის სამართლიანობას, კანონიერებასა და ქმედითობაში.

მოსწავლეთა თვითმმართველობები (საბაზო და საშუალო საფეხურები) და პედაგოგიური საბჭო, როგორც მასწავლებელთა თვითმმართველობა, დაინტერესებულია: ერთი მხრივ, დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის საფუძველში – შინაგანანენსში საკუთარი უფლებებისა და ინტერესების სრულად ასახვაში; მეორე მხრივ, დისციპლინური კომიტეტის წევრების კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაში; მესამე მხრივ, გადაცდომების განხილვისას და გადაწყვეტილებების მიღებისას, მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესების დაცვაში. ამ მხრივ, ეს თვითმმართველობები თანაბარ მდგომარეობაშია. ოდნავ განსხვავებული შესაძლებლობები აქვს საბაზო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას, რადგან მათ მხოლოდ შინაგანანენსის გაუმჯობესებაზე მიუწვდებიან ხელი.

მშობლების ინტერესების გამომხატველნი და დამცველნი არიან მათი წარმომადგენლები სამეურვეო საბჭოსა და საკუთრივ დისციპლინურ კომიტეტში. მართალია, საჯარო სკოლებში არ არსებობს კანონით განსაზღვრული მათი სავალდებულო ხასიათის გაერთიანება, მაგრამ იმავე კანონით ასეთი გაერთიანების შექმნა ნებადართულია. თუკი სკოლაში მშობელთა რაიმე სახის გაერთიანება არსებობს, მაშინ ის შესაძლოა იყოს დისციპლინური კომიტეტის საქმიანობით დაინტერესებული მხარე.

დისციპლინური კომიტეტის საქმიანობით დაინტერესებულია სკოლის მანდატურები, რადგან მათი ამოცანაა სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. ხოლო მათი მათი უფლება-მოვალეობაა:

- ✓ სკოლის შინაგანანენსის შესრულების კონტროლი;
- ✓ დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენისა და ამოღების მიზნით პირადი გასინჯვის ჩატარება.

ამასთან, „სკოლის მანდატური უფლებამოსილია, სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, სააპელაციო კომიტეტის სხდომებს და მათ წინაშე დააყენოს მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული საკითხები“.

ზოგადად დისციპლინური გადაცდომები და მით უფრო დისციპლინური კომიტეტის განსახილველი, შეიძლება გამოწვეული იყოს სოციალური პრობლემებით და იწვევს ასევე სოციალურ შედეგებს. უმეტეს შემთხვევაში ისინი არ იწყება და სრულდება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს. ამდენად, ასეთი დისციპლინური გადაცდომები დაკავშირებულია მოსწავლისა თუ თანამშრომლის ოჯახთან, სკოლის თემთან, არასასკოლო დროს ქცევასა და ცხოვრების წესთან. ამდენად, დისციპლინური კომიტეტის მიერ განხილული გადაცდომების მიზეზები ან შედეგები სცილდება სასკოლო დროსა და სივრცეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება კონკრეტული გადაცდომის მიზეზებისა და შესაძლო შედეგების განვითარების თავიდან აცილება არასასკოლო სივრცეში. ეს ნიშნავს, რომ, ხშირ შემთხვევაში, დისციპლინური კომიტეტის კეთილსინდისიერი და პასუხისმგებელი საქმიანობა გულისხმობს ადამიანების სოციალური ქცევის მარეგულირებელ სხვა მხარეებთან თანამშრომლობას. ზოგ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა ამა თუ იმ სახის დამატებითი ინფორმაციის მიღება. ხოლო ზოგ შემთხვევაში საჭიროა, სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს დისციპლინის დამრღვევთან მომუშავე სხვა მხარეს. უფრო ხშირად დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა და გადაწყვეტილებები მოითხოვს: ფსიქოლოგებთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ ჯგუფთან, სოციალურ ან მედიცინის მუშაკებთან, სამართალდამცველებთან, პროფესიულ კავშირებთან ან სხვა საზოგადოებრივი მომსახურების გამწვევ პირებთან თანამშრომლობას.



დისციპლინური
კომიტეტის პრაქტიკული
საქმიანობა



სკოლის დისციპლინური კომიტეტის პრაქტიკული საქმიანობის მნიშვნელობა, მიზნები, რეალიზაცია და საფრთხეები

სკოლის სამეურვეო საბჭო, როგორც წესი, დისციპლინური კომიტეტის წევრების არჩევისას სკანდალებისაგან მხოლოდ რამდენიმე საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტის (სკოლის წესდება, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, სკოლის შინაგანაწესი და სხვ.) შინაარსის ცოდნას მოითხოვს, რაც კომიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის საკმარისი არ არის.

არჩეული კომიტეტი დაკისრებული ფუნქციის რეალურ შესრულებას და ვალიდური გადაწყვეტილებების მიღებას მას შემდეგ შეძლებს, თუ ის შედგება როგორც სტრუქტურული ერთეული, ორიენტირებული იქნება სასკოლო გარემოს გაუმჯობესებაზე, შეიარაღებული იქნება სიტუაციის ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიების ცოდნით.

კომიტეტში არჩეულ პირებს უნდა შეეძლოთ:


- ✓ ერთმანეთთან თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;
- ✓ განსაზღვრონ დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის ფორმატი;
- ✓ განსაზღვრონ საქმიანობის ეთიკური ნორმები;
- ✓ გაინაწილონ ფუნქციები;
- ✓ შეიმუშაონ ქმედითი და რეგლამენტირებული ურთიერთთანამშრომლობის წესები;
- ✓ დაგეგმონ და მოამზადონ სხდომები;
- ✓ საფუძვლიანად მოემზადონ თითოეული ქეისის განსახილველად;
- ✓ განხილვასთან დაკავშირებულ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;
- ✓ შეინარჩუნონ ემოციური მდგრადობა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და თანაბარი ემპათიურობა საქმესთან დაკავშირებული ყველა პირის მიმართ;
- ✓ აწარმოონ საქმიანობის სრული დოკუმენტირება;
- ✓ აწარმოონ კომიტეტის დადგენილებების განხორციელების პერიოდული მონიტორინგი და შეფასება.

წინამდებარე გზამკვლევაში ვერ იხილავთ მზა რეცეპტებს, ჩვენ შევეცადეთ სკოლის დისციპლინური კომიტეტებისათვის მოგვემზადებინა სასარგებლო პრაქტიკული რჩევები, რომელთა გათვალისწინება დისციპლინურ კომიტეტს მოვალეობის სრულფასოვნად განხორციელებაში და დისციპლინის მართვის პროცესში კომიტეტის როლის წარმოჩენასა და გაძლიერებაში გაუნწევს დახმარებას.

გზამკვლევის მომზადებისას ავტორები ვეყრდნობოდით სხვადასხვა ქვეყნის სკოლების მრავალწლიან გამოცდილებას, კერძოდ: ამერიკულს (ვერმონტის შტატი) და ევროპულს: პოლონეთის (ჩრდილო-აღმოსავლეთის შტუმსკის, ძეგონისა და გდანსკის გუბერნიები) და გერმანიის (ქალაქები – მიუნხენი და ბიბერახი). ამასთან ერთად, გავითვალისწინეთ ჩვენს პროექტში მონაწილე (2010-2011წწ) სკოლების მოქმედი დისციპლინური კომიტეტების წევრებისა და სკოლის დირექტორების რჩევები, კომიტეტების მუშაობისას წარმოქმნილი პრობლემების ანალიზისა და ინდივიდუალური გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილი რთულად გასაგები საკითხები.

რით დავინყოთ?

რამდენადაც დისციპლინური კომიტეტის წევრები – მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე – სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულიდან არჩეული პირები არიან, მათი ერთობლივი საქმიანობის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია, რომ პირველივე შეკრებაზე შეძლონ ორგანიზებულ ფუნქციურ სუბიექტად ჩამოყალიბება. ამისათვის, კომიტეტის თითოეული წევრისათვის თავიდანვე ნათელი უნდა იყოს, რა პასუხისმგებლობა დაეკისრა, როგორი იქნება სამუშაო პოლიტიკა და რეჟიმი. **პირველივე შეკრებაზე უნდა მოხდეს**



დისციპლინური კომიტეტის მიზნების იდენტიფიკაცია და ამოცანების განსაზღვრა.

პასუხი უნდა გაეცას კითხვებს:

- ✓ რა მისია აკისრიათ კომიტეტის წევრებს?
- ✓ როგორ უნდა გადაინაწილდეს წევრებს შორის როლები, ფუნქციები?
- ✓ როგორ წარიმართება სამუშაო პროცესი?
- ✓ როგორ მოხდება გადანაცვლების მიღება?
- ✓ როგორ მოხდება ინფორმაციის მოძიება, ურთიერთგაზიარება?
- ✓ როგორი სახის შეკრებები მოეწყობა და რა ინტენსივობით?
- ✓ როგორი იქნება ის სამუშაო ნორმები/ წესები, რომლის გათვალისწინებით მხარს დაუჭერენ ან არ დაუჭერენ საკითხის განხილვას?

ჩამოთვლილ საკითხებზე წინასწარ შეთანხმება, **ქცევის წესების შემუშავება, აღიარება და დაცვა** აუცილებელია მომავალში (ერთი წლის განმავლობაში) კომიტეტის შიდა დისციპლინის უზრუნველყოფის, შედეგიანი და მშვიდობიანი თანამშრომლობისთვის, კომიტეტის ქმედით სტრუქტურად ჩამოყალიბებისა და ინსტიტუციური განვითარებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება საქმიანობის სამართლიანად, ეთიკურად, გამჭვირვალედ, სკოლის საჭიროებებისა და ცალკეული პიროვნებების ინტერესების გათვალისწინების პრინციპით წარმართვა, სკოლაში წესრიგისა და პიროვნული ღირსების შენარჩუნებაზე ორიენტაცია.

თუ სკოლაში არსებობს დისციპლინური **კომიტეტის დაბუღება-დოკუმენტი, რომლის უნდა იყოს სკოლის შინაგანაწესის შემადგენელი ნაწილი და განსაზღვრავდეს დისციპლინური კომიტეტის ძირითად სტატუსს, ამოცანებს, უფლებამოსილებასა და მუშაობის წესს**, კომიტეტის წევრებმა უნდა შეისწავლონ და განიხილონ ის, შეადარონ, წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის მათ მიერ შემუშავებული ქცევის წესები დისციპლინური კომიტეტის დებულებასთან. საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ, მოამზადონ ცალკეული მუხლების შესწორებების პროექტი. თუ სკოლაში დისციპლინური კომიტეტის დებულების დოკუმენტი არ არსებობს, ის უნდა შეიმუშაოს კომიტეტმა, დირექციის ინიციატივით შექმნილ სკოლის შინაგანაწესის ცვლილებების პროექტზე, კერძოდ კი დებულების პროექტზე მომუშავე მაკოორდინირებელ ჯგუფთან (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) ერთად, თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით. ორივე შემთხვევაში, მომზადებული პროექტ დირექტორის საშუალებით წარედგინება სამეურვეო საბჭოს ოფიციალურად დასამტკიცებლად. სამეურვეო საბჭო განიხილავს პროექტს, გამოთქმულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს და დაამტკიცებს დისციპლინური კომიტეტის ახალ დებულებას.

კომიტეტის მიზნები და ამოცანები

დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს **მიზნებზე**:

- ✓ სკოლაში დისციპლინური გადაცდომების და კონფლიქტების შემცირება;
- ✓ ძალადობის პრევენცია;
- ✓ დამრღვევი და დაზარალებული მხარის შერიგება;
- ✓ ინციდენტით გამოწვეული ემოციური და მატერიალური შედეგების გამოსწორება;
- ✓ სამართლიანობის აღდგენა;
- ✓ მსგავსი რეციდივების თავიდან აცილება;
- ✓ სკოლაში მაღალი ხარისხის დისციპლინის ფორმირებაში მონაწილეობა.

დისციპლინური კომიტეტის ძირითადი **ამოცანაა** დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის მიღება: სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა მიერ სკოლის შინაგანაწესის/შრომის კოდექსის დარღვევის შემთხვევების განხილვა და ადეკვატური სანქციების დანესება.

დისციპლინის ფორმირების სამი ძირითადი მახასიათებელი:

დროული – გონივრულად სწრაფი და მიზანშეწონილი დროის პერიოდსა და კონტექსტში მოხდეს გადაცდომის შესწავლა/რეაგირება, რომ აცილებულ იქნას შემდგომი დარღვევები;

მაკორაქტირებელი – დისციპლინური სახდელი განიხილებოდეს არა როგორც სასჯელი, არამედ როგორც ქცევის ან შესრულების გაუმჯობესების მოტივაცია;

პროგრესული – პროგრესული ნაბიჯი ნებისმიერ ადრე არსებულ დისციპლინასთან შედარებით, როცა დისციპლინის მართვისთვის თანდათან უფრო ნაკლები დრო და რესურსია საჭირო.

დისციპლინური კომიტეტი სასკოლო ცხოვრების ერთ-ერთი კომპონენტია. სკოლის დისციპლინა მოსწავლეებისა და თანამშრომლების ქცევის და სწავლა-სწავლების მჭიდრო ურთიერთკავშირს ასახავს. შესაბამისად, რთულია პროცესებში ჩართული ყველა სუბიექტის ღირებულებების დაცვა. კომიტეტის საქმიანობაში გრძელვადიანი შედეგების ორიენტირი უნდა იყოს სკოლაში უსაფრთხო გარემოს ფორმირება, მოკლევადიანი კი – მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს შორის დისციპლინური ნორმების დაცვა და მოსალოდნელი კონფლიქტების პრევენცია.

სკოლის დისციპლინური ნორმების დამრღვევებად გვევლინებიან არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ თანამშრომლებიც – მასწავლებლები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სკოლის შინაგანაწესში ამომწურავად უნდა იყოს გათვალისწინებული სასკოლო სუბიექტების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი) სავარაუდო დისციპლინური გადაცდომების ტიპები და შესაბამისი სახდელები. ტიპური დისციპლინური დარღვევების უმრავლესობაზე (რომლის დაფიქსირება მოხდა შინაგანაწესით განსაზღვრული წესის დაცვით) რეაგირება და **სახდელის დაპისრება ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით**, კანონით განსაზღვრული წესის, სკოლის წესდების, შინაგანაწესის, შრომის კოდექსის შესაბამისი მუხლის საფუძველზე. **ასეთი შემთხვევებისას დისციპლინური კომიტეტის შეკრების საჭიროება არ არსებობს**. სკოლის ადმინისტრაციის მიერ დისციპლინურ კომიტეტს წერილობით ეცნობება აღნიშნული ფაქტის შესახებ. თავის მხრივ, დისციპლინურმა კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს გადაცდომის მონაწილეთა განთავსება მონაცემთა ბაზაში.

როგელი საკითხები ხდება სკოლის დისციპლინური კომიტეტის განხილვის საგანი?

- ✓ მესამე საფეხურის მოსწავლის გარიცხვის ან სამეურნეო საბჭოს წევრი მასწავლებლის გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. მასწავლებლის საჩივარი დირექტორის მიერ მასწავლებლის გათავისუფლების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;
- ✓ სკოლის შინაგანაწესით, „მძიმე ხარისხის გადაცდომად,, რანჟირებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ მუხლით გათვალისწინებული გადაცდომა (როცა შინაგანაწესის მიხედვით სასჯელის ზომად განიხილება სკოლიდან გარიცხვა და/ან სამართალ-დამცველების ჩართვა);
- ✓ სუბიექტის მრავალჯერ განმეორებადი დარღვევები, რომელსაც განსაკუთრებული ანალიზი ესაჭიროება დირექტორის მუშაობის ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით (შესაბამისი იყო თუ არა დაკისრებული სახდელი);
- ✓ სკოლის დირექტორის დისციპლინური გადაცდომის შესახებ მშობლების ან მასწავლებლების მხრიდან საჩივარი სამეურვეო საბჭოში.
- ✓ პირის/ჯგუფის მიერ განმეორებული დარღვევები, რომლებზეც მანამდე დაკისრებულმა სახდელებმა ვერ გამოიღო ეფექტური შედეგი და დგას დაყენებული სახდელის გადახედვის ან შინაგანაწესში ცვლილებების წინადადების შეტანის საჭიროება;
- ✓ დისციპლინური გადაცდომები, რომლებიც წარმოიშვა სკოლის დირექტორის მიერ განხორციელებული დისციპლინური დევნის პროცესში;
- ✓ დისციპლინის ისეთი არატიპური დარღვევა, როდესაც შესაბამისი რეაგირება აშკარად მოითხოვს, ფართო მოკვლევის საქმიანობაში ჩაერთოს პოტენციურად დაზარალებული ყველა მონაწილე, იქნება ეს მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, ადმინისტრატორი და სხვა დაინტერესებული პირი, მათ შორის – პოლიციის საუბნო განყოფილების წარმომადგენელი (როდესაც გადაცდომაში არის დანაშაულის ნიშნები);
- ✓ სკოლის თანამშრომლის გათავისუფლების საკითხი, თუ თანამშრომელი არ ეთანხმება დირექტორის გადაწყვეტილებას და დახმარებისათვის მიმართავს სამეურვეო საბჭოს.



მაგალითი 1.

სასწავლო პროცესის ჩაშლის მიზნით სსიპ #X საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეთა გარკვეულმა ჯგუფმა რამდენჯერმე განზრახ ხელყო სკოლის საკუთრება და ჩაშალა სასწავლო პროცესი. კერძოდ, დააზიანა გათბობის რადიატორები, რის შედეგადაც ცხელი წყლით აივსო საკლასო ოთახი, დაიწყო მოსწავლეების აჟიტირება და დირექცია იძულებული გახდა, შეენწყვიტა საგაკვეთილო პროცესი, საკლასო ოთახიდან გაეყვანა მოსწავლეები და ებრუნა გათბობის სისტემის აღდგენასა და დაზიანებული იატაკის მონესრიგებაზე: გამოეძახებინა სპეციალისტები, დამლაგებლები. სკოლისათვის გათბობის სისტემის წყლისაგან დაცლა/შეფხვნივა სერიოზულ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. დისციპლინური გადაცდომის ფაქტი ადმინისტრაციის შესაბამისი აქტითა და მანდატურის დარღვევის აღრიცხვის ფურცელში დაფიქსირდა, მოსწავლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები,

აღნიშნული სკოლის შინაგანაწესის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით მოსწავლეს, სკოლის ან სხვა მოსწავლის, მასწავლებლის საკუთრების ხელყოფის ან დაზიანების შემთხვევაში, განესაზღვრება სახდელის ზომა – დაეკისრება ზარალის ანაზღაურება. სკოლაში უნდა გამოიძახონ მოსწავლეების მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, როგორც ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირები; (ზარალის ანაზღაურება ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994, 995, 996 და 998 მუხლებით დადგენილ შემთხვევებში და წესით). სკოლის შინაგანაწესით (იმავე მუხლის 2 ა პუნქტი) განსაზღვრულია, რომ მოსწავლის მიერ გაკვეთილის ჩაშლა ისჯება საყვედურით, განმეორების შემთხვევაში კი – სასტიკი საყვედურით. სახდელი ასახული იქნება მოსწავლის პირად საქმეში და მის საფუძველზე დამრღვევს შეეზღუდება სკოლის გარკვეული სიკეთეებით სარგებლობის უფლება. (მაგალითად, ექსკურსიებში, ჩემპიონატებში ან სხვა სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობა). სახდელის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 3 თვე.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მოსწავლეებმა სახდელის მოქმედების ვადაში გაიმეორეს დისციპლინური გადაცდომა. ამასთან დისციპლინის დარღვევა კომბინირებულია – ზარალი და გაკვეთილების ჩაშლა. ამასთან, ფაქტი განმეორებადი იყო, ამავე დროს, წინასწარ განზრახვით ჩადენილი და არსებობს საფრთხე, რომ მოხდება გამეორება სხვა მოსწავლეების მხრიდან. არ არის გამორიცხული, რომ რადიატორის დაზიანება სპეციალურად მოტანილი ხელსაწყოს ან თვითნაკეთი მოწყობილობის საშუალებით მოხდა. დირექტორმა საქმე დისციპლინურ კომიტეტს გადასცა განსახილველად.

მაგალითი 2.

ერთ-ერთი სკოლის მე-9 კლასელი მოსწავლის მიერ ადგილი აქვს გაკვეთილზე დისციპლინის სისტემატურ დარღვევას – გაკვეთილის ჩაშლის მცდელობის განმეორებით ფაქტებს. განსახილველი დისციპლინური დარღვევა წინა დარღვევის გამო დაკისრებული სახდელის მოქმედების ვადაში მოხდა. პირველ დარღვევისას გამოძახებული იქნა მოსწავლის მშობელი და მოსწავლეს შეეფარდა საყვედური პირად საქმეში შეტანით. მომდევნო განმეორებით დარღვევაზე სკოლის დირექტორმა მოსწავლეს შინაგანაწესზე დაყრდნობით სასტიკი საყვედური შეუფარდა. დისციპლინური დარღვევების გამოაშკარავების გამო მოსწავლე დაუპირისპირდა კლასის დამრიგებელსა და მანდატურს. თუ ეს მოსწავლე გააგრძელებს ანალოგიურ ქმედებებს ან კონფლიქტი განვითარდება, სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, მომდევნო დისციპლინური გადაცდომის/კონფლიქტის შემთხვევაში დირექტორი მიმართავს დისციპლინურ კომიტეტს და მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის საკითხს დააყენებს კომიტეტი. ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადებში განიხილოს დისციპლინური პრობლემა და მიიღოს გადაწყვეტილება.

მაგალითი 3.

#X საჯარო სკოლის მოსწავლემ სკოლის შინაგანაწესით „ნულოვანი ტოლერანტობის“ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა – კერძოდ, სკოლაში ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ გამოცხადდა და დებოში ატეხა. ასეთ შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში, შინაგანაწესის მიხედვით, მოსწავლე უნდა გაირიცხოს სკოლიდან. მაგრამ დირექცია ვალდებულია უდანაშაულობის პრეზუმფცია დაიცვას. მას მხოლოდ ისეთ შემთხვევაში შეუძლია დაინიშნოს საქმისწარმოება, როცა გადაცდომა პროცედურების შესაბამისად დადასტურებულია (ნარკოტიკების ზემოქმედება) და მოსწავლემ წარმოადგინა ახსნა-განმარტება. დირექტორს არა აქვს სასჯელის პირდაპირ შეფარდების უფლებამოსილება. საქმეს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი. შინაგანაწესის შესაბამისად, დირექტორი მხოლოდ დისციპლინური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ბრძანებას და მოსწავლეს სასჯელის განსაკუთრებული ფორმა – სკოლიდან გაირიცხვა შეეფარდება. ამის შემდეგ, მოსწავლე ამოირიცხება სკოლის მოსწავლეთა სიიდან.

მაგალითი 4.

სსიპ #X საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ლ.ს. გაკვეთილებზე სისტემატურ დაგვიანებაში იყო შემჩნეული და გაფრთხილებული. სკოლის დირექტორმა სასკოლო დისციპლინის დარღვევისათვის მას ბრძანებით შეუფარდა სახდელი – სკოლისათვის სასარგებლო იძულებითი სამუშაოს შესრულება. კერძოდ, ლ.ს.-ს დაევალა გაკვეთილების შემდეგ კიბის ქვედა უჭრედის დასუფთავება-დალაგება. ბრძანებაში სახდელის შესრულების თარიღად განისაზღვრა სასჯელის დაკისრების მეორე დღე, სამუშაოს შესრულებაზე ზედამხედველად კი, მე-11 კლასის დამრიგებელი. დირექტორის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა #X სკოლის შინაგანაწესის მე-6 თავის მეოთხე მუხლს, რომლის თანახმად „დისციპლინის მრავალჯერადად დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს დაეკისრება სკოლისათვის სასარგებლო იძულებითი სამუშაოს შესრულება (ეზოს, საკლასო ოთახის, ბიბლიოთეკის ან შენობის სხვა ნაწილის მოვლა-პატრონობაში მონაწილეობა არასაკვეთილო პერიოდში – გაკვეთილების დაწყებამდე ან დამთავრების შემდგომ); კონკრეტული გადაცდომის ხელმეორედ განმეორების შემთხვევაში მოსწავლე დაითხოვება საგაკვეთილო პროცესიდან 5-იდან 10 დღის ვადით“.

მოსწავლე ლ.ს.-მ სამუშაოს შესრულება ბრძანებით დადგენილ დროს – ექვსი გაკვეთილის დასრულების შემდგომ დაიწყო, მაგრამ ერთ საათში ის თვითნებურად მიატოვა და დავალება დაუსრულებელი დატოვა. სკოლის მანდატურმა, რომელიც პერიოდულად აკვირდებოდა სახდელის შესრულებას, დამრიგებელს და დირექტორს აცნობა, რომ მიუხედავად მითითებისა, ლ.ს.-მ დემონსტრაციულად დატოვა სკოლა.

მეორე დღეს ლ.ს.-ს მშობელმა სამეურვეო საბჭოს წერილობითი საჩივრით მიმართა, რომელშიც ის ადანაშაულებდა დირექტორს და კლასის დამრიგებელს მისი შვილის მიმართ ძალადობრივ მოპყრობაში. მშობელს არგუმენტად მოჰქონდა ის ფაქტი, რომ ლ.ს. გაკვეთილების შემდეგ მშვიერი დარჩა, რის გამოც დაირღვა მისი კვების რეჟიმი. გარდა ამისა, სკოლის კიბის უჭრედი იყო დაბინძურებული და მასთან, როგორც მშობელთან, არ ყოფილა შეთანხმებული სახდელის დრო, სამუშაოს ფორმა და ხასიათი. მშობელი პრეტენზიას გამოთქვამდა, რომ სკოლამ არ გაითვალისწინა, მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მისი განცხადებით ლ.ს. მტვერზე ალერგიულია და სამუშაოს ნაწილობრივ შესრულებამაც კი მის ჯანმრთელობას ზიანი მოუტანა. მშობელი სამეურვეო საბჭოს მხრიდან სკოლის დირექტორის და დამრიგებლის ქმედებაზე სათანადო რეაგირებას ითხოვდა.


სამეურვეო საბჭომ საქმე განსახილველად დისციპლინურ კომიტეტს გადასცა;

ამ მაგალითებით გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ დისციპლინური კომიტეტისათვის განსახილველად გადაცემული ყველა საკითხი მნიშვნელოვანია. არსებობს დიდი ალბათობა (და არა ერთი რეალური მაგალითი), რომ სხდომაზე განხილვამდე არსებული სასკოლო კონფლიქტი შეიძლება ჩაანაცვლოს სხდომის წარმართვისას დაშვებული შეცდომებით

ან კომიტეტის დადგენილებით პროვოცირება უნდა ახალმა კონფლიქტებმა, რის გამოც, კომიტეტის საქმიანობა სკოლის დისციპლინის დეგრადაციის დამატებითი წყარო და კონფლიქტების მაპროვოცირებელი გახდება. ასეთი კონფლიქტების რისკი იზრდება:

- ✓ თუ შინაგანანესით მკაფიოდ არ არის გამიჯნული დისციპლინის მართვის პროცესში დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის ფუნქციები;
- ✓ მკაფიოდ არ არის განვლილი დისციპლინური წარმოების პროცედურები;
- ✓ დასახვეწია უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვასთან დაკავშირებით საკითხებში.

რა საფრთხეებს უნდა მოვლოდეთ?



გზამკვლევაზე მუშაობისას წარმოჩნდა რამდენიმე სკოლა, რომელთა დისციპლინური კომიტეტიც სხდომაზე დაწყებული შიდა ურთიერთდაპირისპირების გამო დაიშალა ან რეალური ფუნქციონირება შეწყვიტა. კომიტეტის თითოეულ წევრს გააზრებული უნდა ჰქონდეს ის რისკი და პასუხისმგებლობა, რომელიც მათ სამუშაო პროცესს და გადაწყვეტილებების რეალიზაციას თან ახლავს. არის საფრთხე, რომ კომიტეტის დადგენილებამ ვერ იმუშაოს ან არ იყოს გადაცდომის ადეკვატური (მიიჩნიონ უსამართლოდ). მით უფრო, რომ კომიტეტის წევრები იმავე სოციუმს წარმოადგენენ, რომელშიც მათმა დადგე-

ნილებამ უნდა იმუშაოს.

თუ გვინდა, რომ სკოლის დისციპლინურმა კომიტეტმა რეალურად შეასრულოს თავისი როლი დისციპლინური გადაცდომების შემცირებასა და პოტენციური დარღვევების პრევენციაში, **დაუშვავალია ისეთი რეგულაციების შემოღება:**

- ✓ რომლის განხორციელებაც გართულდება ან შეუძლებელი იქნება;
- ✓ რომლებიც კიდევ უფრო დაძაბავს სკოლის წარმომადგენელ კონკრეტულ პიროვნებებსა თუ ჯგუფებს შორის ემოციურ კლიმატს;
- ✓ რომელიც გაამძაფრებს სუბიექტების აგრესიას, დაპირისპირებებს;
- ✓ რომელიც გამოიწვევს უფრო სერიოზული დისციპლინური დარღვევების ან/და დანაშაულის ინიცირებას;
- ✓ რომელიც გამოიწვევს სკოლაში საგაკვეთილო პროცესის მოშლას;
- ✓ რომელიც დაამძიმებს სასკოლო გარემოს.

ჩვენ მიერ შესწავლილი ამერიკული სკოლების დისციპლინური საბჭოები (დაახლოებით ჩვენი კომიტეტის ანალოგიები) დამრღვევს სახდელთან ერთად აკისრებს გარკვეული საზოგადოებრივი აქტივობის შესრულებას, რომლის პირობების შეთანხმებაც წინასწარ ხდება დამრღვევთან, მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან. მზადდება კონტრაქტი, რომელსაც ორივე მხარე აწერს ხელს და მისი შესრულების ვალდებულებას იღებს. აღნიშნულმა პრაქტიკამ დამსჯელობითი მიზნები პრევენციულისაკენ გადაანაცვლა და მთლიანობაში სკოლებს, ინდივიდუალურად კი, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, დისციპლინის თვალსაზრისით საუკეთესო შედეგები მოუტანა. ასეთი მიმართულებით მუშაობა შეიძლება საქართველოს სკოლებშიც მიზანშეწონილი იყოს, ამიტომ გთვავაობთ მას დისციპლინური კომიტეტის დამატებითი პროდუქტის სახით.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური კომიტეტის წევრებმა იცოდნენ სასკოლო კონფლიქტების მიზეზების, განვითარებისა და მართვის სპეციფიკა.

აქვე გვინდა დავაზუსტოთ, რომ სკოლაში კომიტეტს კონფლიქტების მოგვარება- მართვის პირდაპირი ვალდებულება არ აკისრია. დანიშნულება შემოიფარგლება იმით, რომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა მიერ სკოლის შინაგანანხისა და შრომის, მოსწავლის ქცევის თუ მასწავლებლების პროფესიული კოდექსისა და ხელშეკრულების პირობების დარღვევის კონკრეტული ფაქტები და შეუსაბამოს სახდელი. მაგრამ სხდომაზე მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილების მიზანი ან თანმდევი ეფექტი კონფლიქტების რეგულირება/პრევენცია და დისციპლინის გაუმჯობესებაა, ვინაიდან უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა გააადვილებს სასკოლო დისციპლინის მართვას. ამის საჭიროება აშკარაა, რადგან სხვადასხვა ტიპის ძალადობა და კონფლიქტი სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

3.2 სასკოლო კონფლიქტების არსი, მიზეზები, ტიპები და ესკალაციის სპეციფიკა

კონფლიქტი არის დაპირისპირება ორ ან ორზე მეტ ისეთ მხარეს (პიროვნებას ან ჯგუფს) შორის, რომელთაც რეალურად აქვთ ან თვითონ ფიქრობენ, რომ აქვთ შეუთავსებელი ინტერესები.

რა ინვესს სკოლაში კონფლიქტებს?

სასკოლო ცხოვრება ნოყიერი ნიადაგია კონფლიქტებისათვის. სკოლა დიდი ასაკობრივი (5-დან თითქმის 70 წლამდე) დიაპაზონის, სხვადასხვა თაობის, განსხვავებული სოციუმის და მენტალიტეტის პიროვნებებს შორის სოციალური ურთიერთობების სპექტრს მოიცავს. ყველა სკოლაში არსებობენ ადამიანები (მოზარდებიც და მოზრდილებიც), რომელთათვისაც აგრესიულობა და კონფლიქტურობა ცხოვრების წესია. ასეთი ადამიანები სკოლაში ხშირად ქმნიან კონფლიქტურ ატმოსფეროს. ზოგადად, კონფლიქტი არ ნიშნავს დისციპლინურ გადაცდომას, თუმცა, დირექტორის, დამრიგებლის, მასწავლებლების და მანდატურების მხრიდან აუცილებელია იმისათვის, რომ მდგომარეობა დისციპლინურ გადაცდომებში, მით უმეტეს დანაშაულებრივ ქმედებებში არ გადაიზარდოს.



სკოლა სხვადასხვა ასაკის, განათლებისა და სოციალური ჯგუფის ადამიანებსა თუ ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებული გაუგებრობითა თუ შეუთავსებელი ინტერესებით გამოწვეული წინააღმდეგობებით და კონფლიქტების მასშტაბების სწრაფი ზრდით გამოირჩევა. ამასთან კონფლიქტის საფუძველი შეიძლება გახდეს ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომა და მასზე რეაგირების ფორმა ან შინაარსი, უმნიშვნელო ფაქტორი ან ინციდენტი, მნიშვნელოვანი დისციპლინური დარღვევა და მისი შედეგები, პირადი და საზოგადო ინტერესების შეუთავსებლობა, განსხვავებული შეხედულებები და სხვა.

სასკოლო ურთიერთობები მჭიდრო სოციალურ გარემოცვაში მიმდინარეობს: თითოეული მოსწავლის უკან მისი თანაკლასელები, მეგობრები, ოჯახის წევრები დგანან. კონფლიქტებში მათი ჩართულობის ხარისხი და აქტივობა საკმაოდ მაღალია, შესაბამისად, დიდი საფრთხის შემცველიც – სასკოლო კონფლიქტი სწრაფად ვრცელდება თემში. კონფლიქტის მეორე მხარეს შეიძლება სკოლის გარეშე ადამიანების დადგენ მშობლების, თემის, არასამთავრობო ორგანიზაციების თუ სხვადასხვა უფლებდაცვითი ორგანიზაციის სახით. ამიტომ, კონფლიქტების ასაცილებლად და გასანეიტრალებლად ადეკვატური გადანყვეტილების მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის დისციპლინური კომიტეტის მიერ ქეისის სრულფასოვან ანალიზს და ახალი რისკების შეფასებას.

სკოლაში კონფლიქტების მონაწილე სუბიექტებად გვევლინებიან:

- ✓ მოსწავლეები;
- ✓ მასწავლებლები;
- ✓ დამხმარე პერსონალი;
- ✓ დირექცია/ადმინისტრაცია;
- ✓ მშობლები;
- ✓ თემი (ტერიტორიული მეზობლები);
- ✓ მანდატურები.

პროექტის მონაწილე სკოლების გამოკითხვამ გამოავლინა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებს შორის კონფლიქტი სიხშირით პირველ ადგილზე დგას. **კონფლიქტების რაწირება ინტენსივობის მიხედვით ასეთია:**

- I. მოსწავლეებს შორის;
- II. მოსწავლესა და მასწავლებელს შორის;
- III. მშობელსა და მასწავლებელს შორის;
- IV. მასწავლებელსა და დამრიგებელს შორის;
- V. მოსწავლესა და სკოლის პერსონალს შორის;
- VI. მოსწავლესა და მშობელს შორის;
- VII. მანდატურსა და მოსწავლეს შორის;
- VIII. მანდატურსა და მასწავლებელს შორის;
- IX. მანდატურსა და ადმინისტრაციას შორის.

კონფლიქტების პროვოცირებაში მთავარი როლი ე.წ. კონფლიქტოგენებს უჭირავთ. **კონფლიქტოგენები** ეწოდება სიტყვებს, მოქმედებებს ან უმოქმედობას, რომლებსაც შეუძლიათ კონფლიქტის გამოწვევა. ვინაიდან, ხშირად მათი გამოყენების შედეგად ხდება დისციპლინური გადაცდომების პროვოცირება და ინციდენტების კონფლიქტებად გარდაქმნა (შემდგომი ესკალაცია).

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შინაგანანესით ზოგიერთი კონფლიქტოგენის გამოყენება არ ითვლება დისციპლინის დარღვევად, დისციპლინური კომიტეტის წევრებმა საქმის განხილვისას უნდა გაითვალისწინონ, ვინ, რა ფორმით და რა მიზნით იყენებდა კონფლიქტოგენებს?

როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებელთა შორის გავრცელებულია **კონფლიქტოგენები:**

- ✓ საკუთარი რჩევების სისტემატურად თავს მოხვევა;
- ✓ აღმატებულად გამოჩენისაკენ განსაკუთრებული სწრაფვა;
- ✓ აგრესიულობის გამოვლინება;

- ✓ ეგოიზმის გამოვლინება;
- ✓ კატეგორიულობა საუბარსა და ქცევაში;
- ✓ სხვა პიროვნებების მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა, დამცირება;
- ✓ ხშირი კვენა;
- ✓ თვითდამკვიდრებაზე ორიენტაციისას, ღია და ფარული დასმენების მეთოდების გამოყენება, ჭორების გავრცელება;
- ✓ იგნორირება;
- ✓ დაცინვა, ცინიზმი;
- ✓ მოტყუება;
- ✓ პრესტიჟზე, თავმოყვარეობაზე ზემოქმედება.

კონფლიქტოგენების გარდა სასკოლო კონფლიქტების გამონვევა შეუძლია სხვადასხვა საქმიან თუ სუბიექტურ მიზეზს. მათი სპექტრი მრავალფეროვანია და განსხვავებულია განვითარების დინამიკაც. სწორედ ამიტომ, კონფლიქტის ანალიზი მარტივი არ არის. სპეციალისტები მათ დიფერენციაციას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ახდენენ:

- ✓ გამომწვევი მიზეზებისა და სპეციფიკის;
 - ✓ მიზნების;
 - ✓ მიმართულებების;
 - ✓ გამოყენებული ტაქტიკის;
 - ✓ ჩართული სუბიექტების რაოდენობის;
 - ✓ გავრცელების მასშტაბების;
 - ✓ დაპირისპირების (ბრძოლის) მეთოდების;
 - ✓ ორგანიზაციულ სტრუქტურაში მხარეების სტატუსის;
 - ✓ თანმდევი სოციალური შედეგების;
- და სხვ.

ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ საქმის განხილვისას **დისციპლინურმა კომიტეტმა უნდა შეაფასოს:**

1. მხარეების დაპირისპირების მიზეზი;
2. მხარეების არჩეული სტრატეგია;
3. კონფლიქტის ესკალაციის დონა.

რა ინჰივს სკოლაში კონფლიქტებს?

- ✓ **რესურსების შეზღუდულობა** – მაგ., არასაკმარისი მატერიალური რესურსები – საკლასო ოთახი, კომპიუტერი და სხვ., რეიტინგები და თანმდევი სიკეთეები – მაგ., საუკეთესო მოსწავლე, მასწავლებელი და სხვ., ან საგაკვეთილო საათობრივი დატვირთვის შეზღუდულობა;
- ✓ **უფლება–მოვალეობათა არასწორი განაწილება, ფუნქციების დამთხვევა ან დავალიანობათა შესრულებისას არათანაბარი დატვირთვა** – მაგ., ერთი და იმავე კათედრის სხვადასხვა წევრისათვის ან პარალელური კლასების დამრიგებლებისათვის განსხვავებული მოთხოვნების წაყენება, ზოგიერთი მოსწავლისათვის დიდი რაოდენობით დავალების მიცემა და დამატებითი ცოდნის მოთხოვნა;

- ✓ **განათლების დონესა და კომპეტენციებში განსხვავებები** – როგორც კოლეგებს, ისე თანატოლებს შორის;
- ✓ **დისბალანსი ორგანიზაციულსა და პირადს შორის;**
- ✓ **როლების დისბალანსი** – როდესაც მოზარდი ვერ ასრულებს როლს, რომელსაც მისგან მოელოდნენ, მაგალითად, კლასში ყველაზე წარმატებულის, ლიდერის, მზრუნველის, ძლიერი ადამიანისა და სხვ., მას ეწყება გაღიზიანება და პიროვნული კონფლიქტები;
- ✓ **ინტერესთა კონფლიქტი მიზნებთან, პოზიციებთან, ღირებულებებთან მიმართებაში** – ეფუძნება საზოგადოებრივი განვითარების მიზნებისა და პროცესების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას. მხარეები იწყებენ ადამიანების დაყოფას „თავისიანად“ და „სხვისად“, შემდეგ, ერთიანდებიან პირველ კატეგორიასთან, მეორე კატეგორიასთან კონფლიქტისათვის.
- ✓ **მოუწონებელი კომუნიკაციები** – ინფორმაციის გავრცელება ხდება დამახინჯებული სახით. ხშირია ტყუილი, დაუზუსტებელი ან არასაკმარისი ინფორმაციის გავრცელება/ მიწოდება. მაგ., ადმინისტრაციის განკარგულებები, რომლებიც მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან ან მშობლებთან არასწორად არის ინტერპრეტირებული, ვრცელდება ჭორები რომელიმე მოსწავლის გრძნობების შესახებ და სხვ;
- ✓ **პირადი ან სხვისი თვისებების დამახინჯებული აღქმა** – განწყობები იწვევს ნეგატიური ემოციების მაღალ ხარისხს, განცდას, რომ არ აფასებენ, ანგარიშს არ უწევენ, ყურადღებას არ აქცევენ, არაფრად აგდებენ, პატივს არ სცემენ;
- ✓ **შეფასების და ანაზღაურების არასრულყოფილი სისტემა** – უკმაყოფილება შრომის ანაზღაურების ოდენობით, პრემიებით, დანერგული შეფასების ქულების სიზუსტით;
- ✓ **სასკოლო გარემო და პირობები** – ინფრასტრუქტურის ხარისხი, უსაფრთხოებისა და დაცულობა/დაუცველობის შეგრძნება;

დისციპლინური კომიტეტის მუშაობისას და დისციპლინური დარღვევების მიზეზების კვლევისას მეტი სიცხადის მომტანი იქნება თუ კონფლიქტების დიფერენციაციას მოახდენენ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების **ობიექტურობისა და სუბიექტურობის** ნიშნით. კონფლიქტის გამომწვევი სუბიექტური ფაქტორები უფრო მეტად სოციალურ-ფსიქოლოგიური და პიროვნული მიზეზებია. კონფლიქტის **პიროვნული** მიზეზებია:

- ✓ **პიროვნების ხასიათის აუტანლობა** – ემოციური არამდგრადობა ან ზედმეტად სტაბილურობა, არაადეკვატური წარმოდგენები და შეფასებები საკუთარ ან სხვის პერსონაზე, ზედმეტად მაღალი თვითშეფასება, მღელვარება, შური, პასუხისმგებლობისგან თავის არიდება და სხვა.
- ✓ **ინტერესებში, პრიორიტეტებში განსხვავება, მატერიალური და სულიერი ინტერესების შეჯახება** ადამიანებში ჯერ საკუთარ თავთან ჭიდილს განაპირობებს, შემდეგ იწყება საკუთარი შეხედულებების უპირატესობაში სხვების დარწმუნების მცდელობა;
- ✓ **მითხრობილობა კონფლიქტი** – რესურსების უთანაბრო განაწილება, ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვებისაკენ სწრაფვა;
- ✓ **ინტერესთა კონფლიქტი** – ადამიანების მისწრაფება, მიიღონ კეთილდღეობის დაუფლების შესაძლებლობა, რასაც მათი სოციალური მდგომარეობა ხელს უშლის. ინტერესთა კონფლიქტის საკითხი შეიძლება დადგეს დისციპლინური კომიტეტის ნათესავის საქმის განხილვასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში კომიტეტის ასეთი წევრი ჩამოცილებული უნდა იყოს სხდომის მომზადება-მუშაობისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ქმედება ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით. **(ამონარიდი კოდექსიდან – მუხლი 92. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა:**

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

- ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;
- ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

2. ამ კოდექსის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

- ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი; (2.03.2001 N 772)
- ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
- დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

3. თანამდებობის პირი ვალდებულია, ზემდგომ თანამდებობის პირს აცნობოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ. განცხადება თვით-აცილების თაობაზე განიხილება ამ კოდექსის 93-ე მუხლით დადგენილი წესით).

ობიექტური მიჯნებით გამოწვეულ კონფლიქტად განიხილავენ **იერარქიულ კონფლიქტს**, რომელიც სკოლაში მმართველ რგოლსა და დაქვემდებარებაში მყოფთა შორის ხდება. მაგ., დირექცია – მასწავლებლები, მასწავლებლები – მოსწავლეები და ა.შ. ასევე, ობიექტურად მიიჩნევენ **ფუნქციურ ანუ** სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ კონფლიქტს.

ობიექტური ტიპის კონფლიქტის კვლევა, ჩართული მხარეების განსაზღვრა და მენეჯმენტი უფრო მარტივია, ვიდრე სუბიექტური ტიპის კონფლიქტების, ვინაიდან ისინი დატვირთულია ემოციური ფონით და პირადი დამოკიდებულებების მრავალფეროვნებით, მწვავე სუბიექტური აღქმით, რაც რეალობის დადგენას ართულებს.

დისციპლინის რეგულირებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ როგორი **სამოქმედოსტრატეგია** ჰქონდა არჩეული კონფლიქტის მონაწილე თითოეულ მხარეს:

- 1. კონკურენტული – ორიენტირებული იყო ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით კონფლიქტში გამარჯვების მიღწევაზე;
- 2. განრიდების – ცდილობდა კონფლიქტისაგან თავის დაღწევას;
- 3. შეგუების – მოთმინებით იტანდა ძალადობას, დამცირებას;
- 4. კომპრომისული – ცდილობდა გარკვეული დათმობებით კონსენსუსის მიღწევას;
- 5. თანამშრომლობითი – ცდილობდა მეორე მხარესთან თანამშრომლობას და კონფლიქტის მოგვარებას.

სიტუაციის შეფასებისას დისციპლინურ კომიტეტს მოუწევს კონფლიქტის **კლასიფიკაცია ჩართული სუბიექტების ტიპისა და რაოდენობის მიხედვით:**

- 1. პიროვნებათაშორისი კონფლიქტი;
- 2. პიროვნებასა და ჯგუფს შორის კონფლიქტი;
- 3. ჯგუფთაშორისი კონფლიქტი.

პიროვნებათაშორისი კონფლიქტის ანალიზი და რეგულაცია უფრო ადვილია, ვიდრე ჯგუფებს შორის მრავალსუბიექტიანი კონფლიქტის.

სასკოლო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია **პიროვნებათაშორისი (ინტერპერსონალური) კონფლიქტები**:

ა) დაპირისპირება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის:

- ✓ შეფასებასთან და შენიშვნებთან დაკავშირებით;
 - ✓ დავალებების შეუსრულებლობის, ან ცუდად შესრულებისთვის;
 - ✓ მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევისას;
 - ✓ მოსწავლის უნესო ქცევასთან დაკავშირებით მასწავლებლის კორექტული/არაკორექტული შენიშვნის გამო;
 - ✓ მასწავლებლის მიერ წამოყენებული მიუღწევადი მოთხოვნების გამო;
 - ✓ დისციპლინის დამრღვევთა მიმართ დასჯის არაადეკვატური მეთოდების გამოყენების ან უსამართლო მიდგომის მიზეზით;
 - ✓ დასჯის საშუალებად დაბალი შეფასების გამოყენების გამო;
 - ✓ მასწავლებლის მიერ მოსწავლის ქცევის დაუსაბუთებელი ან მცდარი შეფასებისას;
 - ✓ პედაგოგის მიერ პრობლემური სიტუაციის არაკომპეტენტურად გადაჭრისას;
 - ✓ თუ მასწავლებელი და მოსწავლე განსხვავებულად აღიქვამენ სიტუაციებს და მათ გამომწვევ მიზეზებს;
 - ✓ მოსწავლეების მიერ მასწავლებლის აბუჩად აგდების ან იგნორირების გამო;
- და სხვ.

თუ მასწავლებელი პრობლემებს აწყდება მოსწავლეებთან ურთიერთობაში და დახმარებისათვის და სადამსჯელო სანქციების გასატარებლად სისტემატურად მიმართავს ადმინისტრაციას. ამით კიდევ უფრო ამძაფრებს კონფლიქტს. მოსწავლეები და მასწავლებელი მხარეებად „ყალიბდებიან“ და ღიად იწყებენ ურთიერთსაინიანააღმდეგო ქმედებებს. მოსწავლეები მიმართავენ დისციპლინის განზრახ დარღვევებს, რომელიც მასწავლებელს გამოიყვანს წყობილებიდან (ამასთანავე, გამოიწვევს მასწავლებლის მიმართ დირექტორის უკმაყოფილებას). ხშირია:

- ✓ თამბაქოს მოხმარების ფაქტები;
- ✓ მოსწავლეების დაგვიანება გაკვეთილზე;
- ✓ მოსწავლეების სკოლიდან გაპარვა;
- ✓ ფულის გამოძალვის ფაქტები;
- ✓ მოსწავლეებს შორის დაპირისპირება;
- ✓ ვანდალიზმის ფაქტები.

რა თქმა უნდა, ამ ქცევებს უპირისპირდება დასჯა, დამცირება, დაშინება, შეურაცხყოფა და სხვა რეპრესიები, რომელიც ახალი კონფლიქტის მაპროვოცირებელია.

ბ) კონფლიქტი: მოსწავლე – მოსწავლე, მოსწავლე – მასწავლებელი და მასწავლებელი – მასწავლებელი, ხშირად ვითარდება თვითდამკვიდრების პროცესში. სუბიექტის ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს პიროვნული ნიშნები – ტემპერამენტი, ხასიათი, აღზრდა, ღირსების გრძნობის მწვავე განცდა და სხვა, მაქსიმალიზმი და კატეგორიულობა, ფაქტების, მოვლენების, საკუთარი ქცევის ცალმხრივი შეფასება, განსხვავებული ურთიერთმოლოდინი, უტაქტობა ურთიერთობაში, უსამართლობის განცდა.

კონფლიქტი მასწავლებელი – დირექცია უკავშირდება როგორც სკოლის სტრუქტურულ იერარქიას, ისე პიროვნებების ინდივიდუალურ, ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. ძირითად მიზეზთა შორის განიხილება აღიარების ან გავლენის სფეროებზე (მოსწავლეებზე,

მშობლებზე, ადმინისტრაციებზე) კონკურენცია, ადმინისტრაციის მოთხოვნების, სკოლის წესების შეუსრულებლობა, პირადი პრობლემები, დაუფასებლობის განცდა, პრესტიჟის შელახვა, ადმინისტრაციის წარმომადგენლის მხრიდან მოსწავლეების თანდასწრებით მასწავლებლისათვის შენიშვნის მიცემა და ა.შ. დისციპლინურმა კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი დადგენილებით უკმაყოფილო მასწავლებლების მხრიდან არ არის გამორიცხული მშობლების, მოსწავლეების, რომელიმე მასწავლებლის ან ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართვა, ამიტომ სხდომის დადგენილება მაქსიმალურად ავთენტური უნდა იყოს.

პიროვნებასა და ჯგუფს შორის კონფლიქტი მაშინ იწყება, როცა ჯგუფში შემავალი პიროვნება არ ასრულებს ჯგუფის მიერ დადგენილ წესებს ან გამოთქვამს ჯგუფისაგან განსხვავებულ შეხედულებას. მაგალითად, თუ დამრიგებელი კლასის მოსწავლეებს მოსთხოვს გაკვეთილებზე დისციპლინის მაქსიმალურად დაცვას, რომ სკოლის ადმინისტრაციისაგან მიიღონ ექსკურსიაზე წასვლის ნებართვა და ეს მოთხოვნა რომელიმე მოსწავლემ დაარღვია, ამით მთელ კლასს აზარალებს. მას ეწყება კონფლიქტი თანაკლასელებთან. სკოლებში ხშირია დაპირისპირებები სკოლის ე.წ. „ყოჩების“ დაჯგუფებებს შორის, კლასის გოგონებისა და ბიჭების ჯგუფებს შორის. კონფლიქტში ღიად თუ ფარულად ჩათრეული ბავშვები ერთმანეთის მორალურ დისკრედიტაციას ცდილობენ ახდენენ ჭორების გავრცელებით, დაშინებით, შეურაცხმყოფელი მესიჯების გაგზავნითა და სკოლის კედლებზე წარწერების გაკეთებით. თუ მათ ცინიზმისა და აგრესიის მეშვეობით მიზანს ადვილად მიაღწიეს, უჩნდებათ მისი განმეორების სურვილი და სკოლაში იწყება დისციპლინის მოშლა და ქაოსი. სკოლაში დაწყებული კონფლიქტი ქუჩაში გადადის.

ასეთი სიტუაციის განხილვისას კომიტეტმა რეგულირების ისეთი ფორმა და საწყისი უნდა მოიფიქროს, რომ კონფლიქტი რეალურად დარეგულირდეს და დისციპლინური სახდელის დადების შემდეგ უფრო არ გამძაფრდეს.

ჯგუფებს შორის კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას სკოლის შიგნით ფორმალურ ჯგუფებს შორის: სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის, კლასში არსებულ სხვადასხვა დაჯგუფებას შორის, სხვადასხვა კლასის ინიციატივიანი მოსწავლეების დაჯგუფებებს შორის, სხვადასხვა საგნობრივი კათედრის მასწავლებლებს შორის, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის და სხვ.

უმნიშვნელო ინციდენტის გამო დაწყებული ინტერპერსონალური კონფლიქტი ადვილად გადადის ინდივიდი-ჯგუფის (როგორც კი ერთ-ერთი მხარე მომხრეებს ან თანამოაზრეებს გაიჩენს) ან ჯგუფი-ჯგუფის ტიპის კონფლიქტში (ორივე მხარეს მომხრეები უჩნდება). ასეთი დაპირისპირებები გვხვდება როგორც სკოლის შიგნით, ისე სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელ მოსწავლეთა ჯგუფებს შორის. მაგალითად, ერთი სკოლის მიერ ფეხბურთის საქალაქო ტურნირის წაგებას ხშირად მოჰყვება დაპირისპირებული სკოლების გულშემოქმედებებს შორის ფიზიკურ ძალადობაში გადაზრდილი ღია კონფლიქტი.

კონფლიქტის შედეგები

კონფლიქტები **სასკოლო საზოგადოებისათვის ნაგატიური შედეგების მომტანია** – ხშირია დისციპლინური გადაცდომები, ემოციური და ფიზიკური ძალადობა, რასაც ჩართული მხარეებისათვის **მიიმა ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური თუ მატერიალური შედეგი მოაქვს**. მათ შორის,

პიროვნების მიერ:

- ✓ მეორე მხარის მტრად აღქმა და ძალადობაზე ორიენტაცია;
- ✓ ერთი აზრის ამოჩემება, არ შეუძლია შეხედულების გადახედვა, შეცვლა;
- ✓ ემოციური არამდგრადობა, მუდმივი გაღიზიანება სკოლაში;
- ✓ კადრების დენადობა, შრომის ნაყოფიერების დაცემა;
- ✓ ცუდი ორგანიზაციული კლიმატი;
- ✓ დამახინჯებული კომუნიკაციები.

და სხვ.

კონფლიქტების დესტრუქციული შედეგები გამოვლინდება მოსწავლეების ქცევაში:

- ✓ ისინი დისციპლინის განზრახ დარღვევით ამტკიცებენ, რომ არ ემინიან დასჯის;
- ✓ მოსწავლეები ფიქრობენ, რომ ძალის გამოყენება მისაღები ხერხია, წინააღმდეგ შემთხვევაში თანატოლებმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ის სუსტია და დაჩაგვრა მოუნდომონ;
- ✓ აგრესიამ შეიძლება მოსწავლეთა დიდი ჯგუფები ჩაითრიოს. დაინყოს ვანდალიზმი და სკოლის ქონების დარბევა, გაკვეთილების ჩაშლა;
- ✓ მოსწავლეებს შორის იწყება გამუდმებული კინკლაობა, სიტყვიერი თუ ფიზიკური შევიწროება, ფულის ან ნივთების წართმევა, შეურაცხმყოფელი მეტსახელის შერქმევა;
- ✓ ეცემა მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაცია, სწავლა-სწავლების ხარისხი;
- ✓ გართულებულია დისციპლინის მართვა;
- ✓ სასწავლო პროცესის მიმართ მოსწავლეებს ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვთ;
- ✓ ირღვევა მორალური და ეთიკური ღირებულებები – სასკოლო საზოგადოებაში დაფასებული ხდება აგრესიული გრძნობებისა და ქმედებების დემონსტრირება.

ნეგატიურთან ერთად შეიძლება კონფლიქტებმა დროებითი **ობსტრუქციული შედეგების** მოიტანოს, მოსწავლეებში თავდაცვის, კრიტიკული აზროვნების, გადანყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების და პრობლემის შემოქმედებითი გადაჭრის უნარის განვითარებაში გამოიხატება, ერთ მხარეს დაჯგუფებულ მოზარდებში იზრდება ერთსულოვნება და ერთმანეთის ნდობა. ამ ფაქტორმა დისციპლინური კომიტეტის დაბნეულობა არ უნდა გამოიწვიოს.

სკოლებში კონფლიქტის **რეგულირებას სქემატურად უღებია**. ყველაზე მეტად გავრცელებული რეაგირების პრაქტიკა ასეთია:

1. დამრიგებლისა და ადმინისტრაციის მიერ მოსწავლეზე გარკვეული ვალდებულების დაკისრება;
2. მოსწავლეზე ბენოლა, იძულება, მუქარა;
3. სანიმუშოდ დასჯა და (ამით სხვებისათვის „ჯკუის სწავლება“;
4. მხარეებისათვის მანდატურის სამსახურის მიერ ოქმის გაფორმება;
5. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი მუხლის მიხედვით დირექტორის მიერ ფორმალური სახდელის დაკისრება;
6. კონფლიქტის გადანყვეტაში უფროსკლასელების, ძლიერი დამცველების მოყვანა (ე.წ. სკოლის ყოჩების) ან უფროსი და-ძმის ჩართვა;

7. გარჩევები და მოლაპარაკებები სკოლის გარეთ;
 8. დამრიგებლის ჩარევა და აღმზრდელობითი საუბრები;
 9. ადმინისტრაციის მიერ აღმზრდელობითი საუბრები, აიძულოს ბოდიშის მოხდა;
 10. სკოლის ფსიქოლოგის გასაუბრება ჩართულ მხარეებთან;
 11. მშობლების ჩართვა, მაშინაც კი, როცა არსებობს მათგან კონფლიქტის ახალი მუხტის გაჩენის რისკი;
 12. სამართალდამცველების ჩართვა;
- და სხვ.

ეს მეთოდები ორიენტირებულია ერთჯერად მომენტალურ შედეგზე და ვერ გახდება კონფლიქტის განმუხტვის, შეჩერების ან დარეგულირების გარანტია. ამასთან, არგამორიცხავს მარეგულირებლის მხრიდან სასტიკ ან დამამცირებელ სასჯელს და ძალის დემონსტრირებას. ასეთი ფაქტები მშობლის საჩივრის ან ახალი კონფლიქტის საბაზად შეიძლება იქცეს, რაც არ გამოორიცხავს ახალი კონფლიქტის ესკალაციას; მსგავსი რისკებისაგან დაზღვევის მიზნით საჭიროა, კომიტეტმა განსაზღვროს კონფლიქტის რეგულირებაში ჩართული პირების მამოძრავებელი მოტივები და კონფლიქტის რეალური მიზეზები.

საინტერესოა ამერიკული სკოლების გამოცდილება. მათი დისციპლინის მარეგულირებელი საბჭოები მიმართავენ ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორცაა:

1. მედიაცია, მოთხოვნების ახსნა -განმარტება, არგუმენტებით დარწმუნება;
2. თანადგომა, დახმარება, პრობლემების მოგვარებაში ხელშეწყობა;
3. დაპირისპირებულთათვის საერთო მიზნების განსაზღვრა;
4. წახალისება, სტიმული;
5. ინფორმაციული ნაკადის მონესრიგება.

კონფლიქტის მოგვარების ხერხის არჩევისას ისინი ორიენტაციას ისეთ გადანყვეტილებაზე იღებენ, რომლის შედეგადაც ორივე მხარე მოგებულა და აღარ არსებობს კონფლიქტის განვითარების საფრთხე;

დისციპლინური სტრატეგია და კონფლიქტები

დისციპლინური დარღვევის ან კონფლიქტის მიზეზების განხილვისას მნიშვნელოვანია **სკოლის გარემოს შესწავლა**. გარემო უშუალოდ ზემოქმედებს დისციპლინასა და კონფლიქტებზე.

სასკოლო კონფლიქტების გარემოდ განიხილება სკოლაში **დისციპლინასთან ზოგადი მიდგომა**. კონკრეტული სკოლისათვის დამახასიათებელ კონფლიქტებს ძირითადად განაპირობებს დისციპლინის მიმართ **სკოლაში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სტრატეგია**.

არსებობს დისციპლინის მართვის ორი მიდგომა:

1. **ნებათიური** მიდგომის პოლიტიკა – მხოლოდ სადამსჯელო რეგულაციებზე ორიენტაცია;
2. **პოზიტიური** მიდგომის პოლიტიკა – დისციპლინური ნორმების დამცველების წამახალისებელ და მასტიმულირებელ აქტივებზე ორიენტაცია.

რამდენადაც დისციპლინური კომიტეტი სკოლის ნაწილია, მათი მუშაობის სტილი და მიღებული გადაწყვეტილებები სკოლაში ისტორიულად განსაზღვრულ დისციპლინის პოლიტიკაზეა მორგებული, რითაც დისციპლინის შემდგომი მართვა და კომიტეტის გადაწყვეტილებების რეალიზაციის ხარისხი ეჭვქვეშ დგება.

ხშირად სკოლა დისციპლინურ პოლიტიკას გააზრებულად არ ირჩევს. ის თავისთავად ყალიბდება ხელმძღვანელი პირის პრიორიტეტებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

განიხილავენ **ოთხი სახის დისციპლინურ სტრატეგიას**:

- ✓ ავტორიტარული დისციპლინა;
- ✓ თავისუფალი დისციპლინა;
- ✓ დემოკრატიული დისციპლინა;
- ✓ დაბალანსებული, მოქნილი დისციპლინა.

სკოლების უმრავლესობაში გამოკვეთილია **ავტორიტარული** დისციპლინის პოლიტიკა, რომელიც შეიძლება **ორი ფორმით გამოიხატოს**:

1. ავტორიტარული ძალადობრივი დისციპლინა – ახასიათებს ხისტი კონტროლის სისტემა, მაღალი ზეგავლენა, დაშინება. მოზარდები ეჩვევიან ძალადობას, ტყუილს და ბრმა მორჩილებას. სკოლაში დაძაბული და რეპრესიული ატმოსფეროა. რაც უფრო მკაცრია სასჯელი, მით უფრო მეტია აგრესია, ძალადობა და თანმდევი კონფლიქტები, რომლებიც ქუჩაში გრძელდება;

2. ავტორიტარული არაძალადობრივი დისციპლინა – მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან სტიმულირების გააქტიურება – სხვადასხვა ჯილდოსა და სასჯელის მონაცვლეობა. ჯილდო შეიძლება მოიცავდეს ნივთიერ საჩუქრებს, ფულს, პრივილეგიების მინიჭებას, განსაკუთრებულ მოპყრობას. შედეგად თვითდისციპლინის ნაკლებობა მიიღება. მოზარდები შენიშვნებს არ ღებულობენ, ხშირად ჯანყდებიან და სხვაგან ეძებენ უპირობო დაფასებას. წარმატებულად წარმოჩენის მიზნით ხშირია ღია და ფარული კონფლიქტები, ტყუილები, ინტრიგები, გარჩევები, სხვების დაკნინების მცდელობები, აკრძალული (ზოგჯერ დანაშაულებრივი) სტრატეგიების გამოყენება.

თავისუფალი ანუ ნაბისდამრთველი დისციპლინა განსაკუთრებით პოპულარულია მცირე ზომის კერძო სკოლებში, როგორც მშობლებისათვის მიმზიდველი სასკოლო გარემო და იმ საჯარო სკოლებში, სადაც ადმინისტრაცია მოსწავლეთა კეთილგანწყობის მოპოვებაზეა ორიენტირებული. ასეთი დისციპლინური ტენდენციის სკოლების მოზარდებში გამოკვეთილია უფროსების და ერთმანეთის იგნორირების, არაფრად ჩაგდების ტენდენცია. დისციპლინის მართვა დაფუძნებულია თხოვნაზე, მოსყიდვაზე, მოლაპარაკებებზე, დისტანციის უგულვებლყოფაზე. ბავშვები ახდენენ ერთმანეთით და უფროსებით მანიპულირებას, ხშირია მოსწავლეებს შორის ინტრიგები, რომლებიც შემდეგ მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან კონფლიქტში გადადის; დისციპლინურ კომიტეტს უჭირს გადაცდომის ფაქტის დადგენა, ჩართული მხარეების გარკვევა, კომიტეტის დადგენილებებიც არ მუშაობს, ამიტომ საქმეების განხილვას წევრები თავს არიდებენ;

დემოკრატიული დისციპლინა – სკოლაში შექმნილია ისეთი პირობები, როცა ბავშვებს აქვთ განცდა, რომ საკუთარი დისციპლინის მმართველები არიან, მონაწილეობას ღებულობენ გადაწყვეტილებების მიღებაში, ამიტომ არ სჭირდებათ ძალაუფლებისთვის ბრძოლა, ბავშვების აზროვნება და იდეები გათვალისწინებულია. უფროსებთან (მასწავლებელი, ადმინისტრაცია,

პერსონალი) თანამშრომლობა ბუნებრივია. სასკოლო ურთიერთობების ატმოსფერო თავისუფალი, მხარდამჭერი, თანმიმდევრული და მოქნილია. უზრუნველყოფილია უპირობო წახალისება. ბავშვები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, უმრავლესობას მაღალი თვითშეფასება აქვს. თვითდისციპლინა, პასუხისმგებლობა, პრობლემის გადაჭრის უნარის შედეგები სწავლის პატივისცემა და თანამშრომლობაა, რაც პირდაპირპროპორციულად ამცირებს კონფლიქტებს როგორც მოსწავლეებს შორის, ისე მასწავლებელთან.

კონფლიქტების ესკალაციის სპეციფიკა

როგორ ხდება კონფლიქტის ესკალაცია?

სასკოლო კონფლიქტის გადაჭრისას დაშვებული ყოველი შეცდომა შობს ახალ პრობლემებს და კონფლიქტებს: კონფლიქტის პროცესში ერთვება მშობელი ან მშობლების ჯგუფი, როგორც ახალი მხარე, პედაგოგებიც საკუთარ პოზიციას იჭერენ. შემცირებულია პედაგოგის მიერ მშობლებთან ან ადმინისტრაციასთან თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება.



სკოლის სხვადასხვა სტრუქტურის ერთეულებში (მაგ. დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, კლასის დამრიგებლები, საგნობრივი კათედრა და სხვ.) და აქტივობებში ერთი და იგივე ადამიანები არიან ჩართული, ამიტომ კონფლიქტები ურთიერთდაკავშირებული ხდება. თუ რომელიმე სუბიექტი (მაგალითად, მასწავლებელი) დისციპლინური კომიტეტის დადგენილებებს უსამართლოდ მიიჩნევს და არ დაეთანხმება, ხელს შეუწყობს სკოლაში დაძაბულობის ესკალაციას. ამას შეიძლება მოყვეს:

- ✓ მსგავსი გადაცდომების და კონფლიქტების გააქტიურება;
- ✓ ორგანიზაციიდან მასწავლებლების მასობრივი წასვლა საკუთარი სურვილით;
- ✓ შრომის ნაყოფიერების შემცირება;
- ✓ ლოკალური კონფლიქტების ინტენსივობის ზრდა;
- ✓ არასასურველი ხმების გავრცელება რომელიმე სუბიექტის საწინააღმდეგოდ;
- ✓ კლასის ხელმძღვანელების და დირექციის მითითების მასობრივი შეუსრულებლობა;
- ✓ სტიქიური კრებები, მიტინგები;
- ✓ ემოციური დაძაბულობის ზრდა;
- ✓ სოციალური დაძაბულობის წარმოქმნა.

ამდენად, კონფლიქტის გადაჭრის მიზნით, დისციპლინური კომიტეტის მიერ სანქციების დანესებას ახალი კონფლიქტების მთელი კასკადი მოყვება. სწორედ ასეთ საფრთხეებზე ვსაუბრობდით ზემოთ, კომიტეტის გადაწყვეტილების თანმდევ რისკების შესახებ.

ხშირად მარტივი კონფლიქტური მოქმედება ინციდენტიდან ოპონენტისადმი მაქსიმალური ზიანის მიყენების მიზნად გადაიქცევა ხოლმე. კონფლიქტის ასეთ განვითარებას ესკალაციას უწოდებენ.

კონფლიქტის ესკალაციის საფეხურები:

- I. საწყისი ფაზა – მარტივი ინციდენტები ან დარღვევები;
- II. პრობლემის გამძაფრება – დაპირისპირების ახალი მიზეზების ძებნა;
- III. მტრული ალიანსი – ჩართული სუბიექტების მომხრეთა ალიანსები;
- IV. კომუნიკაციის დამახინჯება – ჭორები, ინტრიგები, შეურაცხყოფები, ბრალდებები;
- V. უკიდურესი პოზიციები – „მტრის ხატის“ შექმნა;
- VI. ზიანის მიყენება-განადგურებაზე ორიენტაცია.

პერსონალური კონფლიქტი ხშირად არასერიოზული და უმნიშვნელო საბაბით იწყება და იშვიათად ხდება დისციპლინური კომიტეტის განხილვის საგანი, ვინაიდან დისციპლინური გადაცდომა აშკარაა, შინაგანაწესის მიხედვით სახდელი განსაზღვრულია და ხდება რეგულაცია. მაგრამ, თუ ინდივიდი-ინდივიდს შორის კონფლიქტი დროულად არ იქნა აღმოჩენილი და მართული, ის ჯერ ინდივიდსა და ჯგუფს (მეორე ინდივიდის ალიანსს) შორის, შემდეგ კი ჯგუფებს შორის (ორივე ინდივიდის ალიანსს/მომხრეებს შორის) კონფლიქტად გარდაიქმნება, ჩაითრევს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და ა. შ. სკოლა ღებულობს ე.წ. ესკალირებულ კონფლიქტს, რომელიც მთელ ორგანიზაციას მოიცავს და ძნელი იქნება მტყუან-მართლისა თუ დამნაშავე-დაზარალებულის გარჩევა.

სასკოლო კონფლიქტების სპეციფიკა მის დინამიკაში – განვითარების ეტაპების სწრაფ ცვლაში მდგომარეობს. ვინაიდან კონფლიქტების განხილვას დისციპლინური კომიტეტი მაშინ იწყებს, როცა ის უკვე შორს წასულია (ესკალირებულია), მხარეებს უკიდურესი პოზიციები უკავიათ და საკითხის განხილვა მეტისმეტად გართულებულია. კომიტეტის სხდომაზე მოწვეულ მხარეებს უჭირთ საკუთარი ქმედებების, ისტორიებისა და პრობლემების ემოციის გარეშე გამხელა. ზოგიერთი მათგანი თამამად ვერ საუბრობს იმის შიშით, რომ მათ ან არ მოუსმენენ, ან არ დაუჭერენ. ზოგჯერ მხარე კომიტეტის მიმართ უნდობლობას ან აგრესიას გამოხატავს. ასეთ პირობებში, თუ ობიექტური და სათანადო გადაწყვეტილების მიღება გართულდა, ახალი კონფლიქტები იფეთქებს.

დისციპლინური კომიტეტი, როგორც კონფლიქტის მხარე

დისციპლინური კომიტეტი რეალურად მიიღებს მონაწილეობას სკოლაში მტკიცე დისციპლინის, უსაფრთხო და მშვიდი გარემოს ფორმირებაში, თუ მზად იქნება ინციდენტების კონსტრუქციულად გადაჭრისათვის ისეთი რეგულაციების გამოყენებით, რომელიც მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების ღირსების დაცვას ეფუძნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აღმოჩნდება კონფლიქტის მესამე მხარე და მის მიერ მიღებული ნებისმიერი დადგენილება არსებულ გარემოებებში არავალიდური აღმოჩნდება. იმედი გვაქვს, ჩვენ მიერ ქვემოთ შემოთავაზებული ინფორმაცია დაეხმარება დისციპლინურ კომიტეტს:

- ✓ ინციდენტის შეფასების პროცესში;
- ✓ სხდომის მომზადება-ჩატარებაში;
- ✓ კონფლიქტის ესკალაციის რისკების შეფასებაში;
- ✓ პასუხისმგებლობის გაცნობიერებაში;
- ✓ რეკომენდაციების შემუშავებაში.

ჩვენთან გავრცელებული პრაქტიკისაგან (იგულისხმება სკოლის დირექტორის ან დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე შინაგანაწესის დამრღვევ პირს დაეკისროს შინაგანაწესით გათვალისწინებული სახდელი) განსხვავებით შესაძლებელია გავითვალისწინოთ წარმატებული უცხოური გამოცდილება – დისციპლინურ კომიტეტს მიეცეს

უფლებამოსილება, დამრღვევს სახდელთან ერთად ან მის გარეშე დააკისროს გარკვეული დამატებითი მოვალეობა სკოლის ან დაზარალებული მხარის სასარგებლოდ ანუ გაფორმდეს შესაბამისი კონტრაქტი, რომელიც დაზიანებით (ზარალით) გამოწვეული ემოციური, თუ მატერიალური შედეგების გამოსწორების, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ან სხვა რაიმე დავალების გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესრულებაში გამოიხატება. ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს სამართლიანობის აღდგენას, განმეორებითი რეციდივის თავიდან აცილებას, მოზარდის ქცევის გამოსწორებას, მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ასევე, მხარეებს შორის დიალოგის დაწყებას. ასეთი სამუშაო სტრატეგიის არჩევისას დისციპლინური კომიტეტი ხდება მედიატორი მხარეებს შორის მისი მიზანია დამრღვევის მიერ ჩადენილი გადაცდომისა და მისი შედეგების გაცნობიერება. კომიტეტი ხელს უწყობს მათ საკუთარი აზრისა და პოზიციის გამოხატვასა და პირდაპირი დიალოგის წარმოებაში. კონტრაქტის პირობები და ვადები წინასწარ თანხმდება როგორც მხარეებთან, ასევე მშობელთან (მეურვესთან), იქვე განისაზღვრება პირი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ამ კონტრაქტის პირობების შესრულებას და კომიტეტისათვის ანგარიშს მოამზადებს. ასეთი პრაქტიკისას კომიტეტის კონფლიქტში ჩართვის რისკი მინიმალურია.

3.3 თანამშრომლობა დისციპლინურ სხდომის მომზადების ეტაპი და კომიტეტის სხდომის ჩატარება

დისციპლინური კომიტეტის მუშაობის პროცესი ორი ძირითადი ეტაპისაგან შედგება: **სხდომის მომზადების ეტაპი და კომიტეტის სხდომის ჩატარება.**

სხდომის მომზადების ეტაპის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი საქმის შესწავლაა. კომიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს სკოლის დირექციასა და სამეურვეო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. გადაცდომის მიზეზებისა და გარემოებების ობიექტურად დადგენის მიზნით ინფორმაციის მისაღებად, სხდომის ჩატარებამდე დისციპლინური კომიტეტი იწყებს თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებთან: დაინტერესებული მხარე შეიძლება იყოს მასწავლებელი, მოსწავლე, მისი მშობელი/მეურვე, დამრიგებელი, სკოლის ფსიქოლოგი, მანდატური, კონფლიქტის შემთხვევაში კი დაზარალებული მხარე და მოწმეები. ამასთან უზრუნველყოფილი უნდა იყოს დისციპლინის დამრღვევის ინფორმირების საკითხი შესწავლის დაწყებასთან დაკავშირებით.

ინფორმაციის მიღების მიზნით დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე ანაწილებს დავალებებს:

- ✓ კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც კონკრეტული საქმე გადაეცემა გადაცდომის ობიექტური მიზეზებისა და გარემოებების დადგენის და პირველადი დასკვნის მომზადების მიზნით, სხდომამდე უნდა შეხვედეს და ესაუბროს გადაცდომის ჩამდენ პირს და მასთან დაკავშირებულ სუბიექტებს. აღნიშნული შეხვედრები საუბრის ხასიათს უნდა ატარებდეს და არ უნდა იყოს დაკითხვის იმიტაცია. დაუშვებელია სუბიექტური მიდგომა. ეს ურთიერთობა ფორმალური ხასიათისაა და უნდა შედგეს ოქმი.
- ✓ კომიტეტის წევრმა უნდა შეამოწმოს დისციპლინური კომიტეტის „დისციპლინური დარღვევების აღრიცხვის რეესტრი (ბაზა) ჩართული პირების დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით;
- ✓ კომიტეტის წევრმა დამრიგებლისაგან ან/და ადმინისტრაციისგან უნდა გამოითხოვოს სადამრიგებლო დღიურისა და/ან ოქმებში არსებული ჩანაწერების ასლები/ამონაწერები დამრღვევიან კონფლიქტში ჩართული პირების ქცევასთან, დავალებების შესრულებასთან, აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით;

- ✓ მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ადმინისტრაციას და გამოითხოვოს მოსწავლის/მასწავლებლის პორტფელი, მანამდე არსებულ დისციპლინურ გადაცდომებზე (თუ არსებობდა) დაკისრებული სახდელების შესახებ და მანდატურის მიერ წარდგენილი (თუ ასეთი არსებობდა) ოქმების ასლები, შესაბამისი რეაგირების შესახებ ბრძანების ასლი ან ამონაწერი;
- ✓ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზისას უნდა განცალკევდეს ერთი და იმავე პირის მსუბუქი, საშუალო და მძიმე ხასიათის გადაცდომები (თუ ასეთი არის), რომ მხოლოდ დარღვევების რაოდენობაზე აქცენტირებით მკვლევარი არასწორ გზას არ დაადგეს;
- ✓ შესაძლებელია საჭირო გახდეს პედსაბჭოს სხდომის ოქმის განხილვა, ასეთ შემთხვევაში, დისციპლინური კომიტეტის წევრი წერილობით მიმართავს პედსაბჭოს თავმჯდომარეს ოქმიდან ამონაწერის მიღების თაობაზე;
- ✓ კონფლიქტის შემთხვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს მხარეთა მისწრაფებები, მოტივები, წამქეზებლები და მათი ის მოთხოვნილებები, რომლებსაც კონფლიქტი უკავშირდება;
- ✓ საჭიროა, სხდომამდე მომზადდეს დოკუმენტური მასალები. წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტს არ ექნება ინფორმაცია მოსწავლის ან მასწავლებლის მიმართ ადმინისტრაციის მიერ მანამდე დაკისრებულ სახდელებზე, შესაძლებელია, გადაწყვეტილებამ, რომ კომიტეტმა დააკისროს უფრო მსუბუქი სახდელი, ვიდრე მანამდე და/ან შედარებით მსუბუქ გადაცდომაზე ჰქონდა დადებული იმავე პირს, მიგვიყვანოს დისციპლინური კომიტეტის დისკრედიტაციამდე.

გაფრთხილება! მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტის წევრების წინასწარი თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან არ გახდეს წინასწარი გადაწყვეტილების მაპროვოცირებელი და ინფორმაციის მიმართ შერჩევითი დამოკიდებულების მატარებელი.

3.4 ეფექტური კომუნიკაციის ტექნოლოგიები

კომიტეტის წევრების საქმიანობა კონტრპროდუქტიული რომ არ იყოს, **გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად და აღეკვამურად აღსაქმელად**, კომიტეტის თითოეულ წევრს უნდა შეეძლოს სხვა წევრებთან, დისციპლინის დამრღვევებთან, კონფლიქტის პროცესში დაზარალებულ და საქმის განხილვასთან დაკავშირებულ სხვა პირებთან ეფექტური კომუნიკაცია. კომიტეტის წევრები ინფორმაციის საფუძველზე ღებულობენ გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოფენ მათ გამოცხადებას მოსწავლეების და/ან თანამშრომლებისათვის; კომუნიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხდომის წარმართვისას ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნების გამო:

1. სხდომის დროის უდიდესი ნაწილი იხარჯება კომუნიკაციაზე განხილვის სუბიექტთან, საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან და თვითონ კომიტეტის წევრებს შორის;
2. კომუნიკაცია აუცილებელია პოზიციების დასაფიქსირებლად, განსამტკიცებლად, ნების გამოსახატავად;
3. კარგად აწყობილი კომუნიკაცია ხელს უწყობს სხდომის დადგენილების ეფექტურობის ამაღლებას;
4. ეფექტური კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტილების პერსონალურად დაყვანისა და რეალიზაციის მხრივ;
5. არშემდგარმა ან არაეფექტურმა კომუნიკაციამ კომიტეტი შეიძლება მცდარ გზაზე დააყენოს სკოლის დირექცია და/ან დისციპლინური კომიტეტი ან მიიყვანოს შიდა თუ გარე დაპირისპირებამდე.

როგორ დავამყაროთ ეფექტური კომუნიკაცია?

ინტერპერსონალური კომუნიკაცია – პიროვნებათა შორის მიმდინარე ურთიერთობის პროცესი, როდესაც ერთი პიროვნება გადასცემს მეორეს (ან ჯგუფს) ინფორმაციას. კომუნიკაცია – ინფორმაციის გაცვლა – ორ დონეზე მიმდინარეობს:



I. კომუნიკაცია **შინაარსის დონეზე** – საუბრისას შინაარსის გაცვლა ხდება ცნობების დონეზე;

II. კომუნიკაცია **დამოკიდებულებების დონეზე** – საუბრისას კომუნიკაცია გრძნობების/დამოკიდებულებების დონეზეც ხდება. დამოკიდებულების განმსაზღვრელი სიგნალები შეიძლება იყოს პოზიტიური, ნეიტრალური ან ნეგატიური.

თუ დამოკიდებულება პოზიტიური ან ნეიტრალურია, მაშინ შინაარსის დონე თავისუფალია, შესაძლებელია ინფორმაციის შეუფერხებელი გაცვლა. თუ დამოკიდებულების დონეზე ჩნდება უარყოფითი სიგნალები, დამოკიდებულება იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ შინაარსის შეუფერხებლად გაცვლა შეუძლებელია. ამდენად, პიროვნებაზე კომიტეტის წევრების წინასწარი დამოკიდებულება (დამნაშავეა! დამრღვევია! იტყუება!) ხელს შეუშლის შინაარსის ობიექტურად და სრულად აღქმას და მცდარ დასკვნამდე მიიყვანს.

ვერბალური (სიტყვებით) კომუნიკაციის ეტაპებია:

- ✓ გამგზავნი კომუნიკაციის იდეის გაჩენა;
- ✓ აზრის ჩამოყალიბება (კოდირება);
- ✓ გადაცემა;
- ✓ მიღება;
- ✓ აღქმა (დეკოდირება).

არავერბალური კომუნიკაციის გამოხატვის ფორმებია: ხმის მახასიათებლებით – სიმაღლე, ტემბრი, ტონი, სხეულის ენა – სახის გამომეტყველება, ჟესტები, თვალებით კონტაქტი, დგომა და სხეულის მოძრაობები. კომუნიკაციის ეფექტისათვის საჭიროა, რომ ორივე ტიპის კომუნიკატორები ჰარმონიულად იყოს შერწყმული.

როგორი პრობლემები შეიძლება შეიქმნას კომუნიკაციის პროცესში?



- ✓ ინფორმაციის შერჩევითი მოსმენა – ისმენენ იმას რაც გასაგებია, რაც აწყობთ;
- ✓ შერჩევითი ყურადღება – ყურადღებას ამახვილებენ ცალკეულ დეტალებზე;
- ✓ არაადეკვატური აღქმა – როცა მიმღებსა და წყაროს ერთნაირად არ ესმით ენა, ჟარგონი, სიმბოლოები;
- ✓ ინფორმაციის სტრუქტურა – მრავალმხრივი და გადატვირთული ინფორმაცია;

- ✓ პიროვნული ნიშნები – ფიზიკური და მენტალური მდგომარეობა, განათლების და ინტელექტის განსხვავებული დონე და ა.შ.
- ✓ ადამიანების ცრურწმენები, ტრადიციები, კულტურული მახასიათებლები, სტერეოტიპები;
- ✓ კონფლიქტური მოსაზრებები და მიზნები: როდესაც ადამიანები საწინააღმდეგო მოსაზრებებს უჭერენ მხარს, მათ უჭირთ საპირისპირო მოსაზრებების გაზიარება;
- ✓ მსმენელის ქედმაღლური დამოკიდებულება და უარყოფითი განწყობის გამოვლენა მოსაუბრის მიმართ;

საკმაოდ იშვიათი მოვლენაა კომუნიკაცია, რომლის დროსაც ადგილი აქვს ჭეშმარიტ გაგებას, ვინაიდან:

- ✓ როგორც მოზარდები, ისე ზრდასრულები ყოველთვის არ ამბობენ იმას, რასაც სინამდვილეში ფიქრობენ;
- ✓ ადამიანები გადასცემენ მხოლოდ ინფორმაციის ნაწილს და არა მთლიანად, რაც საკითხის შესახებ იციან;
- ✓ ადამიანებს ყოველთვის გააზრებული არა აქვთ თავისი გრძნობები;
- ✓ თუ იციან, ვერ ახერხებენ გრძნობების ადეკვატური და მეორე მხარისათვის გასაგები სიტყვებით გადაცემას (სწორი კოდის მოძებნა);
- ✓ ერთი და იგივე სიტყვები სხვადასხვა ადამიანს განსხვავებულად ესმის, მოზარდის ლექსიკა განსხვავებულია უფროსების ლექსიკისაგან;
- ✓ ადამიანებს უფრო ხშირად ესმით ის, რისი გაგებაც სურთ ან რასაც მოელიან და არა ის, რაც უთხრეს;
- ✓ ინფორმაციის მიმღები ხშირად დაკავებულია არა მოსმენა-გაგების პროცესით, არამედ საკუთარი პასუხის მოფიქრებით;
- ✓ ინფორმაციის გადამცემმა არასოდეს იცის, სწორად მოახდინა თუ არა დეკოდირება მიმღებმა;
- ✓ არც მიმღებმა იცის საკუთარ თავზე, სწორად მოახდინა თუ არა აღქმა;

ასეთი ბარიერებისგან თავის დაზღვევის მიზნით, სხდომაზე დისციპლინური კომიტეტის კომუნიკაციის მიზანი უნდა:

- ✓ ნდობის ატმოსფეროს შექმნა;
- ✓ ინფორმაციის სრულად მიღება-გაგება;
- ✓ მოღებული ინფორმაციის ადეკვატური აღქმის კონტროლი;
- ✓ პიროვნებისათვის მოტივაციის გაჩენა – ისაუბროს ან/და გამოხატოს გრძნობები, ემოცია;
- ✓ მიღებული ინფორმაციის სწორად შეფასება;
- ✓ ინფორმაციაზე რეაგირება და ინფორმაციის გადაცემა.

როგორ უნდა მოიპოვონ დისციპლინური კომიტეტის წევრებმა ნდობის მაღალი ხარისხი და შეძლონ თანამშრომლობითი აბოსფეროს შექმნა?

- ✓ აუცილებელია, შეინარჩუნონ ემოციური სტაბილურობა და კორექტულობა მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან მიმართვისას;
- ✓ უნდა იყონ მიუკერძოებელი – არ არჩევდნენ პიროვნებებს სხვადასხვა ნიშნით (სწავლა, ოჯახი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, წარმომავლობა და სხვ.);
- ✓ ჩასწვდნენ დარღვევის/კონფლიქტის რეალურ არსს;
- ✓ არ დაუშვან სკოლის მოსწავლეებში „საახლობლოს“ შექმნა, რომლებიც საქმის განხილვის პროცესში „ლობირებით“ ისარგებლებენ ან სავარაუდო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის წინასწარი მიღების პრივილეგია ექნებათ. (ეს განსაკუთრებულად კომიტეტის მოსწავლე წევრმა უნდა გაითვალისწინოს);
- ✓ შეძლონ ობიექტური გადაწყვეტილების მიღება იმ ადამიანების ემოციების ფონზე, ვისი საქმის განხილვაც მიდის.
- ✓ იმ პირების მიმართ, რომელთა საქმეც განიხილება, უნდა გამოხატოს კეთილგანწყობა;
- ✓ მუშაობის პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, საჭიროების შემთხვევაში მუშაობაში ჩართონ ფსიქოლოგი;
- ✓ საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე, მაგრამ მოსწავლეთა და მასწავლებელთა პერსონალური პრობლემები – კონფიდენციალური. ნებისმიერ აღნიშნულ შემთხვევაში, ყველაზე უმტკივნეულო ფრაზამაც კი შესაძლოა ჩაშალოს ეფექტური კომუნიკაციის პროცესი.



დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე კომუნიკაციაში დაშვებული ტიპური შეცდომები:

- ✓ ემოციურ ფონთან დაკავშირებული რისკების გაუთვალისწინებლობა – ინტერვიუს მსვლელობისას ხდება არა მხოლოდ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა-მიღება, არამედ, პირადი დამოკიდებულებების გამომხატველი ემოციური ხასიათის ინფორმაციის საშუალებით სხვა ადამიანებზე ზემოქმედება – მანიპულაცია, რაც ჭეშმარიტებისაგან მნიშვნელოვან დაცილებას გამოიწვევს. მით უფრო, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებული პირები განხილვისას დაძაბულნი არიან;
- ✓ აღქმის პრობლემის ან განსხვავებული ლექსიკის გამო ინფორმაცია არასრულად მიიღება – ხშირად ყველაზე მნიშვნელოვანი მესიჯი მთლიანად იკარგება იმის გამო, რომ გაუგებარი ტერმინებით იყო წარმოთქმული;
- ✓ მსმენელის წინასწარი განწყობის გამო ნათქვამს ემატება ისეთი ინფორმაცია, რომელიც მოსაუბრეს არ მიუწვდია;
- ✓ მსმენელი არასწორად იგებს საქმესთან დაკავშირებულ თუ დამატებითი ინფორმაციის ან ემოციურ შინაარსს – მოსაუბრის მიერ გადმოცემული ინფორმაცია იცვლება ან მახინჯდება;

- ✓ საუბრის არასწორად წარმართვა კომუნიკაციის დაბალი ტექნიკის ან მღელვარების გამო, თავის გამოჩენის ან საკუთარი როლის მნიშვნელობის გაზრდის მიზნით;
- ✓ არასწორი მოსმენის ფონზე ინფორმაციის დამახინჯება;
- ✓ სუბიექტური მიდგომა ნათქვამის მიმართ – საკითხის საკუთარ კონტექსტში ისეთნაირად გადატანა, რომელიც აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევას არ უკავშირდება;
- ✓ თუ სხდომაზე დაძაბული ემოციური და იმპერატიული გარემოა, კომუნიკაციის პროცესში მონაწილეების მხრიდან ბარიერები იქმნება ან ადგილი აქვს სრულ ჩაკეტვას;

მსგავსი სირთულეების აცილება შესაძლებელია, თუ კომიტეტის წევრები გამოიყენებენ აქტიური მოსმენის ტექნიკას და მყისიერად მოხდება წარმოქმნილი გაურკვევლობების დაზუსტება.

აქტიური მოსმენის პროცესი გულისხმობს მოსაუბრეზე ორიენტაციას, ინფორმაციის გაგებას, ემოციების იდენტიფიცირებას, ინფორმაციისა და ემოციების გადამონმებას, ემპათიას, ინტერესის დემონსტრირებას და პიროვნების გამხნევებას, რომ განაგრძოს საუბარი. ამომწურავი ინფორმაციის მიღების მიზნით გამოიყენება სიცხადის შემომტანი ღია კითხვები: როგორ? რატომ? და სხვა, რაც პრობლემის არსის უკეთ გაგების საუკეთესო საშუალებაა. ეფექტური კომუნიკაცია კომიტეტის წევრებსაც დაეხმარება, რომ დროულად გაარკვიონ სამუშაო პროცესში წარმოქმნილი პრობლემები. სხდომის გარემო დამსწრეებსა და მონაწილეებში დაძაბულობას არ უნდა იწვევდეს.

სხდომაზე დაუშვებელია:

1.	ფსიქოლოგიური კალაღობის ტაქტიკის გამოყენება	იგნორირება, ოპონენტის განზრახ წყენინება , თავმოყვარეობის, პატივისა და ღირსების შემლახვი ქცევა, მკვეთრი შეფასებების გამოყენება, სარკაზმი, ფსიქოლოგიური ზენოლა, შეურაცხყოფა
2.	განხილვის განსხვავება, აღფრთოვანებითი საუბრები	მორალის კითხვა, ქადაგება: – ეს ნამდვილად არ გეკადრებოდათ... – ეს ხომ თქვენი მოვალეობაა...
3.	ირთნია და იუმორი	მასხრად აბღება , რომელიმე პიროვნების ქცევაზე აქცენტირება და ხუმრობა, საკითხებზე ხუმრობა; – ერთი ამას დამიხედეთ, ვინ ყოფილა?! – ისე ლაპარაკობთ, თითქოს პირველად გესმოდეთ ამის შესახებ!
4.	როგორღე მხარის/სუბიექტის შექება, დამაინება	პირფარობა – როგორც ყოველთვის არც ახლა გეშლებათ.... – ვინ არ იცის რა დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ...
5.	ჩხუბი, შეტევა, შერცხვენა	– კარგად გიცნობ, ვინც ხარ . . . – როგორ გაბედეთ... – თქვენ ხომ სხვანაირად არ შეგიძლიათ... არც გამკვირვებია...
6.	კონფრონტაციული ქადაგება	მუჟარის და დამბლოკავი მოქმედებები , ემოციების სუსტი კონტროლი, გაფრთხილება, შესხენება: – ხომ არ გავინყდებთ, რა გააკეთე – ეს რომ არ გაგვეკეთებინათ, მაშინ ...

7.	მანიპულირება	ოპონენტზე ირიბი ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით ინფორმაციის გამოქალვა, დათმობაზე წასვლის იძულება ოპონენტისათვის საჭირო მიმართულებით მოქმედების პროვოცირება
8.	ზეწოლის ტაქტიკა	მთხოვნების წაყენება, შიშითაბები, ბრძანებები მუჟარის ტონით, ულტიმატუმი , კომპრომატის წამოყენება, შანტაჟი განკარგულებები: – ეს უნდა გააკეთოთ! – წადით და ახლავე ბოდიში მოუხადეთ მას!
9.	დემონსტრაციული ქცევა	გამონფეხვად მოქცევა საკუთარი პერსონისადმი გარემომცველთა ყურადღების მიპყრობის მიზნით; ყურადღების არაარსებით საკითხებზე გადატანა , კატეგორიული მოთხოვნა რომელიმე ნიუანსის დანვრილებით გაშლაზე
10.	გარიგების ტაქტიკა	რომელიმე სუბიექტთან დათმობა ან დათმობის მოთხოვნა სარგებლის სანაცვლოდ... ბოდიშის მოხდის იძულება: – მოიხადე ბოდიში, თუ გინდა, რომ ...
11.	რჩევების მიცემა, გადაწყვეტილების შეთავაზება	ჩემი აზრით, თქვენთვის აჯობებს გაიხსენოთ, რომ... — აჯობებს, თუ ერთხელ სხვაგვარად მოიქცევით....
12.	დასაბუთება, მონოლოგით გამოსვლა	ლოგიკური კავშირების მოძებნა: – სინამდვილეში სხვანაირად უნდა ყოფილიყო, რამდენადაც... – ფაქტები იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ ... – ვერ მოგცემთ საშუალებას გაგვასულელოთ
13.	გასამართლება, გაკრიტიკება, შეფასება შეწინააღმდეგება, სპევიდური	– მორწმუნე ადამიანი ასე არ იქცევა ... – რაც ჩაიდიწე დანაშაულია – არასწორი ხართ, რადგან – არ უნდა აყოლოდი ...
14.	ნათქვამის ინტერპრტირება, გაანალიზება, დიამნოსტირება	– ამას იმიტომ ამბობთ, რომ გაბრაზებული ხართ ... – ძალიან ეჭვიანი ხართ ... – ამით შთაბეჭდილების მოხდენა გსურთ თუ ... – ალბათ მომავალში გაიმეორებთ ...
15.	ნადრევი დასკვნების გამოტანა, ყოვლისმცოდნის პოზის მიღება	– ისიც „ვიცი“ რისი თქმა გსურთ . . . – ნადრევი დასკვნების გამოიტანა: მივხვდი, აღარ არის საჭირო ახსნა ... – ერთი შეხედვითაც ცხადია ყველაფერი, ეს მე არ მესწავლება ...
16.	პიროვნებების შეფასება მისი მანერების მიხედვით	– აქცენტირება „როგორ“ თქვა... და არა შინაარსის მიხედვით (რა თქვა) – ისე იდგა, რომ აშკარაა ... – როცა ხელებით ლაპარაკობენ, ყოველთვის ვიცი, როგორ უნდა

გაითვალისწინეთ:

- ✓ დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა მორგებული უნდა იყოს ერთიანი სახელმწიფო და სასკოლო დისციპლინის მართვის პოლიტიკაზე, მაგრამ გადანყვეტილებების მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ სამართლიანობის კონტექსტში;
- ✓ სხდომამდე კომიტეტის წევრებმა მასალები წინასწარ უნდა შეისწავლონ, გამოიკვლიონ, თუ რა ტიპის რეციდივები იყო მანამდე დაკავშირებული საქმის მოქმედ პირებთან სკოლაში და მის გარეთ;
- ✓ საკითხის განხილვა არ იყოს ხანგრძლივი;
- ✓ კომიტეტი იერარქიულია, ამიტომ თავმჯდომარეს ცალკეულ შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა აქვს; (იხ. კანონმდებლობა)
- ✓ ჯერ განსაზღვრეთ კომიტეტის წევრების როლი და შემდეგ პროცედურა. ხშირად ამ თანმიმდევრობის დარღვევა პრობლემებს იწვევს;
- ✓ საქმესთან დაკავშირებულ პირებთან დეტალების დაზუსტების მიზნით კომუნიკაცია მაქსიმალური ტოლერანტობის შენარჩუნებისა და თანადგომის პირობებში უნდა შედგეს;
- ✓ გადანყვეტილებაზე მუშაობისას უნდა მოხდეს ყველა ჩართული სუბიექტის ინტერესების გათვალისწინება.

ერთ ჟინსთან დაკავშირებული საქმიანობის ძირითადი კომპონენტებია:

- ✓ საქმის მიღება და მუშაობის დაწყება;
- ✓ საკითხის და დოკუმენტების შესწავლა;
- ✓ სხდომის დაგეგმვა, მომზადება;
- ✓ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება;
- ✓ რეგლამენტის განსაზღვრა;
- ✓ სხდომის ჩატარება;
- ✓ დოკუმენტების გაფორმება;
- ✓ გადანყვეტილების დაყვანა დაინტერესებულ მხარეებამდე.

სხდომის სტადიები:

1. დაწყება;
2. განვითარება;
3. დასრულება.

მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტის წევრებმა დაიცვან დაგეგმილი სამუშაო ფორმატი, სხდომა არ გადაიქცეს დამრიგებლობითი ან დამცველობითი პოზიციების დემონსტრირების არენად.

სხდომის აუსილუბალი კომპონენტებია:

1. სხდომის გახსნა;
2. ინფორმაციის მოსმენა დარღვევაზე/კონფლიქტზე;
3. მხარეების მოსმენა-გასაუბრება;
4. საქმის განხილვა;
5. გადანყვეტილების მიღება, დადგენილების პროექტის მომზადება;

6. რეკომენდაციების შემუშავება;
7. ოქმის გაფორმება;
8. ჩართული სუბიექტებისთვის გადაწყვეტილების გაცნობა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირება;
9. ადმინისტრაციისათვის საინფორმაციო წერილის მომზადება.

3.6

დისციპლინური კომიტეტის სხდომის დაგეგმვა

სხდომას დაგეგმვა და მომზადება სჭირდება, ამიტომ დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარემ საკითხის შემოსვლისთანავე საკითხის შესწავლის მიზნით უნდა დაიწყო დავალებების განაწილება. მას წევრების მუშაობის კოორდინაცია ევალება. სხდომის მოუმზადებლად ჩატარების შემთხვევაში კომიტეტი ბევრი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება მაგ. არ ექნება ინფორმაცია განსახილველი სუბიექტის მიმართ ადმინისტრაციის მიერ მანამდე დაკისრებულ სახდელზე და სხვ.

- ✓ დისციპლინური კომიტეტისთვის ინფორმაციის/მასალების გადაცემის შემდეგ დისციპლინური კომიტეტი ვალდებულია, შეისწავლოს და განიხილოს ისინი და კომიტეტის სხდომაზე მიიღოს გადაწყვეტილება სახდელის დაწესების ან არ დაწესების შესახებ განსაზღვრულ ვადაში;
- ✓ დისციპლინური კომიტეტის გუნდის შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება ხდება დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია სხდომის სრულფასოვნად ჩატარებაზე, პროცედურული ფაქტორების გათვალისწინებაზე, სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ არაპროდუქტიულობასა და თანმდევ დაპირისპირებებზე;
- ✓ თუ სხვა საჭიროება ან სისწრაფის საფუძველი არ არსებობს, ჩვეულებრივ კომიტეტის სხდომის დაგეგმვა იწყება განხილვამდე ერთი კვირით ადრე;
- ✓ პირველ შეკრებაზე წარმოდგენილ საქმეს კომიტეტის წევრები ერთობლივად გადახედავენ და პროცედურებზე შეთანხმდებიან. ასეთი მიდგომა გამორიცხავს წევრების მიერ განსხვავებულ გაგებას, ინტერპრეტაციას. აზრთა გაზიარება დეტალებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ვინაიდან, გამორიცხული არ არის, რომ პროცედურების წარმართვაზე, დადგენილების ფორმატზე, სხდომის ოქმის გასაჯაროებაზე სპონტანურმა გადაწყვეტილებებმა მათ შორის უთანხმოება გამოიწვიოს;
- ✓ დაუშვებელია საკითხის მიმართ ზერელე მიდგომა, დისციპლინური კომიტეტის დადგენილების სხდომის გარეშე გამოქვეყნების შემდგომ შეცვლა იმ მიზეზით, რომ ის უსამართლო აღმოჩნდა ან განუხორციელებელი დარჩა. კომიტეტის მსგავსი ქმედებები შესაძლოა სამეურვეო საბჭოს მიერ დისციპლინური კომიტეტის არსებული შემადგენლობის დათხოვნის საფუძველი გახდეს;
- ✓ კომიტეტის წევრებმა პირველადი ინფორმაციის მოპოვება და შესაბამისი ოქმის მომზადება სხდომამდე უნდა დაიწყო: ვინ იყო დარღვევის ან კონფლიქტის ინიციატორი? რომელმა მხარემ დაიწყო კონფლიქტური მოქმედება, ვინ ჩაიძინა დარღვევა? რა არის დარღვევის არსი? და ა.შ. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ პრინციპის დაცვა;
- ✓ ხშირად გახანგრძლივებულ დაპირისპირებაში რთულია იმ პირველი დარღვევის ან ინციდენტის გამოვლენა, რამაც მხარეები მიიყვანა შეჯახებამდე. ამიტომ წინასწარ კვლევას დრო სჭირდება;

- ✓ კომიტეტი უნდა ფლობდეს ინფორმაციას პირის კონფლიქტური ურთიერთქმედების გამოცდილების, ფიზიკური მდგომარეობის, ცოდნის, უნარ-ჩვევების, სოციალურ გავლენისა და ჯგუფური მხარდაჭერის მასშტაბების და მასში დესტრუქციული პოტენციალის არსებობის შესახებ;

სრული სურათის შესაქმნელად მკვლევარმა უნდა მოიძიოს ინფორმაცია: ვინ არიან მხარდამჭერი ჯგუფები? მეგობრები, დამრიგებლები, მშობლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასმედია თუ სხვა მონაწილეები? ვინ არიან წამყვებლები და ორგანიზატორები? დამრღვევს ზურგს აქტიური ქმედებით უმაგრებენ თუ მხოლოდ საკუთარი დასწრებით ან მდუმარე მხარდაჭერით?

- ✓ უნდა განისაზღვროს რა იყო კონფლიქტის და შესაბამისი გადაცდომის საგანი. რეალურად არსებული პრობლემაა ის თუ წარმოსახვითი? რა არის მხარეების დაპირისპირების ნამდვილი მიზეზი?
- ✓ როგორი იყო კონფლიქტის გარემო? არსებით გავლენას ახდენდა ის მის წარმოქმნასა და დინამიკაზე?
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ რამდენჯერმე გადამოწმდეს ინფორმაციის სანდოობა და ობიექტურობა. გეპირი სახით მოპოვებული ინფორმაციისა და დოკუმენტების შესწავლა უნდა მოხდეს სხდომამდე;
- ✓ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა დაიგეგმოს /აიგოს შევითხვები კონფლიქტში ჩართული სუბიექტებისადმი. შევითხვები უნდა იყოს მარტივი, გასაგები, არ იწვევდეს ეჭვს და გაურკვევლობას;
- ✓ კონფლიქტების ანალიზმა აჩვენა, რომ მონაწილე პირებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ მისი ჭეშმარიტი მიზეზების ფორმულირება, ამავე დროს მეტ ყურადღებას უთმობენ იმ მომენტებს, რომლებიც ზედაპირულია და უფრო ღრმა მიზეზების შედეგს წარმოადგენენ. ამიტომ თითოეულ შევითხვას კარგად სჭირდება არა მარტო შინაარსის, არამედ სიტყვიერი ფორმულირების მოფიქრება;
- ✓ განხილვიდან და სხდომიდან ერთჯერადად აცილებულ იქნეს ინტერესთა კონფლიქტში მყოფი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ მნიშვნელოვანია თავჯდომარის მიერ სამუშაო პოლიტიკის გამოკვეთა – წევრებისათვის იმის შეხსენება, რომ კომუნიკაცია ეფუძნება მოსწავლის და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას;
- ✓ შევითხვების მომზადებისას გასათვალისწინებელია, რომ შევითხვების ტიპი იყოს „ღია“, არ დაისვას დახურული, ალტერნატიული და ისეთი შევითხვები, რომლებიც პასუხს შეიცავს;
- ✓ უნდა მოხდეს სავარაუდო დისციპლინური სახდელის წინასწარი შეფასება კრიტერიუმებით:
 - არის გონივრული? დასაბუთებული? თანაზომადი? სამართლიანი?
 - დაცულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები?
 - სკოლის შინაგანაწესი ამომწურავად განსაზღვრავს ასეთი დისციპლინური გადაცდომის შესაბამის დისციპლინურ სახდელებს?
 - რა უნდა ჩაიწეროს ხელშეკრულებაში? (თუ დისციპლინური კომიტეტისა და მოსწავლეს შორის ასეთი დოკუმენტის შექმნა გათვალისწინებულია შინაგანაწესით)
 - ვის ევალება სხდომის ტექნიკური მხარის მომზადება?
 - სამართლიანია თუ არა გამოყენებული პროცედურები?

მოსამზადებელ ეტაპზე დისციპლინური კომიტეტის წევრი ცალ-ცალკე უკავშირდება დამრღვევსა და დაზარალებულს, კონფლიქტში ჩართულ მხარეებს, ესაუბრება არა მხოლოდ საკითხის გარკვევის მიზნით, არამედ აწვდის დეტალურ ინფორმაციას დისციპლინური კომიტეტის არსის, მიზნებისა და წესების შესახებაც. აცნობებს ხელშეკრულების სავარაუდო

პირობების თაობაზე (თუ შესაძლებელია ხელშეკრულების გაფორმება), აგრეთვე ათანხმებს ამ პირობებს. მისი მთავარი ამოცანაა, უზრუნველყოს მხარეთა ნებაყოფლობითი და ინფორმირებული მონაწილეობა განხილვის პროცესში, მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევა, მხარეებთან პოზიტიური დიალოგის დანერგვა. საქმის წინასწარი კვლევისას ის ვალდებულია, იყოს მაქსიმალურად მიუკერძოებელი, ობიექტური და დამოუკიდებელი, არ მიანიჭოს რაიმე უპირატესობა რომელიმე მხარეს.

სხდომის ტექნიკური მხარის მომზადება გულისხმობს:

- ✓ სხდომის დროის, ადგილის, მონაწილეების, ფორმატის და წერილობითი ფორმით გამოქვეყნებით;
- ✓ შეკითხვების მომზადებას;
- ✓ სხდომის განრიგისა და მონვევის წერილების (შეტყობინებების) შედგენას;
- ✓ საჭირო პირების მონვევას სხდომამდე 7 დღით ადრე ან შეტყობინების გადაცემა შინაგანაწესით განსაზღვრულ ვადაში;
- ✓ სამუშაო ოთახის მომზადება/მოწყობას;
- ✓ მოწვეული პიროვნებებისათვის მოსაცდელის მომზადება (შესაძლებელია, კონფრონტაციის აცილების მიზნით, დაგვირდეთ დაპირისპირებული მხარეების განცალკევება და ორი მოსაცდელი ოთახის მომზადება გახდეს საჭირო).

კომიტეტის წევრების მზაობა სხდომის ეფექტურად წარმართვისათვის:

- ✓ არსებობს ორიენტაცია ღია ურთიერთობასა და აქტიურ მოსმენაზე, ყველას მიმართ თანასწორ მიდგომასა და აზრის გამოთქმის საშუალების მიცემაზე;
- ✓ მომზადებულია ისეთი სქემა, რომლის საშუალებითაც მოხდება საკითხის განხილვა და არა პიროვნებების განსჯა;
- ✓ მომზადებულია რაციონალური რეკომენდაციები;
- ✓ კომიტეტის წევრებს შეუძლიათ საკუთარი ემოციების მართვა;
- ✓ კომიტეტის წევრები იცავენ სამართლებრივ ნორმებს და შინაგანაწესს.

საჭიროებისას დასაშვებია, სხდომაზე მოსმენილ იქნას:

- ✓ პირის თვითშეფასება;
- ✓ თანატოლების (კოლეგების) შეფასება;
- ✓ პედაგოგების შეფასება (მოსწავლის შემთხვევები);
- ✓ მშობლების შეფასება;
- ✓ საზოგადოების დამოკიდებულება.
- ✓ მანდატურის წინასწარი შეფასება.

აუცილებელია:

- ✓ განისაზღვროს, რამდენად თავსებადია გადაწყვეტილების პროექტი მაკორექტირებელი სახდელის ღონისძიებები შინაგანაწესთან;
- ✓ განისაზღვროს საგანმანათლებლო დახმარებისა და ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროება;
- ✓ განისაზღვროს სამართალდამცველების შეფასების საჭიროება;
- ✓ შეფასდეს რისკები: ინდივიდი (ჭგუფი) რამდენად წარმოადგენს საფრთხეს სასკოლო საზოგადოებისა და საკუთარი თავისათვის;
- ✓ შეფასდეს დამრღვევების/დამნაშავეების ზეგავლენა სასკოლო გარემოზე.

რა უნდა გავითვალისწინოთ დისციპლინური კომიტეტის სხდომის მომზადებისას?



შედეგზე ორიენტირება:

- ✓ სკოლაში დისციპლინური დარღვევების შემცირება;
- ✓ დამრღვევი და დაზარალებული მხარის შერიგება;
- ✓ ინციდენტით გამონვეული ემოციური და მატერიალური შედეგების გამოსწორება;
- ✓ სამართლიანობის აღდგენა;
- ✓ მსგავსი რეციდივების თავიდან აცილება.

სხდომის გარემო

კომიტეტმა უნდა შექმნას სხდომის მონაწილე ყველა პირისადმი მხარდამჭერი გარემო. საუბარი უნდა იყოს კონკრეტულ საქციელზე – რატომ არის ის ცუდი? რა ზიანი მოიტანა? ვინ დაზარალდა? რა ფორმით დაზარალდა?

საუბარი (კონფერენცია) ისე უნდა წარიმართოს, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ იკისროს თავისი წილი პასუხისმგებლობა;

კონფერენციები სიფრთხილით უნდა მომზადდეს და მათ „სკოლის პერსონალის საფუძვლიანი ტრენინგი და დაგეგმვა სჭირდება“ (Morrison, Brenda. 2007)

გადამოწმდეს, ცნობილია თუ არა :

- ✓ რა პირობებში მოხდა გადაცდომა/კონფლიქტი?
- ✓ როგორი შედეგი მიიღება შუამავლობით?
- ✓ შესაძლებელია თუ არა კომუნიკაცია მხარეებს შორის?
- ✓ შეუძლია კომიტეტს, მხარეებს მისცეს დავის მოგვარების საშუალება?
- ✓ როგორ დაეხმარება მხარეებს სხდომაზე საკითხის გატანა შეთანხმების მიღწევაში?
- ✓ შესაძლებელია, რომ მხარეების არგუმენტების მოსმენა დაეხმაროს მათ კონსენსუსის მიღწევაში?

თუ კომიტეტის სხდომა მედიაციის რეჟიმში უნდა წარიმართოს, მედიატორის როლი სხდომის თავმჯდომარეს ეკისრება.

სხდომა ორგანიზებულად ჩაითვლება, თუ:

- ✓ განისაზღვრა სხდომის თარიღი;
- ✓ გადაეცათ შეტყობინება წევრებს;
- ✓ მომზადდა სივრცე (ოთახი);
- ✓ მომზადდა წინასწარი ოქმი, მოკვლეული მასალების, აქტისა და სხვა დოკუმენტების ასლები;
- ✓ განისაზღვრა რეგლამენტი;
- ✓ მონვეული იქნა საკითხთან დაკავშირებული ყველა პირი.

სკოლის დირექციის ან სამეურვეო საბჭოს მოტივირებული არგუმენტების

საფუძვლზე შესაძლებელია, კომიტეტის სხდომაზე კონკრეტული გადაცდომის ჩამდენი პირის საქმის განხილვა გადაიდოს დამატებითი მასალების მიღებამდე. ასეთ შემთხვევაში სხდომა

მაინც ტარდება და საქმის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება ფიქსირდება დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმში.

მართალია, დისციპლინური კომიტეტის სხდომა დახურულია, მაგრამ დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ: გადაცდომის ჩამდენის წარმომადგენელ პირებს, მშობელს ან კანონიერ მეურვეს (სხდომის იმ პერიოდში, როდესაც განხილვა მათი საკითხი), სკოლის დირექციისა და სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებს, კლასის დამრიგებელს, ფსიქოლოგს, მანდატურს.

3.7 სხდომის წარმართვა

საჭიროა, დასაწყისშივე აღირიცხოს დისციპლინური კომიტეტის სხდომებზე დასწრების უფლების მქონე პირების გამოცხადება. გადაცდომის ჩამდენის გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს საკითხის განხილვის გადადების საფუძველს.

თუ სხდომას ესწრება დისციპლინური კომიტეტის წევრების არანაკლებ 2/3-ისა, სხდომა უფლებამოსილია, დაიწყოს მუშაობა. დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი, კომიტეტის თავმჯდომარის მიერ შერჩეული წევრი, ხსნის და წარმართავს სხდომას არსებული პროცედურების დაცვით.

სხდომის გახსნა

- ✓ თავმჯდომარის მისალმება, გახსნა;
- ✓ დღის წესრიგის გაცნობა (ინფორმაცია, თუ რამდენი საკითხია განსახილ, როგორი ფორმატით წარიმართება სამუშაო);
- ✓ სამუშაო წესების გაცნობა;
- ✓ დროის რეგლამენტის გაცნობა;
- ✓ კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გამოყოფილ რომელიმე წევრს დაეკისრება სხდომის მდივნის ფუნქცია და აწარმოებს ჩანაწერებს, ამზადებს ოქმს.

საქმის წარდგენა

სხდომაზე საკითხი გამოაქვს დისციპლინური კომიტეტის იმ წევრს, რომელმაც მოამზადა პირველადი დასკვნა კონკრეტული გადაცდომის შესახებ, ან დირექციის წარმომადგენელს.

მოხსენებელმა უნდა აღნიშნოს:

- ✓ როგორ და ვის მიერ მოხდა დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა;
- ✓ ვინ დააფიქსირა გადაცდომა და რა ფორმით (დამსწრე პირების ოქმი, საჩივარი, მანდატურის ოქმი);
- ✓ ვის და როდის მიმართა ამ დოკუმენტით დისციპლინური გადაცდომის აღმომჩენმა ან დაზარალებულმა?
- ✓ რა ფორმით მიმართა (წერილობით თუ ზეპირად, წარდგენილია აქტი, მოხსენებითი ბარათი, სატელეფონო თუ ელექტრონული შეტყობინება, წერილი, განცხადება, წერილი ხელმოწერებით და სხვ.) როდის?
- ✓ თუ არსებობდა მიმართვა დირექციასთან, როგორი იყო მისი რეაგირება?
- ✓ რა შედეგი მოიტანა დირექციის რეაგირებამ?

- ✓ როდის და რა ფორმით მოხდა დისციპლინურ კომიტეტში საქმის შემოსვლა განსახილველად?
- ✓ რა მასალები იქნა მოკვლევული საქმის შესახებ და ვის მიერ წინასწარი კვლევის პროცესში?
- ✓ რა ტიპის გადაცდომა გამოიკვეთა საბოლოოდ?
- ✓ ვინ იქნებიან განხილვაზე მონაწილე პირები და რა მიზნით?
- ✓ ინფორმაცია დარღვევის (გადაცდომის) შესახებ, რაც დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე განხილვის საგანი გახდა;
- ✓ კონკრეტულ გადაცდომასთან დაკავშირებული გარემოებები, რომლებიც დადგინდა კვლევის პროცესში;

უნიშვნელოვანია, რომ სხდომის თავჯდომარემ შექმნას მხარეთათვის უსაფრთხო გარემო და ხელი შეუწყოს მათ საკუთარი აზრისა და პოზიციის გამოხატვასა და დიალოგის წარმოებაში.

საქმის განხილვა (კონფერენცია)

- ✓ საქმის განხილვის მიზანია მოსწავლის/თანამშრომლის მიერ ჩადენილი ქმედების და მისი შედეგების გაცნობიერება, წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი სახდელის მართლზომიერებაში დარწმუნება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.
- ✓ სხდომის მსვლელობისას მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგების შესახებ. სხდომაზე დამსწრე ნებისმიერ პირს უფლება აქვს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება კონკრეტული გადაცდომის შესახებ;
- ✓ განხილვის პროცესში მხოლოდ დისციპლინური კომიტეტის წევრებს აქვთ უფლება, კითხვებით მიმართონ დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს ან მის წარმომადგენელს, მშობელს/მეურვეს, დამრიგებელს, კონფლიქტის შემთხვევაში ჩართულ/დაზარალებულ მხარეებს, ასევე განხილვის საჭიროებებიდან გამომდინარე სხდომაზე დამსწრე სკოლის დირექციის წარმომადგენელს.

მოსმენა:

- ა) დამრღვევის (დამრღვევების) ან კონფლიქტში ჩართული პირების მოსმენა;
- ბ) დაზარალებული მხარის (თუ ასეთი არსებობს) მოსმენა;
- გ) ინციდენტთან, დარღვევასთან, კონფლიქტთან დაკავშირებული პირების (თუ ასეთი არსებობს) მოსმენა, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.

ასეთი პირები შეიძლება იყვნენ:

- 1) დარღვევის მონაწილეები;
- 2) საკითხთან დაკავშირებული სხვა პირები;

მნიშვნელოვანია:

- ✓ გამოიკვეთოს გადაცდომის/დავის/დაპირისპირების საგანი;
- ✓ დაზუსტდეს ურთიერთპრეტენზიების საზღვრები, მხარეთა პოზიციები;
- ✓ გამოიძებნოს კონფლიქტის გადაჭრის ვარიანტები.

ამისათვის საჭიროა:

- ✓ კონფლიქტის რეალური მიზეზების გამოცალკევება ინციდენტის დაწყების ფორმალური საბაბისაგან;
- ✓ ყურადღების კონცენტრირება მოხდეს არსებულ პრობლემებზე და არა პირად ემოციებზე;
- ✓ კონფლიქტის ან გადაცდომის გამომწვევი კონკრეტული პრობლემების განხილვა სხვა

- სადავო საკითხების შეხსენების გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ თანაბარი მონაწილეობა კონფლიქტის დარეგულირების ვარიანტების გამოძებნაში;
- ✓ საუბარი მხოლოდ საკუთარი სახელით და პოზიციიდან;
- ✓ სხვისი მოსმენის და გაგების უნარი;
- ✓ პატივისმცემელი დამოკიდებულება ოპონენტის პიროვნების მიმართ;
- ✓ საუბარი ფაქტების და არა პიროვნული თვისებების შესახებ;
- ✓ ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა.

საქმის მოსმენის დროს გამოსაყენებელი კითხვების ტიპები:

1. გვიამბეთ რა მოხდა?
2. როგორ მოხდა?
3. რა იგრძენით იმ მომენტში, როცა ასე იქცეოდით?
4. რა გააკეთეთ, როგორ იმოქმედეთ?
5. რას გრძნობ ახლა, როცა ამ საკითხზე ფიქრობ?
6. ვინ არის დაზარალებული? რატომ?
7. რა ზიანი მიაყენე შენ თავს? დაზარალებულებს? გარეშე პირებს?
8. რა იყო ყველაზე მძიმე?
9. რას გრძნობ, როცა მსგავს ინციდენტს სხვები, შენთვის უცნობი ადამიანები სჩადიან?
10. როგორ მოიქცევი სხვა დროს მსგავს სიტუაციაში?

გაფრთხილება: საკითხის ადეკვატური შეფასება და აღქმა ყოველთვის არ არის ადვილი. გამოყოფენ განხილვის ტიპურ შეცდომებს:

- ✓ არსებობს ნათესაური და/ან მეგობრული კავშირი დისციპლინური კომიტეტის წევრსა და დამრღვევს შორის, (რომლის შესახებ ცნობილი არის) კომიტეტის წევრი ლობირებას უწევს ახლობელს;
- ✓ ე.წ. „შარავანდედის ეფექტი“ – პიროვნების შეფასება გარეგნობის ან სხვა ნიშნის მიხედვით, აქცენტირება მის ქცევასა და პიროვნულ თვისებებზე;
- ✓ სტატუსის ეფექტი – მაგ., მოსწავლეს, რომელსაც არქმევენ „ბარმაცს“ შემდგომში უძნელდება დაამტკიცოს, რომ ის ასეთი არ არის და მისი საქმის განხილვისას ეს სტერეოტიპი ნეგატიურად მუშაობს;
- ✓ ბუმერანგის ეფექტი – შეიძლება, განხილვაზე მიღებულმა ახალმა ინფორმაციამ პიროვნებაზე მოსალოდნელის საწინააღმდეგო ზეგავლენა მოახდინოს. ამის გამო ადვილი აქვს ინფორმაციის წყაროს მიმართ ნდობის დაკარგვას, მას სიმართლის თქმის შემთხვევაშიც აღარ დაუჭერებენ;
- ✓ სიახლის ეფექტი – ადამიანის შეფასებასა და აღქმაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავდაპირველ ინფორმაციას, პიროვნების ქცევის შეფასებაში ბოლო, უფრო ახალი, ინფორმაციისა უფრო სჯერათ, თუნდაც მისი რეალურობა საეჭვო იყოს;
- ✓ შემწყნარებლობის ეფექტი – ხშირად ადამიანი საკუთარი თავის შეფასებაში დადებითი მახასიათებლების ამაღლებული და უარყოფითი თვისებების ზერელედ წარმოჩენას მიმართავს;
- ✓ ლოგიკური შეცდომა – როცა ხდება ადამიანის სხვადასხვა თვისების ურთიერთ დაკავშირება. მაგ., თუ ადამიანს მაღალ შეფასებას აძლევენ თავაზიანობის (ან დაბალ შეფასებას უზრდველობის) გამო, ასევე აფასებენ მას პასუხისმგებლობის მიხედვით. ამ შემთხვევაში ერთგვარი ლოგიკური კავშირი შეცდომაში შემყვანია;
- ✓ სტერეოტიპის შეცდომა – მდგომარეობს აკვირებულ წარმოდგენაში, მაგ., რომ ყველა მოზარდი „თავხედა“ და სხვ.
- ✓ უსამართლობა - იდენტური გადაცდომის შემთხვევაში სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება საქმესთან დაუკავშირებელი „წინარე“ პირობების საფუძველზე;

- ✓ ტენდენციური მიდგომა – მაღალი და დაბალი შეფასებისგან თავის არიდების მიზნით ამჭობინებენ გათანაბრებას;
- ✓ სიმპათიის შეცდომა – მდგომარეობს სიმპათიის გამო შეფასების მომატებაში ან ანტიპათიის გამო – დაკლებაში.
- ✓ როლის შეცდომა – ადამიანს აფასებენ მისივე სტატუსისა და სოციალური როლის მქონე ადამიანებთან შედარების საფუძველზე;

როგორ მოვიქცეთ, როცა ვხედავთ, რომ განხილვისას უარყოფითი ტენდენციები ჭარბობს?



მიზანშეწონილია ე.წ. ირიბი მეთოდების გამოყენება, რომელთა შორის გამოყოფენ:

1. გრძნობების გამომჟღავნება – როცა მხარეებს აძლევენ შესაძლებლობას, გამოთქვას ყველაფერი, რაც მას ანუხებს. ეს ხელს შეუწყობს მისი ემოციურ-ფსიქოლოგიური დაძაბულობის დაქვეითებას და საქმის მშვიდ გარემოში განხილვას;
2. პიროვნებისადმი დადებითი დამოკიდებულების დემონსტრირება – ითვალისწინებს ოპონენტის მიმართ თანაგრძნობის გამომხატველი შეკითხვების დასმას და ამით ნეგატიური ტენდენციების შემცირებას.

ერიდეთ:

- ✓ შეკითხვას „რატომ მოიქეცი ასე?“ – ამ კითხვას მხარე თავდაცვის რეჟიმში გადაჰყავს;
- ✓ არაპირდაპირ კითხვებს;
- ✓ პასუხჩადებულ შეკითხვებს;
- ✓ დამცინავ ან გამომცდელ ღიმილს, ირონიას;
- ✓ დარიგებებს;
- ✓ ძალაუფლების დემონსტრირებას;
- ✓ მიკერძოებულ ინტერპრეტაციას, პიროვნებას არ უნდა გაუჩნდეს უსამართლობის განცდა.

ეცადეთ:

- ✓ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გამოიყენოთ საცდელი და დამაზუსტებელი კითხვები, რომ შეძლოთ, თავი დაიზღვიოთ სწრაფი დასკვნებისგან, თითოეულმა პირმა კი, ჩადენილი ქმედება ან სიტუაცია სხვადასხვა თვალსაზრისით გააცნობიეროს;
- ✓ ორივე მხარეს მოასმენინეთ მონინაალმდევე მხარის ისტორია. ამით მათში ურთიერთ-თანაგრძნობას გამოიწვიეთ.

სხდომის ეტაპი: ანალიზი

სასურველია, კომიტეტის სხდომის მთელი პროცესის განმავლობაში შენარჩუნდეს ღია დიალოგის ფორმატი. სხდომამ უნდა მოისმინოს:

- 1) დისციპლინური კომიტეტის წევრების შეფასებები;
- 2) სათათბირო ხმის მქონე პირების აზრები (თუ აქვთ აზრის გამოთქმის სურვილი).

სხდომის ეტაპი: გადაწყვეტილების/სახდელის ალტერნატიული ვარიანტების წარდგენა

კომიტეტის წევრები სახდელის გაცხადებამდე შეთანხმდით სახდელის ფორმაზე, პრობლემის გადაწყვეტის პროცესზე, შემდგომი მოქმედების გეგმაზე, ეტაპებზე, რომ მომავალში აიცილოთ გაუგებრობა, არ აღმოჩნდეს, რომ სულ სხვანაირად წარმოგედგინათ პრობლემაზე მუშაობის პროცესი და შედეგი არ გაკმაყოფილებთ. მნიშვნელოვანია დადგენილების ფორმულირებაზე მუშაობის ფაზა. ის ყველასთვის გასაგებად უნდა ჩამოყალიბდეს და აღიქმებოდეს ერთ-მნიშვნელოვნად, ინტერპრეტაციების გარეშე.

სხდომის ეტაპი: ალტერნატივების მოძიება

- ✓ შექმენით ყველა სავარაუდო გადაწყვეტილების ალტერნატივების ნუსხა;
- ✓ განსაზღვრეთ, რა არის საჭირო დისციპლინური დარღვევის ან პრობლემის/ კონფლიქტის გადასაწყვეტად;
- ✓ მოიფიქრეთ, რომელი კრიტერიუმებით შეაფასებთ ალტერნატივების ეფექტურობას და უპირატესობას სხვებთან მიმართებაში;

გაითვალისწინეთ, რომ:

1. პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ გადაცდომის ჩამდენ მოსწავლეს ან მასწავლებელს და არა საქმესთან დაკავშირებულ პირებს;
2. დაუშვებელია, ერთი მოსწავლის/ მასწავლებლის ქმედებასთან მიმართებით დადგეს მთელი კლასის/პედაგოგიური კოლექტივის პასუხისმგებლობის საკითხი;
3. სახდელის სიმკაცრის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს გადაცდომის სიმძიმეს, გარემოებას, მოსწავლის ასაკსა და მის სასკოლო ყოფაქცევის ისტორიას.

სხდომის ეტაპი : ალტერნატივების განხილვა

- ✓ განიხილეთ დადგენილების პროექტი და დამრღვევი სუბიექტისათვის მისაცემი რეკომენდაციები;
- ✓ მოახდინეთ სახდელის მოქმედების დროისა და კორექტირების პირველი ნიშნების გამოვლენა – შეფასების დროის განსაზღვრა;
- ✓ განსაზღვრეთ, რამდენად თავსებადია მიღებული გადაწყვეტილება და დაკისრებული მაკორექტირებელი სახდელის ღონისძიებები სკოლის შინაგანაწესთან;
- ✓ საგანმანათლებლო და დახმარების საჭიროებები, ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროება, სამართალდამცველების ჩართვის საჭიროება;
- ✓ განსაზღვრეთ სამართალდამცველების ჩართვის საჭიროება;
- ✓ განსაზღვრეთ რისკები: რამდენად წარმოადგენს ინდივიდი (ჭგუფი) საფრთხეს სასკოლო საზოგადოებისა და საკუთარი თავისათვის;
- ✓ შეაფასეთ დამრღვევების (დამნაშავეების) პიროვნული ზეგავლენა სოციუმზე.

სხდომის ეტაპი: გადაწყვეტილების მიღება

- ✓ შეთანხმდით ალტერნატივების შეფასების კრიტერიუმებზე; გაითვალისწინეთ გადაცდომის ხასიათი, სიმძიმე, გადაცდომის ჩადენის პირობები, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები;

- ✓ აირჩიეთ პერსპექტიული იდეები და გამოყავით ურთიერთმისაღები კრიტერიუმები. თუ ამ დროს ვითარება დაიძაბა და კვლავ გრძელდება საუბარი იმაზე, რატომ არის ამა თუ იმ კრიტერიუმის ან არგუმენტის გათვალისწინება მნიშვნელოვანი, შეჩერდით და კვლავ ჩამოთვალეთ ის საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ სხვადასხვა რისკებისაგან თავდაცვის მიზნით. თქვენ მიერ მოფიქრებული კრიტერიუმებით შეარჩიეთ პერსპექტიული ალტერნატივები და მხოლოდ ამის შემდეგ აარჩიეთ ყველაზე ეფექტური ალტერნატივა. დაუშვებელია, დადგენილების პროექტს საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც განსხვავებულ დისციპლინურ გადაცდომასთან არ არის დაკავშირებული.

სხდომის ეტაპი: ხმის მიცემის პროცედურა

კომიტეტი გადაწყვეტილებას მიიღებს დამსწრეთა (ხმის მიცემის უფლების მქონე პირები) ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. მხოლოდ მოსწავლის გარიცხვის შემთხვევასთან დაკავშირებით ტარდება ფარული კენჭისყრა. ამისათვის წინასწარ უნდა მოამზადოთ ხმის შესაგროვებელი ყუთი და ბარათები ზედ წარწერილი ალტერნატივებით. საჭიროა, აირჩიოთ ხმის დამთვლელი პირი.

ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კომიტეტის თავმჯდომარის ხმას.

ხმის დამთვლელ ჯგუფში არჩეული წევრები ხმებს ითვლიან და აფიქსირებენ შედეგს. შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე გაეცნობა კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილებას და დგენილების შედეგებს.

- ✓ მიზნად დაისახეთ ხანგრძლივი მშვიდობიანი სასკოლო ურთიერთობების აგება;
- ✓ დაწერეთ დადგენილება შესაბამისი მარტივი ენით, რომ მისი შინაარსი მოსწავლისთვისაც ნათელი იყოს;
- ✓ ჩამოაყალიბეთ რეალისტური მოლოდინები და დასახეთ მიღწევადი შედეგები.

სხდომაზე განხილული კონკრეტული გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინურ კომიტეტს უფლება აქვს გამოიტანოს შემდეგი სახის გადაწყვეტილებები:

- 1) დადგენილება სახდელის დაწესების შესახებ;
- 2) დადგენილება სახდელის არდაწესების შესახებ;
- 3) დადგენილება საკითხის გადადების შესახებ (გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით).

სხდომის ეტაპი: გადაწყვეტილების გამოქვეყნება

კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს კონკრეტული პირის მიმართ სახდელის დაწესება/არდაწესების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, **ხმაბალსა კითხულობს მიღებულ დადგენილებას.**

სხდომაზე გადაწყვეტილების საჯაროდ წაკითხვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდება.

დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე იმ წევრს, რომელიც არ ეთანხმება კონკრეტული გადაცდომის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, შეახსენებს, რომ უფლება აქვს, წერილობითი ფორმით დააფიქსიროს თავისი მოსაზრება, რომელიც დაერთვება განხილული საკითხის მასალებს.

გადაცდომის ჩამდენი პირის ინფორმირება სახდელის დაწესების შესახებ ხდება წერილობითი ფორმით. ყველა გასული დოკუმენტი, მათ შორის ასლიც, აღირიცხება დოკუმენტების რეესტრში.

დისციპლინური კომიტეტის სხდომის დადგენილების გაცნობისას/მიწოდებისას პირს უნდა განემარტოს, რომ შეუძლია, აღნიშნული გადაწყვეტილება შინაგანაწესით განსაზღვრულ ვადაში გაასაჩივროს სააპელაციო კომიტეტში (თუ სკოლაში ეს ორგანო არსებობს) ან სამეურვეო საბჭოში (და არა დირექციაში).

სხდომის დოკუმენტირება:

- ✓ სხდომის დასრულებამდე ფორმდება სხდომის ოქმი და მისი სისწორე დასტურდება თავჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით. კომიტეტის დოკუმენტები უნდა გატარდეს რეესტრში და მიენიჭოს შესაბამისი ნომერი და კოდი;
- ✓ მიღებული გადაწყვეტილების ასლი მიწოდება სკოლის დირექციას სხდომის ჩატარებიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში;
- ✓ დისციპლინური სახდელის დაწესების შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაფიქსირდეს სპეციალურ რეესტრში, რომელსაც სკოლის დირექცია ინახავს;
- ✓ გადაწყვეტილების ასლიდან ამონაწერი სახდელის დაწესება/არდაწესების შესახებ, გასაჩივრების პირობებით, მიწოდება გადაცდომის ჩამდენ მოსწავლეს/მშობელს/მეურვეს და მისი კლასის ხელმძღვანელს სხდომის ჩატარებიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში, თუ სკოლის შინაგანაწესით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმის შედგენის სპეციფიკა

დისციპლინური კომიტეტის ოქმი შეიცავს შემდეგ აუცილებელ ატრიბუტებს:

1. სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;
2. სხდომის ოქმის ნომერი;
3. სხდომაზე დამსწრე დისციპლინური კომიტეტის წევრების სახელები და გვარები;
4. სხდომაზე დამსწრე სხვა პირების სახელები, გვარები; მათი სტატუსი, თავჯდომარის ვინაობა;
5. განხილვის საგანი, დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის სახელი და გვარი;
6. დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის სხდომაზე დაუსწრებლობის მიზეზი (თუკი ასეთი ცნობილია) კონკრეტულ შემთხვევაში;
7. ინფორმაცია კონკრეტული გადაცდომის შესახებ, რომელიც გახდა დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე განხილვის საგანი;
8. კონკრეტულ გადაცდომასთან დაკავშირებული გარემოებები, რომლებიც დადგინდა სხდომის მსვლელობისას;
9. კონკრეტულ საკითხზე კენჭისყრის შედეგები;
10. გადაწყვეტილება გადაცდომის ჩამდენი პირისთვის სახდელის დაწესება/არდაწესების შესახებ;
11. დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმს ხელს აწერენ დისციპლინური კომიტეტის თავჯდომარე და სხდომის მდივანი თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში. (ნიმუში იხილეთ ქვემოთ).

კონფლიქტურ სიტუაციაში ჩართულმა ყველა მხარემ უნდა წაიკითხოს დადგენილება, აღიაროს და პატივი სცეს შეასრულოს დაკისრებული პასუხისმგებლობა.

- ✓ სააპელაციო კომიტეტს ან სამეურვეო საბჭოს უფლება აქვს, დისციპლინური კომიტეტიდან გამოითხოვოს კონკრეტული სხდომის ოქმი და მასალები. სააპელაციო კომიტეტის

ან სამეურვეო საბჭოს მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, დისციპლინურმა კომიტეტმა კონკრეტული პირის შესახებ საქმისწარმოების მასალები 2 დღის ვადაში უნდა გასცეს;

- ✓ საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში – სააპელაციო კომიტეტის ან სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმის საფუძველზე – დისციპლინური კომიტეტი ვალდებულია დანიშნოს ახალი სხდომა და განიხილოს საკითხი დისციპლინური სახდელის მოხსნის ან კორექტირების შესახებ;
- ✓ სხდომის მსვლელობა კვლავ დადგენილი წესით მიმდინარეობს;
- ✓ ახალი დისციპლინური სახდელი, ასევე ფიქსირდება სხდომის ოქმში და ეცნობება მხარეებს.

3.8

დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებით პროვოცირებული საკოლო კონფლიქტების რეზოლუცია

როგორც წესი, სხდომის შემდეგ თუ რომელიმე მხარეს განსაკუთრებულად უსამართლობის განცდა არ დარჩა, იწყება დაძაბულობის განმუხტვა, სახდელთან შეგუება. იწყება მხარეებს შორის დამოკიდებულების ნორმალიზაცია, თანამშრომლობა და ნდობა. მაგრამ, ხდება ისეც, რომ სხდომის დადგენილება ბიძგს აძლევს კონფლიქტებს, ამასთან, შესაძლოა უკვე სხვა მხარეებს შორის (მათ შორის დისციპლინური კომიტეტის წევრებთან) და სხვა კონტექსტში. ამასთანავე, თუ კონფლიქტი ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის სუბიექტებს შორის – მაგ., მასწავლებლებს შორის ან მოსწავლეებს შორის იყო, პოსტკონფლიქტური დაძაბულობის სინდრომი განსაკუთრებით აშკარა და ხანგრძლივია.

ზოგჯერ სახეზეა დისციპლინური კომიტეტის დადგენილების დაუმორჩილებლობა ან მისი რომელიმე პუნქტის სრული იგნორირება; ასეთ დროს ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მცდელობა – დაიცვას დადგენილების მოთხოვნები – ახალი კონფლიქტის ესკალაციას ან ძველის გამოღვიძებას იწვევს;

დადგენილების თანმდევი გართულებებისაგან დაცვის მექანიზმად განიხილება დირექციის დამრიგებლის, მასწავლებლების მუშაობა, შინაგანაწესის სრულყოფა, განვითარებაზე მუშაობა, დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის გაუმჯობესება, მიღებული სახდელების რეალიზების მონიტორინგი. დისციპლინური კომიტეტის თვითშეფასება, მონიტორინგით მიღებული ინფორმაციის ანალიზი და მიზეზების კვლევა კომიტეტს დაეხმარება, რომ შემდგომში შესაძლო რისკებთან დაკავშირებით გათვლები წინასწარ მოხდეს. შეაფასეთ:

- ✓ რომელმა სახდელმა იმუშავა შედეგიანად და რომელმა გადაწყვეტილებამ ვერ გამოიღო შედეგი?
- ✓ რა ზეგავლენას მოახდენს დადგენილება ჩართული პირებისა და მათი გარემოცვის ქცევაზე, ურთიერთობებზე?
- ✓ რამდენად შესრულებადია დადგენილება, მართვადია თუ არა თანმდევი პროცესი?
- ✓ ვინ უნდა განახორციელოს მონიტორინგი დადგენილების შესრულებაზე?
- ✓ რა მიზნით და რა ფორმით მოხდება მონიტორინგი?
- ✓ როგორ იქნება გამოყენებული მონიტორინგის შედეგები კომიტეტის საქმიანობის თვით-ანალიზისა და თვითშეფასების პროცესში?

სხდომის დასრულების შემდეგ მოსალოდნელ და რეალურ შედეგებს შორის შეუსაბამობა, უსამართლობის განცდას იწვევს. მხარეებს ხშირად სასჯელი მსუბუქად (დაზარალებულ მხარეს) ან ძალიან მძიმედ (დამრღვევს) ეჩვენება და უკმაყოფილოა. ეს კომიტეტის წევრებთან კონფლიქტური ინციდენტის საბაზი ხდება.

სხდომაზე კონფერენციის მეთოდის გამოყენება, მედიაცია (თავჯდომარის მიერ ამ ფუნქციის საკუთარ თავზე აღება) შემდგომი კონფლიქტების თავიდან არიდების თვალსაზრისით რადიკალურად უკეთეს შედეგს იძლევა. მედიაციის შემდეგ ყველა მხარე კმაყოფილი რჩება გადაწყვეტილებით.

თუ დაკისრებულ სახდელს უსამართლოდ მიიჩნევს, მოზარდი დეპრესიული ხდება ან ღია აგრესიას ამჟღავნებს. ისეთ შემთხვევაში, თუ მხარეს მოლოდინი გაუმართლდა (მაგ., მოხდა მის სარჩელზე რეაგირება და ვილაც დაისაჯა), მას განსაკუთრებული კმაყოფილების განცდა აქვს, რაც შეიძლება გახდეს ისეთი კონფლიქტოგენების წყარო, როგორცაა სხვების კრიტიკა, დაცინვა, სარკაზმი, კვხნა, საკუთარ წარმატებებზე ლაპარაკი სხვების გასაღიზიანებლად. ასეთი ქცევა კონფლიქტის მიზგზად იქცევა.

ხშირად ხდება „მტრის ხატის“ სადამსჯელო სახდელდადებული პირის დარღვევის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებელი პირის ან კომიტეტის წევრებისაგან, რაც წარმოშობს ღია კონფრონტაციას და კონფლიქტის გაფართოება/გაღრმავების ტენდენციას.

იმისათვის, რომ რეალურად მოხდეს დარღვევის გამოსწორება ან კონფლიქტის დასრულება, კარგი იქნება, თუ დადგენილების პროექტში გონივრულად ჩაიდება აღწერილი რისკისაგან დაცვის გარკვეული მექანიზმი ან ღონისძიებები და განისაზღვრება მათზე პასუხისმგებელი პირი.

დამრიგებლის, მშობლის, ფსიქოლოგის გულახდილი, დამარწმუნებელი და ნდობის გამოხატველი საუბრები მნიშვნელოვანია. თუნდაც მხოლოდ ერთი მხარის მიერ სიმშვიდისა და რეგულირებისათვის გამოხატულმა მზადყოფნამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს კონფლიქტის გადაჭრაში.

3.9 დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების რეალიზაციის მენეჯმენტი

დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა განისაზღვრება შინაგანანუნსით, თუ სხდომაზე სხვადასხვა მოსაზრებიდან გამომდინარე კომიტეტი სხვა ვადას არ განსაზღვრის.

რეკომენდაციები:

- ✓ სხდომის ჩატარებიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში მიღებული გადაწყვეტილების ასლი მიაწოდეთ სკოლის დირექციას. წერილის გასვლა დაარეგისტრირებულ დოკუმენტების მოძრაობის რეესტრში;
- ✓ სხდომის ჩატარებიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში გადაწყვეტილების ასლიდან ამონაწერი სახდელის დაწესება/არდაწესების შესახებ, გასაჩივრების პირობებით, მიაწოდეთ დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ მოსწავლეს/მსობელს/მეურვეს, მისი ასლი კი კლასის ხელმძღვანელს;

- ✓ თუ სახდელის მოქმედების პერიოდში არ იქნა ჩადენილი ახალი გადაცდომა, დისციპლინური სახდელი მოიხსნება ავტომატურად. სახდელის მოხსნასთან დაკავშირებით კომიტეტის სხდომა არ ტარდება;
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტმა თვალი მიადევნოს სახდელის შესრულებასა და გემოქმედების შედეგებს;
- ✓ დადგენილების პირობების დაცვასა და ქცევასთან დაკავშირებით მოითხოვოს წერილობითი ანგარიშები სახდელდაკისრებული პირებიდან;
- ✓ პერიოდულად გადაამოწმოს კონფლიქტში ჩართული პირების ურთიერთობები ახალ კონტექსტში. საჭიროებების შესაბამისად შესაძლოა ჩაერთოს სახდელის მართვაში – მისწეროს რეკომენდაციები ადმინისტრაციას;
- ✓ თუ დამრღვევთან გაფორმდება ქცევის კონტრაქტი, მან საშუალება უნდა მისცეს მოსწავლეს, რომ გააუმჯობესოს ქცევა;
- ✓ თუ შეთავაზებული იქნება ხელშეკრულება გარკვეული მოთხოვნებით (იხ. ნიმუში ქვემოთ), მათში აღწერილი უნდა იყოს, რა სახის ქცევა მოეთხოვება დამრღვევს;
- ✓ საჭიროა შეიქმნას მონიტორინგის პირობებისა და წარმატებული შესრულების განსაზღვრის კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც წარმოჩნდება, როგორი ქცევისათვის იქნება დაწესებული როგორც შედეგები, ასევე სანქციები და ჯილდოები. კომიტეტმა წინასწარ უნდა დაადგინოს „ბარიერის“ – თუ რის შემდეგ ჩაითვლება დავალება გადალახულად;
- ✓ თუ სახდელის მიზანი რაიმე ზიანის აღმოფხვრა/აღდგენა-ანაზღაურებაა, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს:
 - როდის ჩაითვლება დასახული მიზანი მიღწეულად?
 - როგორ უნდა მიიღოს კომიტეტმა შესრულებასთან დაკავშირებით უკუკავშირი? ვის დაევალება პროცესზე მეთვალყურეობა?
 - რა ფორმით მოხდება მონიტორინგის წარმოება?
 - ვინ გააკეთებს ჩანაწერებს?
 - როდის არის პირველი ანგარიშის ჩაბარების დრო?
 - ხელშეკრულებების შემთხვევაში, შედეგების მიღების შემდეგ რა ფორმით უნდა დასრულდეს სახდელი?

ეს ინფორმაცია სახდელდადებულ პირს რა ფორმით და სიხშირით უნდა გაეცნოს.


- ✓ დისციპლინის დამრღვევი პირის პოზიტიური ქცევის სტიმულირების თვალსაზრისით სასარგებლო იქნება, თუ მონიტორინგის განხორციელების ყველა ეტაპზე ის ინფორმირებული იქნება მისი ქცევების შეფასებების შესახებ.

3.10 დისციპლინური კომიტეტის საქმის წარმოება

დისციპლინური კომიტეტი ვალდებულია იქონიოს დოკუმენტები:

- ✓ ზონარგაყრილი და გვერდებგადანომრილი ოქმების ჟურნალი, სადაც გაფორმდება სხდომის ოქმები;
- ✓ ოქმების რეგისტრაციის წიგნი;
- ✓ შემოსული და გასული დოკუმენტების რეგისტრაციის წიგნი;
- ✓ დარღვევების რეგისტრაციის ჟურნალი (ბაზა);
- ✓ მოსწავლის ხელშეკრულების ფორმები (თუ სკოლაში ასეთი პრაქტიკა დანერგილია);
- ✓ შეტყობინების ფორმები.

დანართები



დანართი 1. დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმის ნიმუში

№ საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი №

ჩატარების ადგილი თარიღი

ესწრებოდნენ: სახელი, გვარი, თანამდებობა

- 1
- 2
- 3
- 4

სხდომაზე დამსწრე დისციპლინური კომიტეტის წევრების სახელები და გვარები სხდომაზე დამსწრე სხვა პირების სახელები და გვარები, მათი სტატუსი

დღის წესრიგი:

I საკითხი:

II საკითხი:

სხდომაზე გასატანი დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირთა სახელები და გვარები დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის სხდომაზე დაუსწრებლობის მიზეზი (თუკი ასეთი ცნობილია) კონკრეტულ შემთხვევაში

მოისმინეს დისციპლინური კომიტეტის წევრის მოხსენება:

I საკითხი:

II საკითხი:

მოხსენების ტექსტი (შესაძლებელია, სრული ტექსტი შესწავლილი საკითხის შესახებ მოთავსდეს დანართში, ოქმისთვის კი საკმარისია მოკლე ინფორმაცია: ვინ ჩაიდინა გადაცდომა, ვის ან რას ეხებოდა, რა გარემოებაში, რა შედეგი გამოიღო)

აზრი გამოთქვას:

I საკითხი:

II საკითხი:

დისციპლინური კომიტეტის წევრებმა, გადაცდომის ჩამდენმა მოსწავლემ, მისმა მშობელმა/მეურვემ, დამრიგებელმა, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრმა, სკოლის ფსიქოლოგმა, მანდატურმა, დირექციის წარმომადგენელმა და ა.შ.


კანჭისყრის შედეგები:

I საკითხი:

II. საკითხი:

მომხრეთა რაოდენობა

მონინააღმდეგეთა რაოდენობა



მიიღეს გადაწყვეტილება:

I საკითხი:

II. საკითხი:

სახდელის დანესების/არდანესების შესახებ

ხელმოწერა: დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე:
სხდომის მდივანი

დანართი 2. დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმის ამონაწერის ნიმუში

№ სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის № ოქმის ამონაწერი

თარიღი

მიმდინარე წლის ჩატარდა № საჯარო სკოლის დისციპლინური
კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა თქვენ მიერ ჩადენილი

დისციპლინური გადაცდომის საკითხი.

1. სხდომაზე თქვენი საკითხის შესახებ ჩატარებული კენჭისყრით

(..... მომხრე, მონინააღმდეგე) თქვენ დაგვეკისრათ შემდეგი

დისციპლინური სახდელი:

2. დისციპლინური კომიტეტის აღნიშნული გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ სკო-
ლის სააპელაციო კომიტეტში/ან სამეურვეო საბჭოში 7 დღის ვადაში.

3. თქვენ მიმართ დანესებული დისციპლინური სასჯელის მოქმედების

ვადა განისაზღვრება თვით. თუ ამ პერიოდში არ ჩაიდენთ ახალ გადაცდომას, დის-
ციპლინური სახდელი მოგეხსნებათ ავტომატურად.

ხელმოწერა: დისციპლინური კომიტეტის
დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე

დანართი 3. დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალის ნიმუში

დოკუმენტების მოძრაობის რეგისტრი

რიგითი №	სარეგისტრაციო № და კოდი	დოკუმენტის შემოსვლა/გასვლის თარიღი	აღრესი / გამომგზავნი	დოკუმენტის დასახელება	შინაარსი	ვიზირება	შენიშვნა	ხელმოწერა
1	#1 - შ/11	02.11.11		მაგ. განცხადება	მაგ. მ/ნ 3 ნომბრის სხდომის დადგენილების მე-2 პუნქტის გადახედვასთან დაკავშირებით	კომიტეტის თავმჯდომარეს	მომზადდეს რეზოლუცია	ჩავიბარე-მენტემაშვილი

დანართი 4. შეტყობინების ბარათი

სსიპ № სკოლის, კლასის
 მოსწავლეს/მშობელს/მეურვეს/მასწავლებელს (ხაზი გაუსვით)
 გვარი
 სახელი

გთხოვთ, გამოცხადდეთ სსიპ № სკოლაში დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე.
 სხდომის თარიღი: მ/წლის.....,სთ,
 სართული, ოთახი №
ის დისციპლინური დარღვევის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.
 სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე:
 /გვარი, სახელი /
 თარიღი:

გთხოვთ, შეტყობინების მიღება დაადასტუროთ ხელმოწერით.
 მიმღები მიღების დრო.....

დანართი 5. დისციპლინური კომიტეტის ანგარიშის სტრუქტურა

- ანგარიშგების პერიოდი (საანგარიშო ვადის დასაწყისი და დასასრული)
- განხილული საქმეების სტატისტიკა
- საანგარიშო პერიოდის ყველაზე რთული ამოცანები. (მაგალითები)
- საქმიანობის მოკლე აღწერა
(რა გაკეთდა? რა წინასწარი სამუშაოების ჩატარება დაგჭირდათ?)
- შედეგები
- რა რესურსები იქნა გამოყენებული?
(იყო თუ არა ის ადექვატური? ხომ არ გაგიჭირდათ მათი მოპოვება?)
- რა პრობლემებს წააწყდით (როგორ გადაჭერით, რა დასკვნები გააკეთეთ?)
- საქმიანობის შეფასება
(მიიჩნევთ თუ არა რომ თქვენი საქმიანობა შედეგიანი იყო? რატომ?)
- სამომავლო რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა და საინფორმაციო რესურსები:

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004 წლის 18 ოქტომბერი, საქართველოს მთავრობა.

განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის /ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. - [თბ., 2008].

ბრანდერი პატრიცია. კომპასი: სახელმძღვ. ადამიანის უფლებათა განათლ. სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით / ქართ. გამოც. რედ.: გიორგი კენჭოშვილი] - [თბ.2004].

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 2005 წლის 8 აპრილი, საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტი.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჭგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ.: ლოგოს პრესი, 2004.

Educational Administration: Theory, Research and practice - Hoy, W., & Miskel, C. (2001) New York: McGraw- Hill;

პოლიტიკის დოკუმენტი: უსაფრთხო, არაძალადობრივი გარემო საქართველოს სკოლებში (2009წ.) - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბ. შუკაკიძე (ჭგუფის ხელმძღვანელი), ა. ჯანელიძე, ნ. უძილაური, მ. გაბაშვილი, თ. ჯანტურია.

საჯარო სკოლების დისციპლინური კომიტეტები (დამხმარე მეთოდური მასალები სკოლების ადმინისტრაციებისათვის) - ოზურგეთის «ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი», თბილისი: 2010წ.

ეროვნული კვლევა საქართველოში სკოლებში ძალადობის შესახებ - ადამ ზოლოტორი, ლია სარალიძე, ნინო გოგუაძე, მარგარეტ ა ლინჩი. თბილისი: 2008წ.

სოციალური კონფლიქტები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2009. თბილისი. ნ. ჯორჯიკია.

ეფექტური ბიზნეს-კომუნიკაცია; ლენა შატაკიშვილი, ზაალ მიქაძე, ბელა ბესტავაშვილი. თბილისი. 2007

საქმიანი ურთიერთობების კულტურა.თბილისი 2007; სალომე ხიზანიშვილი,

აკაკი ყულიჯანაშვილი, ლევან წიქარიძე.

Dynamic Leadership Essential Four: Conflict Management for Leaders; www.fcclainc.org

ვერმონტის (აშშ. 2010წ) და ძეგონის (პოლონეთი, 2009 წ) სკოლების შინაგანაწესები.

Deanna Webb. My Classroom's Journey with Restorative Practices. 2010. USA. Vermont.

სუმბაძე ნ. მახაძე თ (2010) ინტერპერსონალური კომუნიკაცია.

